C M Y K

საერთო საქმე

№22 (206) • 9-15.V.2012 წელი • გამოდის ყოველ ოთხშაბათს • www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com • ფასი 1 ლარი

`me, biZina ivaniSvili, koalicia `qartuli ocnebis~ lideri, 27 maiss 15:00 saaTze, gelodebiT aq, Tavisuflebis moedanze, romerTad daviwyoT saqarTvelos gaerTianebis procesi da yvelam erTad avixdinoT `qarTuli ocneba~!

ISSN 2233-3983
9 772233 398001

ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებას 27 მაისს თავისუფლების მოედანზე შეკრებისკენ მოუწოდებს

კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებას 27 მაისს თავისუფლების მოედანზე შეკრებისკენ მოუწოდებს.

აღნიშნულის შესახებ ვიდეორგოლი ივანიშვილის „ფეისბუქის" ვებ-გვერდზეა განთავსებული.

„მე, ბიძინა ივანიშვილი, კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერი, 27 მაისს 15:00 საათზე, გელოდებით აქ, თავისუფლების მოედანზე, რომ ერთად დავიწყოთ საქართველოს გაერთიანების პროცესი და ყველამ ერთად ავიხდინოთ „ქართული ოცნება" – აღნიშნულია ვიდეო მიმართვაში.

ივანიშვილის ადვოკატებმა საქართველოს პრეზიდენტსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სასამართლოში უჩივლეს

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატებმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს.

როგორც დღეს სასტუმრო „თბილისი მერიოტში" გამართულ პრეს-კონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილის ადვოკატებმა – ალექსანდრე ბარამიძემ და შალვა თადუმაძემ განაცხადეს, აღნიშნული სარჩელით სასამართლოსგან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დასკვნა ბათილად ცნობას და პრეზიდენტის დავალდებულებას მოითხოვენ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცეს ბრძანებულება ბიძინა ივანიშვილის საქართველოს მოქალაქედ მიღების შესახებ.

როგორც ადვოკატებმა აღნიშნეს, ეს სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში 2 მაისს შეევიდა.

მათი თქმით, სარჩელი სასამართლომ ორი თვის ვადაში უნდა განიხილოს.

„2012 წლის 4 აპრილს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ გასცა დასკვნა, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილს როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს, თითქოს არ შეეძლო მიემართა საქართველოს პრეზიდენტისთვის განცხადებით საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე. საქართველოს პრეზიდენტს რაიმე სახის ადმინისტრაციული აქტი ამ საქმეზე არ გამოუცია. სამოქალაქო რეესტრის საგენტოს დასკვნა აშკარად ეწინააღმდეგება „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის დებულებას, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე. იგი ასევე ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ სხვა ნორმებსაც", – აღნიშნა ალექსანდრე ბარამიძემ.

მისი თქმით, სამოქალაქო რეესტრის დასკვნა გიორგი გაბრიელაშვილის მიერაა მომზადებული, რომელსაც აღნიშნული საქციელი დაუფასდა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელად დაინიშნა.

ადვოკატ შალვა თადუმაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა თავის უმოქმედობით უხეშად დაარღვია „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, სწორედ საქართველოს პრეზიდენტი ღებულობს გადაწყვეტილებას პირის საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე: დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იგი გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყორფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განკარგულებას.

„მაისის დასაწყისში თბილისის საქალაქაო სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, რომლითაც მოვითხოვთ: 1. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათილად ცნობას, 2. პრეზიდენტის დავალდებულებას გამოსცეს ბრძანებულება ბიძინა ივანიშვილის საქართველოს მოქალაქედ მიღების შესახებ", – აღნიშნა თადუმაძემ.

ივანიშვილის ადვოკატი: ხელისუფლება საქართველოს მოქალაქებს ექსკლუზიურ უფლებას ართმევს

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის, ალექსანდრე ბარამიძის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის თანახმადაც, ევროკავშირის მოქალაქეებს ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება ენიჭებათ, ფაქტობრივად, არის საქართველოს მოქალაქეებისთვის ექსკლუზიური უფლების ჩამორთმევა, რომლითაც მათ საკუთარი ქვეყნის ბედის გადაწყვეტის უფლება ეძლევათ.

როგორც დღეს სასტუმრო „თბილისი მერიოტში" გამართულ პრეს-კონფერენციაზე ადვოკატმა განაცხადა, ივანიშვილს სრულიად დაუსაბუთებლად და უკანონოდ უთხრეს უარი საქართველოს მოქალაქეობაზე.

„არის მცდელობა, რომ ბიძინა ივანიშვილს რაღაც სხვა შემოვლითი გზებით მიენიჭოს შესაძლებლობა, რომ მან მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. გაუგებარია, რა საჭიროა შემოვლითი გზები, თუკი ვთვლით, რომ ივანიშვილმა უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. ხელისუფლება თვითნებურად, რაღაც უცნაური შეხედულებებისამებრ ცდილობს მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები და მიმართოს ისეთ გზებს, რომლებიც თავისთავად

უკანონოა და ამასთანავე, სხვა უკანონობის გადაფარვის მიზანს ემსახურება", – აღნიშნა ბარამიძემ.

მისი თქმით, აღნიშნული უკანონობა შემდეგში მდგომარეობს: ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სისტემა არის აგებული ისე, რომ ამ ქვეყნის ბედი უნდა გადაწყვიტონ ამ ქვეყნისვე მოქალაქეებმა.

ბარამიძის შეფასებით, იგი ლოგიკას ვერ ხედავს იმაში, რომ ქვეყნის ბედი სხვა ქვეყნის მოქალაქეებმა გადაწყვიტონ.

„როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს აძლევ უფლებას, რომ მან მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და ანიჭებ ორივე საარჩევნო უფლებას როგორც პასიურს, ისე აქტიურს, ამით მას აძლევ შესაძლებლობას, რომ მან გადაწყვიტოს იმ ქვეყნის ბედი, რომლის მოქალაქეც არ არის. თეორიულად შესაძლებელია მივიღოთ ისეთი ვითარება, როდესაც საქართველოს პარლამენტს თავიდან ბოლომდე დააკომპლექტებენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები. მე ამაში ვერავითარ ლოგიკას ვერ ვხედავ. ეს არის, ფაქტობრივად, საქართველოს მოქალაქეებისათვის ექსკლუზიური უფლების ჩამორთმევა, რომ მათ გადაწყვიტონ თავისი ქვეყნის ბედი", – აღნიშნა ბარამიძემ.

`medianiusi~

თენგიზ სვანიძე - 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი თენგიზ სვანიძე ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო თენგიზ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ღვაწლმოსილ, უაღრესად საყურადღებო შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენი მწერლური ნათლობა 1961 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „დადის ბილიკებზე". მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები „მთვარის სიზმრები", „ლურჯი სიშორე", „თოვლის ყვავილი", „სევდის ნათელი", „ბობის გახსენება", „101 ლექსი სიყვარულზე", „რჩეული", „ათოვს მოწყენას" და სხვები მკითხველს ხიბლავს მართალი და ძარღვიანი სტრიქონებით, სამშობლოს უებრო და უსინჯო სიყვარულის დაუოკებელი წყურვილით, ავტორის მარადიული სურვილით, თესოს სიკეთე და სათნოება. ამ კრებულების გაცნობისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ პოეტები მზის შვილები არიან, რომლებიც დაჟინებით ცდილობენ საკუთარ სულებში ბავშვის, მარადიული ბავშვის გადარჩენას. გვიხარია, რომ თქვენს არსებაში მაღალი ზნეობრიობა, მოქალაქეობრივი პრინციპები, კულტურა და განათლება ჰარმონიულად ერწყმის ნიჭიერებასა და თვითმყოფადობას, რის გარეშეც წარმოუდგენელია ჭეშმარიტი შემოქმედი... თქვენ, მარტოსული პოეტი ბრძანდებით და გლოვობთ მართლაც რომ გლოვისფერ საღამოს ბინდს, ასე მეთოდურად რომ ფარავს თქვენი სამშობლოს სანახებს... გვიყვარხართ იმიტომაც, რომ სულისშემძვრელი სტრიქონები უძღვენით თქვენი ოთხფეხი მეგობრის – თქვენი ძაღლის – უერთგულესი ბობის ხსოვნას...

თქვენი ლექსი ემოციურია, წრფელი და სათუთი...

ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელი ბრძანდებით, სად არ გიმუშავიათ, მანქანათმშენებლობის კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკად თუ თბილქალაქმშენის საწარმოო კომბინატის მთავარ მექანიკოსად, მექანიზაციის სამმართველოს უფროსად თუ კომბინატის დირექტორის მოადგილედ და ყველგან ამაყად ატარებდით ქართველი მწერლის სახელს, ყველგან პროფესიონალიზმითა და სიკეთის კეთებით გამოირჩეოდით.

თქვენს მეგობრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა ტრიპტიხმა, რომელიც საქართველოს სულიერ მწყემსს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II მიუძღვენით.

ჩვენო თენგიზ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ პოეტსა და მოქალაქეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით მიღწევებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

rogorc cnobili eqstrasensi serJ delakrua irwmuneba, biZina ivaniSvili Tavis oponentebze Sori manZilidan fsiqologiur zewolas axdens da zogs adebilebs da zogs agiJebs...

როგორც ცნობილი პარაფსიქოლოგი და ექსტრასენსი სერჟ დელაკრუა ირწმუნება, ბიძინა ივანიშვილი არაჩვეულებრივი ტელეპატიური ნიჭით არის დაჯილდოებული და მას შეუძლია თავის ოპონენტებზე შორი მანძილიდან, დისტანციურად, ისეთი ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინოს, რომ მწყობრიდან გამოიყვანოს, ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, დაადებილოს, გააგიჟოს, გააფრენინოს.

სერჟ დელაკრუა – მე დიდი ხანია ვაკვირდები ბატონ ბიძინას. ის არა მარტო ბრწყინვალე ფსიქოანალიტიკოსია, არამედ ძალიან ძლიერი ექსტრასენსი და ტელეპატია.

ის ამჟამად ორ სუბიექტზე მუშაობს დისტანციურად და, როგორც დაკვირვება გვაჩვენებს, შესანიშნავ შედეგებს აღწევს.

ეს ორი სუბიექტი გახლავთ მიხეილ სააკაშვილი და შალვა ნათელაშვილი.

ამ ორი საცდელ-საექსპერიმენტო სუბიექტის ბოლოდროინდელ ქცევებს, მათ ჟესტიკულაციას, მეტყველებას, აგრესიულ გამოხტომებს თუ დააკვირდებით, ნათელია, რომ ორივეს აშკარად ეტყობა ფრენოლოგიის ნიშნები – აკვიატებული იდეები, შიშები, დევნის მანია, მანია გრანდიოზა, ნარცისიზმი, ეგოცენტრიზმი დაავადებათა ისეთ „თაიგულს“ ქმნის, რომელთანაც გამკლავება თანამედროვე მედიცინას ძალიან უჭირს.

ნუ დავიდებთ ცოდვას და ყველაფერს ბიძინა ივანიშვილს ნუ დავაბრალებთ, – ზემოთჩამოთვლილი დაავადებების უმრავლესობა, რაც ამ ორ სუბიექტს ჭირს, თანდაყოლილია, თუმცა რამდენიმე დაავადება აშკარად ივანიშვილის მიერ არის სტიმულირებულ-პროვოცირებული.

მაგალითად, პანიკური შიში და ამით გამოწვეული არაადექვატური ქმედებები, რაც ბოლო ხანს სააკაშვილს დასჩემდა, ცხადია, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას და მის მიერ განხორციელებულ ტაქტიკურ-სტრატეგიულ სვლებს უკავშირდება.

განსაკუთრებით მძაფრად მოქმედებს სააკაშვილზე ივანიშვილის გადაწყვეტილება, რომ ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს.

სააკაშვილს უჭირს მოლოდინის რეჟიმში ცხოვრება, უჭირს იმის წარმოდგენაც კი, რომ, შეიძლება, არჩევნებში წააგოს, რაც მისთვის კატასტროფის ტოლფასია, ივანიშვილი კი მას ამ შიშს კიდევ უფრო უმძაფრებს – თავისი ბიზნესცენტრის ყველაზე ბოლო სართულზე, სპეციალურად ექსტრასენსულ-პარაფსიქოლოგიურ-ტელეპატიური საქმიანობისთვის მოწყობილ საიდუმლო ლაბორატორიაში ზის და სააკაშვილის მიმართულებით უწყვეტ ტელეპატიურ სიგნალს აგზავნის – ვერავინ ვერ გვიშველის, არჩევნებს წააგებ! ვერაფერი გიხსნის – არჩევნებში დამარცხდები!

ყოველ ასეთ სიგნალზე სააკაშვილი ცოფდება თურმე და თავის გარემოცვას ცოცხალს და მკვდარს უტრიალებს: – გაკოჭეთ! დაიჭირეთ! ციხეში ჩააგდეთ! ხმა ჩააკმენდინეთ, თორემ ტანში ჭიანჭველები მივლის, ტვინშიც ჭიანჭველები დარბიან... გავგიჟდები!

ამასწინათ, ხომ ნახეთ, რა დამართა ივანიშვილმა მახათას მთაზე ასულ სააკაშვილს – მანქანიდან გადმოვიდა თუ არა, ეგრევე აჯახა კოჯრიდან სიგნალი და ეს ამხელა კაცი ლამის მიწაზე დააგდო.

სააკაშვილის თვალები ხომ ნახეთ – აზრის ნატამალი არ ქონდა შიგ – ესეც ივანიშვილის დამსახურება იყო.

რაც შეეხება შალვა ნათელაშვილს, იმპულსური და ემოციური ნათელაშვილი ძალზე ადვილად ექვემდებარება ფსიქოლოგიურ ზეწოლას – ერთი საშუალო სიმძლავრის სხივი და ქარის წისქვილივით იწყებს ხელების ქნევას – მიშველეთ! მკლავენ! ტერაქტს მიწყობენ! ივანიშვილს ჩემი მოკვლა უნდა და საერთაშორისო თანამეგობრობას შეატყობინეთ, დამიცვან ამ ბანდიტისგან.

ივანიშვილი მხოლოდ ნახევარი დოზით მოქმედებს ნათელაშვილზე – იმდენად სუსტი ფსიქიკა აქვს, მთელი დოზა რომ გამოვიყენო, შეიძლება საერთოდ გაგიჟდეს და ცოდვაა, – უთქვამს.

ორიოდე დღის წინათ, როცა ნათელაშვილი ბრიფინგს ატარებდა, მის გვერდით გუგავაც მდგარა. ცოტა მეტი ფსიქოდასხივება მოსვლია თურმე ბატონ ბიძინას და ნათელაშვილთან ერთად გუგავაც ასხმარტალებულა.

– დოზა ერთ კაცზე იყო გათვლილი და ორ კაცს ასე როგორ მოუთავა ხელიო, – უკვირდა თურმე ბატონ ბიძინას, შალვასთან ერთად გუგავას ფხარკალს რომ უყურებდა.

დელაკრუას აზრით, მთავარ სიურპრიზს შემოდგომაზე, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში უნდა ველოდოთ, როცა ბიძინა ივანიშვილი მთელ თავის შესაძლებლობებს აამოქმედებს.

აი, მაშინ ნახეთ თქვენ ივანიშვილის ფსიქოლოგიური ზემოქმედებით ნაცმოძრაობის და ლეიბორისტების მხარდამჭერების მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ბიულეტენების ჩაყრა და სააკაშვილი-ნათელაშვილის გადარევა.

ჯერჯერობით კი ბიძინა ივანიშვილი დინჯად, თანმიმდევრულად ახორციელებს მიხეილ სააკაშვილის ფსიქოლოგიურ დამუშავებას და, როგორც იტყვიან, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს იგი იმ „ფსიხუშკისკენ“, სადაც ბევრი სტალინი, ბევრი ბონაპარატი და ბევრი აღმაშენებელი ცხოვრობს.

რაც შეეხება შალვა ნათელაშვილს, დელაკრუას განმარტებით, მას უკვე არ სჭირდება „მკურნალობა“, ის სიცოცხლის ბოლომდე სულ „ჯანმრთელი“ და „ჯანმრთელი“ იქნება...

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

27 maiss Tavisufl ebis moedanze srul iad saqarTvel os SevkrebT daerT muStad gavaerTianebT!

გვესაუბრება ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი, „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრი, დიპლომატი ზაზა გოგსაძე:

— ბატონო ზაზა, 21 აპრილს პარტია უკვე დაფუძნდა, რა იქნება შემდეგი ნაბიჯები?

— კოალიცია „ქართული ოცნება“, პარტია —„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ახალ-ახალი ნაბიჯებისთვის ვემზადებით, რაც საბოლოო ჯამში არჩევნებში გამარჯვებამდე მიგვიყვანს. მაისის ბოლოს ვაპირებთ მხარდამჭერებისთვის, დიდი ღონისძიების გამართვას, სადაც საკუთარ მიზნებსა და ამოცანებს წარვადგენთ და აქტიურ საარჩევნო კამპანიას დავიწყებთ. 27 მაისს „ქართული ოცნება“ თავისუფლების მოედანზე შესაკრებად ვემზადებითმ სადაც ჩვენს სამომავლო გეგმებსაც გავაცნობთ საზოგადოებას.

— ანუ რას მიეძღვნება 27 მაისის შეკრება — საკუთარი გეგმების გაცნობას?

— ეს ახალი ეტაპის დაწყების დღე იქნება, ანუ ჩვენ უკვე ვაფიქსირებთ, რომ ვიწყებთ ახალ ეტაპს, რასაც უშუალოდ არჩევნებისთვის სამზადისი ჰქვია. რაც შეეხება, მანიფესტაციას, 27 მაისს თავისუფლების მოედანზე სრულიად საქართველოს შევკრებთ და ერთ მუშტად გავაერთიანებთ! ბევრი კითხვა ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გადავწყვიტეთ ამ თარიღის აღნიშვნა მაშინ, როცა „სახალხო კრებას“ ამ დღეს უკვე ჰქონდა ღონისძიება დაგეგმილი. ამაში განსაკუთრებული არაფერია, 26 მაისი მნიშვნელოვანი თარიღია ქვეყნისთვის და ყველას გვინდა მისი აღნიშვნა. პირიქით, ამ დროს, რა თქმა უნდა, ყველა ერთად უნდა იყოს.

მთავარი ოპოზიციური ძალა, კოალიციაშია თავმოყრილი. დღეს ორი პოლუსია შექმნილი: ერთი — ხელისუფლების და მეორე — ოპოზიციური, რომელიც ივანიშვილის გარშემოა შეკრებილი. სწორედ, ამ დროს 26 მაისი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ამ დღით ვაფიქსირებთ, რომ ერთად ვართ, შევდივართ საფინალო ხაზზე, რასაც არჩევნები ჰქვია. ბუნებრივია, 26 მაისს, ყველას პრეროგატივა დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნაა. რასაკვირველია, 26 მაისს ყველა აღნიშნავს იმას, რაც შარშან მოხდა. ხელისუფლებამ ჯერ არ ნახული სისხლიანი დარბევა მოაწყო, საშინლად გაუსწორდა ქართველ ხალხს. რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგია სრულიად პროგრესული საზოგადოება, მათ შორის ჩვენც.

— ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის დღიდან, ხალხი მოლოდინის რეჟიმშია. უშუალოდ მათ როდის წარუდგენთ პროგრამას, თუ რას სთავაზობს მათ კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილი?

— ახლა, რეგიონებში აქტიურ სიარულს და იდეების პროპაგანდას დავიწყებთ. ბუნებრივია, მოსახლეობასთან შეხვედრისას ჩვენს პროგრამებზე ვისაუბრებთ.

— თუმცა, ახლახან, კონტროლის პალატამ, ამჯერად ის ხალხი დაკითხა, ვინც „ქართულ ოცნებას“ ოფისები მიაქირავა. როგორ აპირებთ ამ ფონზე ბრძოლის მოგებას?

— ჩემი ვარაუდით, ეს მათი დაშინების მიზნით ხდება. ვის რაში ეკითხება რატომ მიაქირავეს „ქართულ ოცნებას“ ადამიანებმა თავიანთი კუთვნილება? მათ ეკითხებიან, რა კავშირი გაქვთ „ქართულ ოცნებასთანო“. ამაზე პასუხი ხელისუფლებას უნდა მოვკითხოთ. ხალხს მასიურად იბარებენ. ხელისუფლებას ამით შემდეგი მიზანი აქვს — ჰგონიათ, რომ ხალხს დააშინებენ და სხვა ველარ გაბედავს ჩვენზე ფართის მოქირავებას. ხელისუფლება ყველანაირი მეთოდით ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას. ჩვენი უბედურება სწორედ ისაა, რომ ხალხმა ვერ გაითავისა, რომ საკუთარ ბედს თავად წყვეტს. ეს მათ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაითავისონ. საქართველოში ხალხს ეს გაცნობიერებული არ აქვს. მათ ჰგონიათ, რომ როგორადაც არ უნდა იაქტიურონ, ხელისუფლება არჩევნებს მაინც გაყალბებს, არჩევნებს მოიგებს და ვინც ოპოზიციის მხარდამჭერი იყო დაისჯება. ხალხს ეშინია, რაც აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ შიში ვერ იხსნის სიკვდილსა. თუ შიშს დავძლევთ, გადავწყვეტთ არჩევნებზე ვაჟკაცურად მივიდეთ და ყველამ ხმა იმ პარტიას მივცეთ, ვინც ჩვენ გვინდა, თუ ხალხის აქტიურობა ძალიან მაღალი იქნება, ხელისუფლება არჩევნებს ვერ გააყალბებს.

— მაგრამ ხალხი რომ გააქტიურდეს, ოპოზიციამაც იგივე მაგალითი ხომ უნდა უჩვენოს?

— ვმუშაობთ ხალხთან. ყველაფერს თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს. არჩევნებამდე ხომ არ შეიძლება ერთი ტემპით ვიმუშაოთ?! ყველაფერი გაწერილი გვაქვს და გეგმის მიხედვით მიდის.

— ალასანიამ თქვა მილიონი ადამიანის მობილიზებას მოვახდენთო, რა კეთდება ამ კუთხით?

— როდესაც ხალხში გადიხარ, ეუბნები მათ ხმა მომეცით — ეს მობილიზაცია არ არის?! მასიურად ვმუშაობთ ხალხთან, დავდივართ რეგიონებში, ალასანიას უკვე 200-ზე მეტი სოფელი აქვს მოვლილი, ახლა სენაკის მოსახლეობას ხვდება. ეს მილიონი ადამიანის მობილიზება არ არის, აბა, რა არის?!

— თქვენ კი ეუბნებით ხმა მოგვეციო, მაგრამ რა გარანტიაა, რომ ხელისუფლების რეპრესიული მანქანა თქვენზე უკეთ არ მუშაობს?

— გასაგებია, რაღაც პროცენტი, ალბათ რეპრესირებული იქნება, და ვერ გაბედავს ხმის მოცემას, ზოგიც ნიჰილისტურად განწყობილი, მაგრამ ასეთი პროცენტი რაც შეიძლება დაბალი უნდა იყოს. ხალხმა ნიჰილიზმს უნდა სძლიოს.

— ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის დღიდან ხელისუფლების მხრიდან უკანონობების კასკადი არ წყდება...

— ეს ხელისუფლების სისუსტეზე მიანიშნებს. რაც უფრო ფინალისკენ წავალთ, მით მეტ უკანონობას ჩაიდენენ. ჩვენ ამისთვის მზად ვართ და ხალხიც უნდა იყოს მზად, მათ აქტიურად უნდა აღიმაღლონ ხმა ამ უკანონობის წინააღმდეგ. უნდა დამთავრდეს ხელისუფლებაზე ჩაბღაუჭების პოლიტიკა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თუ ჩვენ არ ვივარგებთ, ჩატარდება არჩევნები და წავალთ. ჩვენთვის მთავარი იქნება ხალხი და არა როგორმე ხელისუფლებაში დარჩენა.

— არჩევნებამდე სხვა ფორმით რომ გავილაშქროთ, ამას რა უშლის ხელს, თუნდაც დავაფიქსიროთ ჩვენი პროტესტი ივანიშვილისადმი უკანონოდ ჩამორთმეული მოქალაქეობის მიმართ?

— ვერ ვიტყვი, რომ ხალხი არ ითხოვს ამას, მაგრამ თავად ბატონი ბიძინა ერიდება ხალხისადმი მოწოდებას, თუმცა ჩვენ აქტიურად ვიბრძვით ამისთვის. რა უფლება აქვთ, რომ არ აძლევენ მოქალაქეობას? ხალხმა ყველგან უნდა დააფიქსიროს, რომ ის, რასაც ხელისუფლება აკეთებს ზღვარგადასული, ბინძური უკანონობაა. ეს შანტაჟია სიმართლის წინააღმდეგ. ხვალ ვიღაც უცხოელი ჩამოვა და მას შეიძლება მაშინვე მოქალაქეობა მისცენ. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, დემოკრატიული პრინციპების მომხრე ვარ, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია — ვიღაც გადამთიელს მეორე დღესვე ვაძლევთ მოქალაქეობას და კაცს, რომელმაც ნახევარი საქართველო ააშენა მოქალაქეობას ვართმევთ? თუ არა იგი, ვინ არის აბა საქართველოს მოქალაქე, მიხეილ საკაშვილი, რომელმაც ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგა?!

— ამ ყველაფრიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, კანონის ფარგლებში ამ ხელისუფლებასთან საუბარი შეუძლებელია. აკი უწოდა კიდეც ალასანიამ მათ კალვერას ბანდა. კალვერას ბანდას არჩევნებით როგორ უნდა ებრძოლოთ?

— სიმართლე იმარჯვებს. როდესაც უკმაყოფილო ხალხი რაოდენობრივად იზრდება, ეს მერე ხარისხობრიობაში გადადის. ეს ფილოსოფიური კანონზომიერებაა და აუცილებლად ასე მოხდება. ამ უკანონო გზებით მებრძოლ ხელისუფლებას არჩევნებით მაინც მოვუგებთ. მთავარი აქტივობა და ხალხის განწყობაა. თუმცა, ბრძოლა ადვილი არ იქნება.

— ბოლო დროს საუბრობენ, რომ სააკაშვილი კვლავ ინარჩუნებს აშშ-ს მხარდაჭერას და ამ უკანასკნელს არაფერი სცხია იმისა, რომ მიშას გადაყენების მომხრეა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— სააკაშვილს საზღვარგარეთ აღარავინ უჭერს მხარს. ქართველები ძალიან ვართ დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გვიჭერენ უცხოეთიდან მხარს. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ თუ 7-8 წლის წინ საქართველო უცხოეთის საგარეო პოლიტიკაში პრივილეგირებულ ადგილს იკავებდა, დღეს გაცილებით დაბალ საფეხურზეა, რასაც ამ ხელისუფლებამ შეუწყო ხელი. დღეს იქნება არა ისე, როგორც აშშ-ს უნდა, არამედ ისე, როგორც ქართველი ხალხი გადაწყვეტს. აშშ კი მხარს დაუჭერს ხალხს და არა სააკაშვილს.

— კონსტიტუციაში ცვლილება შედის, რომლის თანახმად ივანიშვილს შეეძლება არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მაგრამ არა ფინანსების ხარჯვა.

— მათ ეშინიათ, რომ არჩევნებს მოვიგებთ და კანონს ყურს იქით აბამენ, საითაც სურთ. დღეს მოაგონდათ, რომ თურმე ეს კანონი არ ყოფილა სწორი და ადრე თუ შეიძლებოდა დაფინანსების მიღება, ახლა აღარ შეიძლება. წინა არჩევნებზე კენჭს რომ იყრიდნენ, რატომ მაშინ არ შეცვალეს ეს კანონი, რა მაშინ არ ჰყავდათ იურისტები?! ამ ყველაფერს მათ შიში აკეთებინებს. სამთავრობო საათზე მერაბიშვილმა თქვა — თუ ვოვა სანაკოევი ქართულ საქმეს გააკეთებს, არ გვაინტერესებს იგი ვინ არის, თუნდაც ფსბ-ს აგენტი იყოს, უცხო კაპიტალს სუნი არ აქვსო. ვერ გავიგე, ივანიშვილზე რომ ამბობენ რუსული ფული აქვს და მხარი არ დაუჭიროთო, რას ნიშნავს ეს განცხადება?! ესენი იმდენად გაგიჟდნენ, ყველაფერს კადრულობენ. მიდის პროპაგანდა, რომ ივანიშვილს ფული რუსეთში აქვს ნაშოვნი, რაც სრული აბსურდია. მაშინ, სანაკოევის ფული რატომ გვინდა, გაურკვევლია. რას ჰგავს ეს?

— ბატონმა ბიძინამ ერთ-ერთ კონფერენციაზე ქუჩაში გამოსვლაც არ გამორიცხა. გუბაზ სანიკიძემაც თქვა ამას წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში — გამოვალთ, გა-მო-ვალ-თო! მართლაც გეგმავთ აქციებს?

— ცალკეულ საკითხებზე შეიძლება მიტინგი ჩატარდეს ან რაიმე მოთხოვნა გაჟღერდეს, მაგრამ ეს სულ სხვაა. ჩვენ ვემზადებით არჩევნებისთვის და არა აქციებისათვის.

თამარ შველიძე

ramaz sayvareliZe: ar mesmis ratom dasWirda amerikis anerT, an meorekvleviT organizacias gamxdariyo saakaSvilis sarCevno StabiserT-erTi ganyofileba?

გასულ კვირას ამერიკის რესპუბლიკურმა საერთაშორისო ინსტიტუტმა IRI-მ კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომელმაც საზოგადოებაში ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. კონკრეტულად რატომ არსებობს ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება კვლევებისადმი და შესაძლოა, თუ არა კვლევის შედეგებმა გავლენა იქონიოს, ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე. „საერთო გაზეთს" პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** *ესაუბრა.*



— ბატონო რამაზ, რას ფიქრობთ აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კველვებზე, რამდენად დამაჯერებლად მიგაჩნიათ?

— **IRI**-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები დამაჯერებლად არ მიმაჩნია და სამწუხაროდ, ამ უნდობლობას ეწირება ის, რაც ყველზე ძალიან მიყვარს — სოციოლოგიაა. კვლევისადმი, პირველ რიგში, ჩემი უნდობლობა განპირობებულია იმ საიდუმლოებებით, რაც ახასიათებს **IRI**-ისა და **NDI**-ის კვლევებს. ისინი ზუსტ მონაცემებს არ აქვეყნებენ და მერე მკითხაობა გვიწევს. ვგულისხმობ, თუნდაც პოლიტიკური პარტიის რეიტინგებს, რომელსაც თავად არ ახმოვანებენ, მაგრამ ვიღაცა ყოველთვის აქვეყნებს და მერე გვიწევს მკითხაობა, თუ რამდენად ზუსტია გავრცელებული ციფრები. ბუნებრივია, მონაცემებს ავრცელებს ის პარტია, ვისთვისაც დადებული რეიტინგები უფრო ხელსაყრელია. **IRI**-ის კვლევაში არის ასეთი კითხვა, თუ რომელ ლიდერს ენდობით ოპოზიციიდან. საინტერესოა, რატომ არის ამ ფორმით დასმული შეკითხვა? საერთოდ ვის ენდობით არ შეიძლებოდა ასე დასმულიყო შეკითხვა? ამ შემთხვევაში, როცა ასე ვიწროვდება საკითხი, ბუნებრივია, „ნაციონალური" მოძრაობისთვის უფრო უპრიანი იქნება კვლევაში შედარებით „რბილი" ოპოზიციონერის ლიდერობა, ვიდრე თუნდაც ბიძინა ივანიშვილის.

— კითხვაზე, თუ რომელ ოპოზიციურ ლიდერს ენდობით, კვლევის მიხედვით 28%-ით გიორგი თარგამაძე ლიდერობს, მეორე ადგილზე 21%-ით ბიძინა ივანიშვილია. ეს ციფრები რამდენად ასახავს იმ პოლიტიკურ რეალობას, რაც ქვეყანაშია შექმნილი?

— ეს კითხვა უნდა დაესვათ იმ ადამიანებისთვის, ვინც ოპოზიციის მხარდამჭერია და არა ყველასთვის. „ნაციონალური" მოძრაობის მხარდამჭერს რომ ჰკითხავ ოპოზიციიდან ვის უჭერს მხარსო, ცხადია, დაასახელებს ისეთ კანდიდატს, ვინც მისთვის და ხელისუფლებისთვის უფრო კომფორტულია. გიორგი თარგამაძე, როგორც ჩანს, მმართველი გუნდისთვის მისაღები ოპოზიციური ლიდერია.

— ბატონო რამაზ, ცოტა ხნის წინ „ქდმ" დავით ლორთქიფანიძემ პოლიტიკური შეხედულების გამო დატოვა და „ქართულ ოცნებაში" გადავიდა. თქვენც იზიარებთ მოსაზრებას, რომ „ქრისტიან-დემოკრატები" ხელისუფლების თამაშს თამაშობენ?

— ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლებისთვის „ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობა არასასურველ პარტიად არ აღიქმება. საკონსტიტუციო ინიციატივა, რაც მოძრაობის წევრებმა წამოაყენეს, „ნაციონალებმა" აღფრთოვანებით „აიტაცეს" და ასეთი ჰარმონია მათ შორის ხშირად იკითხება. თავს ვიტყუებთ თუ ერთმანეთს ვატყუებთ — გაუგებარია.

— რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევაში კითხვაზე: ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელ პარტიას დაუჭერდით მხარს რეიტინგი ასე გადანაწილდა — „ნაციონალური მოძრაობა" 45%, „ქართული ოცნება" — 15%, „ქდმ" — 9%. რას ფიქრობთ ამ მაჩვენებლებზე?

— ამ ფორმით დასმულ შეკითხვაზე ასეთ შედეგს რომ მიიღებდნენ, ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს. ვფიქრობ, ეს სურათი უფრო ხელოვნურადაა შექმნილი.

— ანუ IRI-ი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს?

— ცოტა ხნის წინ **NDI**-საც სწორედ ამ ფორმულირებით ჰქონდა კითხვები შედგენილი და მონაცემებიც, თითქმის, **IRI**-ის კვლევის შედეგების ანალოგია. მე, პირადად, სტუდენტმა ამ ფორმულირებით შედგენილი კითხვარი რომ მომიტანოს, უკან დავუბრუნებ.

— რას უწუნებთ კონკრეტულად IRI-ის კითხვარს?

— კითხვა გამიზნულად ისეა დასმული, რომ შედეგში მივიღოთ გიორგი თარგამაძე და არა ივანიშვილი. ანუ დასმული შეკითხვა პროვოცირებას უკეთებს პასუხს, ისე, რომ კითხვარი შეგნებულად გამიზნულია კონკრეტული შედეგისთვის.

— ამ შემთხვევაში ვისზე, ან რაზე იყო შედეგი ორიენტირებული?

— ამ შემთხვევაში გიორგი თარგამაძე საზოგადოებაში უფრო ნდობით აღჭურვილად უნდა გამოიყურებოდეს, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი.

— თუ კვლევითი ორგანიზაციის შედეგები რეალურად არ ასახავს იმ სიტუაციას, რაც ქვეყანაშია, მაშინ რა მიზანი აქვს კვლევის ჩატარებას და შესაძლოა, თუ არა არსებულმა შედეგებმა საზოგადოებაზე გავლენა მოახდინოს?

— შეიძლება, გარკვეულ ნაწილზე მოახდინოს, მაგრამ საერთოდაც რომ არ მოახდინოს და თუ არჩევნებზე საარჩევნო შედეგები კვლევის ანალოგი იქნება, მაშინ მმართველი გუნდი ამ კვლევებს არგუმენტად გამოიყენებს, რომ არჩევნები გაყალბებული არ არის. ასე, რომ მზადდება არჩევნების გაყალბების ფონი.

— შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ IRI-ის კვლევის შედეგები „ნაცმოძრაობის" პრესტიჟისთვის ჩატარდა?

— სწორედ ეს არ მესმის, რატომ დასჭირდა ამერიკის ან ერთ (**IRI**), ან მეორე ორგანიზაციას (**NDI**) გამხდარიყო სახელისუფლებო შტაბის ერთ-ერთი განყოფილება. აშშ-ისთვის ეს ფაქტორი დამამცირებელია.

— საუბრობენ იმაზე, რომ აშშ-ი არ მიიღებს საქართველოში გაყალბებულ არჩევნებს. იგივე IRI, NDI ხომ ამერიკული ორგანიზაციები არიან, მაშინ რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

— კი, მაგრამ, ვიცით ვის ემორჩილებიან? ისინი უკვე დიდი ხანია საქართველოში მუშაობენ და იქნებ მათ საქართველოს ხელისუფლებასთან თავი კარგად იგრძნეს? საქართველოში **NDI**-ი ლუის ნავაროს ხელმძღვანელობამდეც არსებობდა, თუმცა ასეთ პოლიტიკურ ჭიდილიში მონაწილეობას არ ღებულობდა. ანალოგიურად **IRI**-ც ჩართულია ანალოგიურ თამაშში. ამიტომ მათი მოხიბვლა, ან „ნაციონალურმა" მოძრაობამ მოახერხა, ან თავიანთი ქვეყნის პოლიტიკა თავად ამ ორგანიზაციებს არ აინტერესებთ.

— რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ კვლევებისადმი ამდენი კითხვის ნიშნები არ დაისვას?

— იაგო კაჭკაჭიშვილმა შესთავაზა, რომ მათ ერთმანეთის კვლევები გადაემოწმებინათ, თუმცა არც **IRI**-მ და არც **NDI**-მ მის ინიციატივას მხარი არ დაუჭირა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ამერიკული ორგანიზაციები ჭეშმარიტებით დაინტერესებული არ არიან.

— ერთია, როცა კვლევის შეეგებს არ ენდობით, მაგრამ ის ციფრები რაც IRI-მ „ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებით დადო, ხომ არ არის განპირობებული ივანიშვილისა და მისი გარემოცვის პასიურობით?

— რაც უფრო აქტიური იქნება ესა თუ ის მხარე, მით უფრო ნაკლებ დამაჯერებელი იქნება მისი დაბალი რეიტინგი. თუმცა მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილის მხარეს უფრო დაბალი რეიტინგი არსებობდეს, ვიდრე კვლევაშია ასახული, რადგან მათი მხრიდან აქტიურობა არ არის. თუმცა ამ შემთხვევაში, უფრო მაწუხებს სოციოლოგიის ბედი, ვიდრე ივანიშვილის.

— რას გულისხმობთ?

— სამწუხაროდ, სოციოლოგიის დისკრედიტაცია ხდება. ალბათ, სოციოლოგია სიმართლეს როცა იტყვის, არც მაშინ დაუჯერებენ.

— თუმცა ხელისუფლება ყოველთვის ახერხებს მძიმე სიტუაციიდან გამოსვლას და ვითარების სათავეიოდ შემობრუნებას?

— ხელისუფლება ძალიან სერიოზული მებრძოლია და ბრწყინვალედ იცის პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები და შესაბამისად კარგ შედეგებსაც იღებს.

— ასეთი ძლიერი კონკურენტის პირობებში რამდენად სწორად მოქმედებს ივანიშვილი, როცა ასეთ პასიურობას იჩენს?

— შესაძლოა, არსებობდეს ასეთი სტრატეგია, რომ პიკს მიაღწიონ მაშინ, როცა ქვეყანაში წინასაარჩევნო ბუმი იქნება.

აგვისტოს ბოლო და სექტემბერი იქნება პიკი ამ არჩევნებისთვის და თქმა იმისა, რომ ამ სტრატეგიას არსებობის უფლება არ აქვს, მართებული არ იქნება.

— 27 მაისს „ქართული ოცნება" წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მასშტაბურ აქციას გეგმავს. ამ მასშტაბის აქცია, თუნდაც მოედანზე, რამდენად იქნება შედეგზე ორიენტირებული?

— გააჩნია, სტადიონზე რას აპირებენ „ოცნების" წარმომადგენლები. ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ, როცა სტადიონზე ოპოზიციის ინიციატივით ხალხი შეიკრიბა, ფინალმა რა დრამატული სახე მიიღო და ფაქტობრივად, გადასწონა შეკრების ყველა პლუსი. ამიტომ გააჩნია, როგორაა გაწერილი „ქართული ოცნების" გეგმები და რა აქვთ მოფიქრებული საიმისოდ, როგორ გაუშვან სტადიონზე მისული ათასობით ადამიანი, რაც ადვილი საქმე ნამდვილად არაა. ამიტომ არ ვიცი, როგორი სცენარი მუშავდება და სანამ არ ვნახავ, კომენტარის გაკეთება გამიჭირდება.

მირანდა ნაბახტეველი

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ჯონ ბასი: ყველგან უნდა იყოს დაცული საერთაშორისოდ აღიარებული უფლებები ისე, როგორც ეს დასავლეთშია

საქართველოში აშშ-ის ელჩის ჯონ ბასის განცხადებით, მნიშვნელოვანია როგორც მშვიდობის მიღწევა, ასევე მუშაობა მისი შენარჩუნებისთვის და ისეთი ქვეყნების დახმარება, ვისაც ამ თვალსაზრისით პრობლემები აქვს.

ამის შესახებ ჯონ ბასმა დღეს ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავის ყვავილებით შემკობის შემდეგ განაცხადა.

როგორც ბასმა აღნიშნა, ყველგან უნდა იყოს დაცული საერთაშორისოდ აღიარებული უფლებები ისე, როგორც ეს დასავლეთშია.

„მედიანიუსი"

amerikis mxardaWerac kargia da evrokavSirisac, magram, rogorc qarTveli xalxs, iseBiZina ivaniSvils, erTmaneTis iqiT gzaar aqvT!..

მართალია, ამერიკის ელჩი ჯონ ბასი და მისი შემცვლელიც, აბრეთვე აშშ-ს ზოგიერთი მაღალჩინოსანიც ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას საქართველოში შექმნილი ანტიდემოკრატიული გარემოს და ამ გარემოს სულისჩამდგმელის მიხეილ სააკაშვილის მისამართით, მაგრამ ამ შეშფოთება-აღშფოთებას ჯერჯერობით რეალური შედეგები არ მოჰყოლია — სააკაშვილი ისევ სააკაშვილობს, მოგელაძე მოგელაძეობს, ჟურნალისტებს ძველებურად სცემენ, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერებს ავიწროებენ, თვითონ ბატონი ბიძინასთვის კი დღემდე არავის დაუბრუნებია საქართველოს მოქალაქეობა და, როგორც ჩანს, ახლო მომავალში ამის გაკეთებას არც არავინ აპირებს.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ბარაკ ობამასთან ვიზიტის დროს აშშ-ს პრეზიდენტმა არაორაზროვნად მიანიშნა მიხეილ სააკაშვილს, რომ აუცილებელია ხელისუფლება არჩევნების გზით ოფიციალურად გადაბარდეს, რომ სააკაშვილმაც და საქართველომაც შეინარჩუნოს რეგიონში დემოკრატიის ფლაგმანის იმიჯი, თითქოს ყველაფერი ნათელი და ცხადია — აშშ არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებისკენ მიუთითებს სააკაშვილს და სამართლიანი, თავისუფალი, ობიექტური არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდებს, თუმცა ის რეალური სიტუაცია, რაც დღეს საქართველოში სუფევს, აბსოლუტურად საწინააღმდეგოს ამტკიცებს — სააკაშვილი არც სამართლიანი არჩევნების ჩატარებას აპირებს და არც ძალაუფლების დათმობაზე ფიქრობს.

თუ მის ბოლოდროინდელ განცხადებებს გულდასმით მივაყურადებთ, სააკაშვილი არ მალავს, რომ პრემიერ-მინისტრობისთვის ემზადება და პირდაპირ ითხოვს საქართველოს მოსახლეობისგან, რომ 3-4 წელი ხელისუფლებაში დარჩენის საშუალება მიეცეს (გაიხსენეთ, წყალტუბოში გაკეთებული განცხადება...)

მთელი მისი ბოლოდროინდელი პიარი — ობიექტების გახსნა, ლენტების გაჭრა, ლაზიკის მშენებლობა და ა.შ. მიმართულია ერთი მიზნისკენ — აჩვენოს საქართველოს მოსახლეობას, რომ ის პრემიერ-მინისტრობისთვის არის დაბადებული, რომ ის უნიჭიერესი მეურნე, ბრწყინვალე მენეჯერი და ორგანიზატორია, რომელსაც შეუძლია საქართველო, ქართული ეკონომიკა რამდენიმე წელიწადში ააყვავოს.

მკითხველს ისიც მოვაგონოთ, რა უმწვავესი რეაქცია მოჰყვა სააკაშვილის და მისი გარემოცვის მხრიდან იმ რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნას და კომენტარს, რომელიც აშშ-ს ელჩმა ბასმა გააკეთა.

— ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ არავის დაავიწყდეს, რომ საქართველო სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლებას არავის მივცემთო — ბობოქრობდა ბობოხიძე, რომელიც ხან სააკაშვილის გულის ხვაშიადს ახმოვანებს, ხან იმ ადამიანებს ეტანება საცემრად, რომელთა გალახვა იცის, რომ სააკაშვილს ეამება.

ასეა თუ ისეა, სააკაშვილის და მისი გუნდის რეაქცია აშშ-ს ოფიციალური ელჩის მისამართით უკომპრომისო და გამომწვევი ხასიათის იყო, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სააკაშვილი და ნაც.მოძრაობა სულაც არ აპირებენ ოქტომბრის არჩევნებში თვითნებობისა და გაყალბების მრავალგზის ნაცად მეთოდებზე უარის თქმას და ძალაუფლების დათმობას.

* * *

ბიძინა ივანიშვილის და მისი კოალიციის მიერ მრავალჯერ, კატეგორიული ტონით გაცხადებულ პრინციპულ მოსაზრებას, რომ ხელისუფლების შეცვლის ერთადერთ საშუალებად არჩევნები მიაჩნიათ, ანალიტიკოსები და ექსპერტები იმით ხსნიან, რომ ივანიშვილი და კოალიცია ანგარიშს უწევენ აშშ-ს ადმინისტრაციას და ცდილობენ. მისი ფავორიტი სააკაშვილი, რომელზეც ამერიკელი ხალხის უზარმაზარი თანხები დაიხარჯა, მშვიდობიანად, ნაკლები ხმაურით და ნაკლები სკანდალით ჩამოაშორონ ხელისუფლებას, რითაც, ასე ვთქვათ, სახე შეუნარჩუნონ აშშ-ს რომელსაც სააკაშვილთან მიმართებაში, როცა მას დემოკრატიის შუქურად გვისახავდა, ან რაღაც შეეშალა, ან შეგნებულად, საკუთარი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში მფარველობდა აშკარად დიქტატორულ-ავტოკრატიული თვისებებისკენ მიდრეკილ, ფსიქიურად გაუწონასწორებელ პიროვნებას, რომელმაც არა მარტო საქართველოს, არამედ

ამერიკის ინტერესებსაც სერიოზული დარტყმა მიაყენა თავისი უკონტროლო და არაადეკვატური ქმედებებით.

ბიძინა ივანიშვილს, თავისი უზარმაზარი ავტორიტეტით, დიდი ფინანსური შესაძლებლობებით, თავისუფლად შეეძლო პოლიტიკაში მოსვლის პირველსავე დღეებში მთელი საქართველო გამოეყვანა გარეთ და სააკაშვილის რეჟიმი დროის მცირე მონაკვეთში დაემთავრებინა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, რაც მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოების მხრიდან სათანადოდ იქნა დაფასებულიც და შეფასებულიც.

სწორედ ამის დასტური გახლდათ 18 ქვეყნის ელჩის სტუმრობა მის რეზიდენციაში, რაც უპრეცედენტო შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს — კერძო პირს, რომელმაც ჯერჯერობით მხოლოდ პოლიტიკაში მოსვლის განცხადება გააკეთა, 18 ქვეყნის ელჩი სახლში სტუმრობდეს, იშვიათი ამბავია.

პირველ ხანებში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ დრო გადიოდა და ამ 18 სახელმწიფოს და მათ შორის აშშ-ს ოფიციალურად გამჟღავნებულ მხარდაჭერას სათანადო შედეგი არ მოსდევდა — ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების საკითხი, მიუხედავად თავად ივანიშვილის და მისი გარემოცვის ოპტიმისტური განწყობისა, ვერ გადაწყდა. გაგრძელდა კონტროლის პალატის რეპრესიები ივანიშვილის წინააღმდეგ, კიდევ უფრო გაძლიერდა ივანიშვილის მხარდამჭერთა დევნა და შევიწროება, ყველაფერი „ეს კი „ენდიაის“ და „აირაის“ კვლევებმა „დააგვირგვინა“, სადაც ერთ-ერთი ბოლო მონაცემით, ბიძინა ივანიშვილს გიორგი თარგამაძემ გაუსწრო — საქართველოს მოსახლეობის 28 პროცენტი, როგორც ოპოზიციონერს, თარგამაძეს ენდობა, ივანიშვილს კი მხოლოდ 21 პროცენტი წყალობს თურმე...

მთელმა საქართველომ იცის და „რაირაიმ“ როგორ არ იცის, რომ თარგამაძე ისეთივე ოპოზიციონერია, როგორც „პადოშაა“ დალაი ლამა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ამ სერიოზულ ორგანიზაციას კიდევ

ერთხელ შეაყაროს ნაცარი საქართველოს მოსახლეობას ისედაც ნაცრით სავსე თვალებში.

* * *

ძნელი დასაჯერებელია, რომ მიშა მართლაც ისეთი მაგარია, რომ აშშ-საც არ ეპუება და კვლავ თავის ჭკუაზე აპირებს ქვეყნის მართვასაც და არჩევნების ჩატარებას.

ძნელი დასაჯერებელია, რომ აშშ-ს ისეთი კვლევითი ორგანიზაციები, როგორიც „ენდიაი“ და „აირაი“ შემთხვევით დებდნენ ასეთ გამაოგნებელ შედეგებს და შავის თეთრად წარმოჩენის ტრადიციას შემთხვევით აგრძელებდნენ.

კიდევ უფრო ძნელი დასაჯერებელია, რომ აშშ ვერ ხედავდეს და ვერ ამჩნევდეს, თუ როგორ მკაცრდება ისედაც მკაცრი პოლიციური რეჟიმი საქართველოში და როგორ ვშორდებით დემოკრატიულ ფასეულობებსა და ღირებულებებს.

ყოველივე ამის შემდეგ, რატომ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ აშშ მაინც ვერ ელევა თავის „რჩეულს“ და კვლავ ჯიუტად ცდილობს საკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებაში დატოვებას?

სწორედ ამას ხომ არ ემსახურება „ენდიაისა“ და „აირაის“ ფერად-ფერადი ზღაპრების ტირაჟირება და სასურველის სინამდვილედ წარმოჩენის მცდელობა?

* * *

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მავანნი და მავანნი დაბეჯითებით არწმუნებენ ბიძინა ივანიშვილს, რომ მას დიდი მხარდაჭერა აქვს აშშ-ს ოფიციალური წრეების წარმომადგენლებისგან და ეს მხარდაჭერა აუცილებლად დადებითად აისახება ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზეც.

შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეს რაღაც ბოროტი განზრახვით კეთდება და ამ ადამიანებს შეგნებულად შეჰყავთ შეცდომაში ბიძინა ივანიშვილი და ქართველი ხალხი.

მიზეზი მარტივზე მარტივია — ამ ადამიანებს სურთ ხაზი გაუსვან თავიანთ განსაკუთრებულ მისიას და როლს და საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს სწორედ ისინი არიან გამარჯვების ერთადერთი გარანტორები, თუმცა „სინამდვილეში“ მათი ზედმეტი აქტიურობა და მუდმივად წინა პლანზე ყოფნა ივანიშვილის რეიტინგს სასიკეთოდ არ არგია — საქმე ის არის, რომ ქართველი ხალხის დიდ ნაწილს არ უყვარს ამერიკელები, რაც თვითონ ამერიკელების ფარისევლური პოლიტიკის და ამ პოლიტიკასთან ასოცირებული სააკაშვილის დიდი დამსახურებაა.

თუმცა, მოდით, ამ საკითხის ფართო განხილვისგან ამჯერად თავი შევიკავოთ და კვლავ იმ კითხვას დავუბრუნდეთ — უჭერენ თუ არა ამერიკელები მხარს ივანიშვილს და რამდენად სერიოზულია ეს მხარდაჭერა?

გლობალისტური იდეოლოგიის მთავარი პრინციპების გათვალისწინებით, რომლის მთავარი მედროშე აშშ გახლავთ, ამერიკელებს არ შეიძლება გულწრფელად მოსწონდეთ და უყვარდეთ ბიძინა ივანიშვილი, კაცი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით, თავისი ფილოსოფიით, თავისი მსოფლმხედველობრივი კონცეფციით ქართული სახელმწიფოს აღორძინებასა და მის განვითარებას ემსახურება.

ამერიკელებს არ შეიძლება უყვარდეთ კაცი, რომელიც იტყვის, რომ ბავშვი დედამ უნდა აღზარდოს, საიდანაც ერთი ნაბიჯია დასკვნამდე, რომ ადამიანი სამშობლომ უნდა აღზარდოს, რომ ადამიანი, პირველყოვლისა, საკუთარ სამშობლოს უნდა ემსახუროს და ამით ემსახუროს მთელ კაცობრიობას.

ივანიშვილი არა, მაგრამ ამერიკელებს, გნებავთ, რუსებს, გნებავთ, ევროპელებს შეიძლება უყვარდეთ და მოსწონდეთ გიორგი თარგამაძე ან „პადოშა“ ან აკო მინაშვილი, ან სულაც ბოცო წიკლაური...

როგორც ჩანს, საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გააკეთოს ერთი უმთავრესი დასკვნა — ნაკლები ყურადღება უნდა მიაქცოს იმას, ვის უჭერს მხარს რომელიმე უცხო სახელმწიფო და არჩევანი ამის მიხედვით კი არა, იმ ნიშნით უნდა გააკეთოს, ვის უმგერს გული საქართველოსთვის და ვინ არის მზად თავგანწირვისთვის.

ბევრჯერ ითქვა და კიდევ ერთხელ გავიმეორებთო: **ამ არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის დამარცხება მთელი საქართველოს და თითეული ქართველის დამარცხებას ნიშნავს. სხვათაშორის, იმ ქართველის დამარცხებასაც ნიშნავს, რომელსაც ჰგონია, რომ ივანიშვილზე გამარჯვებით ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც დიდ ბედნიერებას მოუტანს.**

გიორგი

◘ გამეზარდაშვილი

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ori politikuri centris Camoyaliibebam SeiZleba saqartvelo daSlamde miiyvanos...

„საერთო გაზეთის“ დღევანდელი სტუმარი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი, საკრებულოს დეპუტატი, ისტორიკოსი ჯაბა სამუშია...

— ბატონო ჯაბა, თქვენ ჩემი რესპოდენტი პირველად ბრძანდებით და იმედი მაქვს იმ თემებზე, რომელიც დღეს ქართულ სინამდვილეში განსაკუთრებით აქტუალურია, გულახდილად მესაუბრებით...

— კი, ბატონო, არ არის პრობლემა...

— თქვენი აზრით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სახელისუფლებო არხები შემთხვევით ამბობენ ასეთ ფრაზას „საქართველოს მეორე დედაქალაქი“ და კიდევ, სააკაშვილი ასე რატომ ჩქარობს ქუთაისი მეორე პოლიტიკურ ცენტრად წარმოაჩინოს?

— ჩემი აზრით, ეს არის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში და ხელისუფლება ცდილობს ამგვარი მანიპულირებით ქუთაისელთა გულის მოგებას, მაგრამ სახელმწიფოებრივი აზროვნება არჩევნებიდან-არჩევნებამდე ხომ არ უნდა განისაზღვრებოდეს? დამეთანხმეთ, რომ სახელმწიფოებრივი აზროვნება უფრო მეტია, ვიდრე არჩევნები და როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ორ დედაქალაქზე, ორ პოლიტიკურ ცენტრზე და ა.შ. ამის ანალიზი უფრო გვჭირდება და არა ის, თუ რა სჭირდება მიხეილ სააკაშვილს არჩევნებისთვის! პირადად მე, ამ შემთხვევაში ეს ნაკლებად მაინტერესებს, მაგრამ ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატები ვთვლით, რომ ამდაგვარი თემებით მანიპულირება არათუ შეცდომაა, არამედ ძალიან სახიფათოც! უფრო მეტიც, ქვეყნის შიგნით ორი პოლიტიკური პოლუსის გაჩენა არ შეიძლება და მითუმეტეს არ შეიძლება ამ თემების გამუდმებული მანიპულირება! როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ მეორე დედაქალაქის გაჩენაზე, აქ უნდა ამოვიდეთ პირველი ბიუჯეტით, მეორე სახელმწიფო ინტერესიდან და მესამე ისტორიული რეალობიდან და ისტორიული ფაქტორით! აი, ეს სამივე ფაქტორი მიუთითებს იმას, რომ ასეთი გადაწყვეტილებები საკმაოდ სენსიტიურია, იმიტომ, რომ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ თბილისზე, როგორც საქართველოს დედაქალაქის ფაქტორზე, უნდა ვიცოდეთ, რომ ამ შემთხვევაში და ადრეც, თბილისი მხოლოდ საქართველოს დედაქალაქი კი არ გახლავთ, არამედ კავკასიაში ლიდერი ქალაქის ფუნქცია ჰქონდა ოდითგანვე და ეს ნურც აზერბაიჯანელებს ეწყინებათ და ნურც სომხებს! ისტორია ამას გვიჩვენებს შემდეგნაირად, როდესაც რუსეთი კავკასიაში მკვიდრდებოდა და იქმნებოდა ერთგვარი კავკასიური მასშტაბის სამეფისნაცვლო, მეფისნაცვალი იჯდა თბილისში! შემდგომ შეიქმნა და რამდენიმე თვე იარსება, ამიერკავკასიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და მისი ცენტრიც იყო თბილისი! როდესაც შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი, ანუ კავკასიის პარლამენტი, მისი ცენტრიც იყო

თბილისი, ანუ მე ამით იმის ხაზგასმა მინდა, რომ თბილისს ოდითგანვე ჰქონდა ისტორიული მნიშვნელობა კავკასიის მასშტაბით! ახლა, რაც შეეხება მთელი, საქართველოს მასშტაბით, თბილისის, როგორც დედაქალაქის მნიშვნელობას...

ქალბატონო ირინა, ვიდრე ამ თემას მივუბრუნდები, მინდა აქვე დავამატო, რომ ქუთაისის მიმართ მე ჩემი განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული მაქვს. ეს არის ჩემი პირადი, ნათესაური ურთიერთობებიდან დაწყებული, უდავოა, რომ ქუთაისი სუფთა ქართული ქალაქია, თუმცა საქართველოში მოსახლეობის 30-35 პროცენტი არაქართველი მოსახლეა, ისინი, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში არიან დასახლებული კომპაქტურად და ერთადერთი დიდი ქალაქი, რომელ ქალაქშიც ჩანს, ეს ინტერკულტურული გარემო არის მხოლოდ თბილისი. ანუ, ეს მრავალეროვნული ტრადიცია თბილისს ყოველთვის ჰქონდა და ეს იყო ერთგვარი მიკროსაქართველო თბილისის მასშტაბით — ეს ერთი მხარე! მეორე ეს არის თბილისის მდებარეობა, რომლის მიხედვითაც იგი არ ეკუთვნის არცერთ კონკრეტულ კუთხეს და რეგიონს! შეიძლება ვინმემ თქვას, რომ თბილისი ეკუთვნის შიდა ქართლს, მაგრამ მტკვრის ეს ზოლი, რომელიც იწყება მცხეთასთან და მთავრდება დაახლოებით რუსთავის მიმართულებით, ერთი კონკრეტული კუთხის კუთვნილება არასოდეს არ ყოფილა და გარდამავალი ზონაა, ანუ თბილისი თავისი მდებარეობით ერთადერთი ქალაქია მთლიანად საქართველოში, რომელიც ესაზღვრება თითქმის ყველა დიდ ქართულ კუთხეს. ეს არის, სამხრეთ საქართველო ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთის ზონა, საქართველოს მთიანეთი და ა.შ. ანუ, ამ შემთხვევაშიც გეოგრაფიულადაც თბილისს გამორჩეული მდებარეობა და ფუნქცია აქვს, გამიგეთ? რა თქმა უნდა განუზომლად დიდი ფუნქცია აქვს ქუთაისს ქართულ სინამდვილეში, მაგრამ დააკვირდითმ რა გააკეთა დავით აღმაშენებელმა, როცა თბილისი აიღო? მან ტახტი გადმოიტანა თბილისში, რადგან ხედავდა ამ ქალაქის სტრატეგიულ დანიშნულებას არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ რეგიონის თვალსაზრისითაც და ეს ყველაფერი ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან იყო გამომდინარე!

— ჯაბა, ძალიან საინტერესოა ფინანსური თვალსაზრისით რამდენად გამართლებულია პარლამენტის ქუთაისში გადატანა? ან თუ არის წლევანდელი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ამ მიდი-მოდისთვის?

— საქმეც იმაშია, რომ ეს თანხები ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის!! პარლამენტის ქუთაისში გადატანა და თბილისში მთავრობის დატოვება, ხომ ყველამ ვიცით, რომ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს? ჩვენი გაანგარიშებით, მთელი ამ ინფრასტრუქტურის გადატანა დაახლოებით 140 მილიონამდე ჯდება და თუ ვინიცობაა, მთავრობის ინფრასტრუქტურის ქუთაისში არ გადაიტანენ, ხარჯები უფრო გაიზრდება, რადგან პარლამენტი და მთავრობა ყველაზე უფრო ჰარმონიულად თანაარსებობენ ერთმანეთთან და ერთმანეთთან მივლინებების რეჟიმში ურთიერთობა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა თანხებზე ავა?

— ორი პოლიტიკური ცენტრის არსებობს ქვეყნისათვის შესაძლოა დამღუპველი გამოდგეს! ძალიან მდიდარ ქვეყნებს ევროპაში თუკი მეორე დიდი ქალაქის ეკონომიკურად წამოწევა უნდათ, პარლამენტი კი არ გადააქვთ იქ?

— მსოფლიოში, თითზე ჩამოსათვლელია ის ქვეყნები, სადაც დედაქალაქის ფუნქცია აქვს ორ ქალაქს, მაგალითად, ამერიკაში ასეთია ვაშინგტონი და ნიუ-იორკი, ნიდერლანდებში ამსტერდამი და ჰაგა, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში ორი პოლიტიკური ცენტრის გამოჩენამ ისტორიულად ძალიან ცუდი შედეგები მოიტანა და ქვეყანა დაშლამდე მიიყვანა! ანუ ამით მე იმის ხაზგასმა მინდა, რომ პოლიტიკური ცენტრების ასე გადანაწილება არის დანაშაული და არ შეიძლება! შეიძლება ქუთაისი ეკონომიკურად დააწინაურო, გაცილებით მეტი ინვესტიცია გაუშვა ამ ქალაქში და ეს თავისთავად ძალიან კარგი იქნება, მაგრამ ქუთაისს, მეორე პოლიტიკური ცენტრის პოლიტიკური ელფერი არ უნდა შესძინონ! ორი თანაბარი რანგის პოლიტიკური ცენტრის არსებობა, ვიმეორებ ძალიან ცუდია, მაგრამ თუკი ხელისუფლებას ეყოფა გამბედაობა, უნდა თქვას, რომ თბილისი ამდაგვარი მიდგომებით დაკარგავს თავის დედაქალაქობას!

— ჯაბა, ასე ჰაიჰარად, ვიღაცის ნება-სურვილებით უნდა ხდებოდეს დედაქალაქების გადატანა-გადმოტანის საკითხები? საზოგადოება არ უნდა მონაწილეობდეს ამ საკითხების გადაწყვეტაში?

—აი, სწორედ ეგ არის ქრისტიან-დემოკრატების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. პირდაპირ გეუბნებით, არათუ პრეზიდენტის, არამედ არც ერთი პოლიტიკური პარტიის გადასაწყვეტი არ არის დედაქალაქების ასე გადატანა-გადმოტანის საკითხი. ეს უნდა გადაწყვიტოს საზოგადოებამ, საქართველოს ყველა კუთხეში მცხოვრებმა ადამიანებმა, რადგან დედაქალაქი არა მხოლოდ ქუთათურების ანდა თბილისელების არის, არამედ სრულიად საქართველოსია და მათ აუცილებლად უნდა ჰკითხონ, სად მოიაზრებენ ისინი ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრს, გამიგეთ?

— ე.ი. წმინდა სარეფერენდუმო თემაა და ვინ მისცა უფლება ნაც. მოძრაობას, თუნდაც ჩემს მაგივრად გადაწყვიტოს თბილისი იქნება დედაქალაქი, ქუთაისი, ბათუმი თუ სოხუმი?



— რა თქმა უნდა, რეფერენდუმით უნდა გადაწყდეს, ამას რად უნდა ლაპარაკი? მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ჩემს პოზიციას დავაფიქსირებ, სხვა — თავისას, მაგრამ ასე მეესეულად, ასე 150 კაცის გადაწყვეტილებით და ასე ერთი ხელის დაკვრით დედაქალაქების გადატანა-გადმოტანები არ შეიძლება! მე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ თვით ვახტანგ გორგასალმაც კი, როცა მან მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა დედაქალაქი, ვერ შესძლო, ამ რეფორმის ბოლომდე გატარება იმიტომ, რომ თითქმის ერთი საუკუნე დასჭირდა ამ პროცესს. ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ „მცხეთა იცლებოდა და თბილისი ძლიერდებოდაო“.

— არადა მცხეთა და თბილისი ერთმანეთთან ერთ მტკაველზე არიან, როცა ქუთაისამდე აქედან კარგა დიდი მანძილია.

— რასაკვირველია... საქმე იმაშიც არის, რომ სახელმწიფოებრივად რა პერსპექტივა აქვს ამ ნაბიჯს? თუ აქედან ამოვდივართ, მაშინ ჩვენ აუცილებლად უნდა გვქონდეს გათვლილი წლების შემდეგ რა პროცესები შეიძლება განვითარდეს? არ დაგვავიწყდეს, რომ პერსპექტივით ჩვენ, ძალიან სავალალო და უარყოფითი შედეგები შეიძლება მივიღოთ, რადგან თბილისი სწორედ იმ რეგიონებს ესაზღვრება, სადაც კომპაქტურად არაქართველი მოსახლეობაა დასახლებული! ბუნებრივია, ეს თემაც გასათვალისწინებელია, რადგან ჩვენი მოქალაქეების ამ ნაწილმაც უნდა იგრძნოს, რომ ქართული სახელმწიფოს ნაწილი არიან და აი, ამ პოლიტიკის ძირითადი გამტარებელი აღმოსავლეთ საქართველოში, ამ შემთხვევაშიც არის თბილისი! მეტიც, სწორედ თბილისმა აჩვენა მთელ საზოგადოებას ის თუ, როგორ შეიძლება აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების ადამიანების ერთ ქუჩაში მშვიდობიანად თანაცხოვრება მაშინ, როცა ამ ორ ერს შორის ომი მიმდინარეობდა...

— აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ჯერ კიდევ თბილისში, პარლამენტის შენობის წინ სწორედ ამ ორი ეროვნების ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი და სიტუაციის დაძაბვას არაფერი აკლდა...

— იცით, რა? პოლიტიკური ელიტის თბილისიდან გასვლის შემთხვევაში, ამ თემებმა შეიძლება ძალიან ცუდად იმუშაოს!

— ამიტომ ვამბობ, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდან გადადგმული, ნებისმიერი ნაბიჯი-თქო, გამიგეთ?

— იცით რა მგონია? რომ სააკაშვილს ქუთაისში პარლამენტის გადატანა ვიღაც გარე ძალამ უკარნახა და ეს კიდევ, როგორც ყოველთვის, მარიონეტივით ემორჩილება.

— მოდით, ასე ვთქვათ, რა? რას აძლევს ქუთაისს პარლამენტის ამ ქალაქში გადატანა? მაქსიმუმ 1500 კაცს, რომელიც იქ ჩავა და დასაქმდება, ანუ 1500 სამუშაო ადგილს, ხომ? ამ 1500 კაციდან ნახევარი, შეიძლება არც კი იყოს ქუთაისელი, რადგან ხშირ შემთხვევაში ასე ხდება! ჩემი აზრით, უფრო უპრიანი იქნებოდა, ქუთაისს დაბრუნებოდა ის საგანმანათლებლო ფუნქცია, რად ოდითგანვე ჰქონდა და იგი გვექცია საუნივერსიტეტო ქალაქად! მე გეუბნებით — არაფრის მომცემი არ არის იქ პარლამენტის გადატანა, არაფრის მომცემი არ არის!

ირინე გოგოსაშვილი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

saakovma dagvibara...

არ ვიცი, სხვას რა განცდები აქვს, მაგრამ ქართული ე.წ. პოლიტიკის შემხედვარეს, გამოგიტყდებით და დიდად ოპტიმისტური განწყობები არა მაქვს, მეტიც, შინაგანად რაღაც საგანგაშოს მოახლოებას ვგრძნობ, აი, რუსები რომ იტყვიან, „ვნუტრენაია ტრევოგაო“, ისეთს და ჩემდა გასაკვირად, ასეთი განცდები თურმე არა მხოლოდ მე, არამედ ჩემს სამეგობროსა და სამეზობლოსაც ჰქონია...

ყველა უბედურებასთან ერთად გუშინწინ ექვსამდე ბალის სიმძლავრის მიწისძვრაც მოხდა და აღმოსავლეთ საქართველოში ეს ბიძგები თურმე ისეთი სიხშირით განმეორდა, კახელებს ჰგონებიათ, რამდენიმე წუთში სახლები თავზე ჩამოგვექცევაო.

რა მაგის პასუხია და 2003 წლის შემდეგ ნაც. მოძრაობამ ისეთ პოლიტიკურ თუ სოციალურ რყევებს მიგვაჩვია, რომ ერთგვარად იმუნიტეტიც კი გამოგვიმუშავდა და წყალდიდობებს, მიწისძვრებს, ქარიშხლებსა თუ სხვა სტიქიურ მოვლენებს, გულგრილად შევყურებთ და ვითომც არაფერი მომხდარა, გულარხეინად განვაგრძობთ ცხოვრებას.

აი, საფრანგეთში კი სულ სხვაგვარად ხდება და ნიკოლა სარკოზისათვის 6 მაისის ღამე და 7 მაისის დილა, მართლაც სტიქიური მოვლენის ტოლფასი იყო, როცა ის მემარცხენე ფრანსუა ოლანდმა მეორე ტურში დამაარცხა და საფრანგეთი „სარკოზის სარკომისგან“ გაანთავისუფლა! რა გვაცინებს, მაგრამ სარკოზის მარცხისგან ცხვირპირი ჩამოსტიროდათ და საფრანგეთში საქართველოს ელჩი რომაა კუდავა, იმას ხომ დანა პირს არ სირებლად, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ შიში ოხერი რამეა და რუსებსაც ისე შეჰყრიათ, როგორც ჩვენ საკაშვილის შემხედვარეს! ჩვენ კი არადა, მიშას შემხედვარე, ნიკოლოზ საკაშვილის (მიშას ბიოლოგიური მამა) მეუღლე გარდაცვლილა, ანუ მიშას დედინაცვალი და როგორც თვითმხილველმა მიამბო – ეს ჩვენი „ერის იმედი“ სამძიმარზე ისეთ „ფორმაში“ მისულა, სანათესაოს უკითხავს: რა გჭირს, რა ფერი გადევს, ხომ ჯანმრთელად ხარო?

სხვათაშორის, მიშა საკაშვილის უცნაურ, არაბუნებრივ სახის ფერზე კახელებმაც მიამბეს ერთი ისტორია, უფრო სწორად კი წინანდალში 600 კაციან პურ-მარილზე, როგორი მომაკვდავის მიხრა-მოხვრით, თითქმის მოლურჯო-მოშავო სახის ფერით გამოცხადებულა საკაშვილი. ალბათ, ყველას მოგეხსენებათ, რომ ჭავჭავაძიანთ სასახლეში დიდი სარესტავრაციო სამუშაოები შესრულდა და ამის აღსანიშნავად, მთელი კახეთის „მაღალ ღუბერნატორობა“ კულტურის სამინისტრო და ნაც. მოძრაობის ბულბულ-იადონებიც, წინანდალში შეკრებილან „თითო ჭიქის ასაწევად“ და განახლებული ჭერის დასალოცად. როგორც მიამბეს, პურ-მარილი 600 კაცზე იყო გაშლილი, ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას, მაგრამ სტუმრების ნაწილს, ვერ მოუხერხებია მისვლა და მაქსიმუმ 300 კაცი მისჯდომია „სიმწრით ნაშოვნ“ ხორაგს. საკაშვილიც გამოჩენილა, მაგრამ ვაი, იმ გამოჩენას – თურმე უაზროდ იღრიჭებოდა, თვალები თევზისას მიუგავდა, ათას სისულელეს როშავდა და არიგებდა ხან – მარცხნივ და ხან – მარჯვნივ, მაგრამ სახეზე თურმე ისეთი შემზარავი ფერი ედო, თვით „ნაცებსაც“ აღუნიშნავთ ჩუმად –„ვაიმე, ნახე რა სჭირსო!“

ამ ჩემს ახლობელს „პრეზიდენტისთვის“ თვალი ვერ მოუწყვეტია და თურმე დაჟინებით, ასე 5 წუთის განმავლობაში შესცქეროდა, მაგრამ ეგ არაფერი მიშას დაცვას ასეთი „მიშტერება“ თვალიდან არ გამოპარვია და ისე გამოუხედავთ ამ ჩემი ახლობლისთვის, საწყალს მადა დაკარგვია და სულ მალე სუფრიდანაც წამოსულა – რაღაც ვერა ვარ კარგადო. ამ ჩემმა ახლობელმა თბილისში ჩამოსვლისთანავე დამირეკა და მითხრა: „იცი, ადამიანურად შემეცოდა ეგ უბედური, ვფიქრობ, დიდხანს ვეღარ იცოცხლებს ისეთი შავ-ლურჯი სახის ფერი აქვს, თანაც ხომ იცი, ერთი ნერწყვი რომ გადასცდეს, წასულია მაგის საქმე, ხელში ჩააკვდება საკუთარ დაცვას და რაღა დაგიმალო, როგორც ადამიანი, ძალიან მეცოდებაო“.

– რა სჭირს შენი შესაცოდი, შე მართლა უბედურო, ან ნერწყვის გადაცდომა რას ნიშნავს, ვერ მიგიხვდი? – შევეკითხე მე.

– „გოგო, კოკაინზე ვინც ზის, ეგრე ემართებათ, ლაპარაკის დროს ძალიან საშიშია დორბლების ყრა, რადგან თუ გადასცდათ, მერე ვეღარ სუნთქავენ და იხრჩობიანო. ისე, მიშა ჯერ ეგეთი მშვიდი არ მინახავს, განაბული შემოვიდა და განაბული იჯდა, მარტო სულელივით იკრიჭებოდა, თორემ ყვირილი, ხმამაღალი ლაპარაკი და ეგეთი რაღაცები რომ იცის, იმ დღეს მსგავსი არაფერი ყოფილა. ეტყობა იცის კოკაინის ვერაგი სიურპრიზები და ამიტომ იყო მშვიდადო“.

– სხვა რა ხდებოდა თელავ-წინანდალში, არ მეტყვი?

– რა მოხდა და ვიტია ტომასიანის მამა დაიღუპა საწყალი...

– ეგ რომელია, ვიცნობდი?

– დუტას ბაბუა ქალო, რამ გამოგაშტერა?

– დუტა სხირტლაძის?

– ჰო, დუტა ტომასიანის, სხირტლაძე მერე გახდა, ჰოდა დუტას მამის, ვიტიას მამა გარდაიცვალა და დაკრძალვაზე 25-30 კაცის გარდა არავინ მისულა...

– საწყალი ვიტიაც ხომ მოკვდა, კარგი ბიჭი იყო ის უბედური, მაგრამ რა უბედურებაა დაკრძალვაზე მიუსვლელობა გამოშტერდით თელაველები?

– მომისმინე კარგად? ჯერ ერთი დუტამ თავის თავს დააბრალოს აქ რომ აღარ უყვართ და მეორეც, ვინმეს გააგებინეს კაცი რომ მოკვდა? დაკრძალვაზე 15-20 კაცი თვითონ ტომასიანები იყვნენ, ერთიორი დუტას თბილისელი ძმაკაცი და დანარჩენები კიდე ახლო სამეზობლო. იცი, რაშია საქმე? დუტამ თელავის თეატრი ფაქტიურად, დანგრია, მსახიობები ერთმანეთს წაკიდა, ბევრი ადამიანი სამსახურიდან გაათავისუფლა და რატომღაც უნდა სცენ პატივი? მაგის დედის მშობლები დოდიკა სხირტლაძე და ბებია თინა ბურბუთაშვილი ამ თეატრში ცხოვრობდნენ და ალბათ, ახლა საფლავში ტრიალებენ, მაგათი შვილიშვილი ასე რომ იქცევა!

ისე, ერთი, ყურში საყურეღა აკლდა და ეგეც გაირჭო ამ მასხარამ! თელაველები ემუქრებიან ძალიან, ვნახოთ, შეიძლება ერთი-ორმა ალიყურმა ჭკუაზე მოიყვანოს, რა იცი? პაატა გულიაშვილის მამა, თეატრის მსახიობი რა, დუტას საქციელმა არ მოკლა? ზოგადად კი თელაველებს რომ „ნაცები“ და მისი „შპანა“ გულზე არ ეხატებათ, ახალი ამბავი არ არის და აქ რომ ეგდო საკაშვილი, მოედანზე მარტო ავტობუსებით მოყვანილი ხალხი იდგა.

– ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენაზე რას ამბობენ?

– რა ვიცი, აბა? გულახდილად რომ გითხრა, მაგის ოფისთან მე ბევრი ხალხი არასოდეს დამინახავს და ჩვენში რომ დარჩეს, არც ოფისის შიგნით მოთავსებული ხალხისგან გვიგვრძნია დიდი აქტიურობა და გამარჯვების სურვილი! რა, ვიცი, აბა? თუ გინდა, დაწერე ეგ ამბები, იქნებ დაუცაცხანოს თავისიანებს და რაღაც აამოძრაოს, თორემ ნამეტანი პანაშვიდია კახეთში და ხომ უნდა დამთავრდეს ეს უბედურება?

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო!

საკაშვილის ერევნულმა ხელისუფლებამ, როგორც შეიტყვეთ ერეკლესდროინდელ თელავის თეატრს დუტა ტომასიანის (სხირტლაძის) ხელით განაჩენი გამოუტანა და როდის დახურავენ ამ უდიდესი კულტურის ცენტრს თელავში და როდის გაყიდიან ამ შენობას, არავინ იცის!

ისე კი, არც იქნება გასაკვირი, რადგან მეფე ერეკლეს სამეფო რეზიდენციის შენობა ამას წინათ ირანელებს ჩაუგდეს ხელში (სპარსელებს) რესტავრაციის მოტივით და „ნაცებს“ თეატრის შენობა დაენანებათ?

ირინე გოგოსაშვილი

fiqriukas fiqrebi _ damoukidebeli viqnebi!

– „ახალმა მემარჯვენეებმა“ გადავწყვიტეთ, ამჯერად დამოუკიდებლად ვიბრძოლოთ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ, რომელიც რაც თავი მახსოვს სულ ასეთია – ახალგაზრდა, დამაჯერებლად მოსაუბრე, ცოტა რომანტიული შეფერილობით მეტყველებით, რომელიც მამალ ტყუილსაც კი ისე მიამიტურად და საყვარლად იტყვის, რომ კარგა ხანს შეიძლება ეს ტყუილი სიმართლე გეგონოს.

რაც თავი მახსოვს, სულ ასეთია ქალბატონი ფიქრია – სულ ახალგაზრდაა, არადა, ხსოვნით საკმაოდ დიდი ხანია რაც მახსოვს, ჯერ კიდევ იმ დროიდან ზვიად გამსახურდიას ჩაუშესკუს რომ ეძახდა, მერე შევარდნაძეს რომ უწლიქავდა ენას და ედო ბაბუო, რომ წაუღუღუნებდა ხოლმე, იქიდან.

დიდი დრო გავიდა იმ დროიდან, თუმცა ქალბატონი ფიქრია ჯერ კიდევ იმდენად ახალგაზრდაა, რომ ქალბატონის დაძახება მერიდება.

ჰოდა, ამ მარად ახალგაზრდა ფიქრიუკამ გასულ კვირას მორიგი სენსაციური განცხადება გააკეთა – დამოუკიდებლად გავდივართ ბრძოლის ველზე და მეტოქეებს სულ ბდღვირი უნდა ვადინოთო.

ფიქრიუკას ამ ისტორიულ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე მისმა ლიდერმა, ექიმმა, ბიზნესმენმა, მეწარმემ და პოლიტიკოსმა დავით გამყრელიძემ ბრძანა: ამ საპარლამენტო არჩევნებში ჩემი პარტია პარლამენტში თუ არ შევიყვანე, დაკავებული თანამდებობიდან გადავდგებიო.

ვაა, გადამრევენ ეს „ახალი მემარჯვენეები“ – მხარდამჭერები ამათ არ ჰყავთ, რეიტინგი ამათ არ აქვთ, თუ დავუჯერებთ, ფულიც არ აქვთ და არჩევნებში გამარჯვებას და პარლამენტში შესვლას როგორ აპირებენ, კაცო?!

როგორ აპირებენ და ბიძინა ივანიშვილის ლანძღვის ხარჯზე!

ახლა მთავარი კოზირი ესაა – თუ ბიძინა ივანიშვილს სისტემატურად გალანძღავ, ნაცმოძრაობამ შეიძლება ზურგზე წამოგიკიდოს ან ჯიბეში ჩაგისვას და პარლამენტშიც შეგაპაროს.

სწორედ ამის იმედი აქვთ „ახლებს“, სხვა არანაირი რესურსი ამათ არ გააჩნიათ, ისე, როგორც არ გააჩნიათ სხვა „დამოუკიდებელ“ „ოპოზიციურ“ პარტიებს.

შეიძლება ბიძინა ივანიშვილი, როგორც პოლიტიკოსი, რაღაცით არ მოგწონდეს, შეიძლება მხარს არ უჭერდე, მაგრამ ქართველმა კაცმა, თუ ის მართლა ქართველია და მთლად სინდისგარეცხილი არ არის, როგორ შეიძლება არ დაინახოს ის უამრავი სიკეთე, რაც ამ ადამიანს საქართველოსთვის გაუკეთებია?

უმადურობას და უნამუსობასაც ხომ აქვს საზღვარი?

წინა საპარლამენტო არჩევნებში, როცა 25 დეპუტატი არ შევიდა პარლამენტში, ამბობენ, რომ ამ „შესანიშნავი იდეის“ ავტორი დავით გამყრელიძე იყოო, რომელმაც მორალურ-ზნეობრივი ნორმების ერთგულებით ახსნა ამ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა.

ამ დროს, როგორც ამბობენ, სწორედ ახლების ოფისში მიიტანეს ის ლურჯი ჩანთა, სადაც „არშემსვლელებისთვის“ განკუთვნილი 3 მილიონი იყო „ჩაპაჭკული“...

სულ ბოლოს „ახლებმა“ „ქდმ“-სთან ერთად საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებული გრძელვადიანი დებატების ფინალში კვლავ „ნაცმოძრაობას“ გაუგორეს კოჭი და სათანადო ჰონორარიც და ამომრჩეველთა სიების დათვლისა და გადამოწმების თავკაცობის პატივიც მათ ერთ-ერთ ლიდერს მამუკა კაციტაძეს ერგო.

ესაა თქვენი დამოუკიდებლობა, ქალბატონო ფიქრია და ასე აპირებთ თქვენ ამომრჩეველთა გულის მოგებას?

ნინო ვერელი

`Tu momklaven, davisveneb, aseT saqarTvelosi cxovreba me ar SemiZlia!~

არაერთხელ დაწერილი კულტურული მემკვიდრეობის თემასთან კიდევ ერთხელ შეხება აწ გარდაცვლილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, გურამ შარაძის მეუღლის წერილმა მიბიძგა, რომელიც ქალბატონმა სვეტლანამ (ბატონი გურამის მეუღლემ) ჩემი მშობლების სახლში მიიტანა. მისივე ნებართვით, გთავაზობთ წერილის ტექსტს, საიდანაც კიდევ ერთხელ დასტურდება ჩემიცა და ბევრის აზრიც, რომ **გურამ შარაძის მკვლელობა მუზეუმის საგანძურის გატანასთან პირდაპირ კავშირშია და ხელისუფლება მართლაც ეწევა ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის გაყიდვასა და განიავებას.**

გმართალია, გურამ შარაძის მიმართ საზოგადოებას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გააჩნდა – ზოგისთვის (სპეციალურად შექმნილი იმიჯით) დესტრუქციული, მარგინალური, ზოგისთვის ეროვნული პიროვნება, ზოგი უშიშროებასთან მის კავშირზეც კი ბედავდა საუბარს. პირადად მე, მას, როგორც მეცნიერს, ქართული საქმისთვის მებრძოლ მეცნიერსა და უშიშარ პიროვნებას ვიცნობდი და ფაქტია, რომ გურამ შარაძე მოკლეს სასტიკად და სხვებისთვის სამაგალითოდ, რადგან არავინ აღარ გაბედოს იმ საკითხთან შეხება, რომელშიც "ცხვირი ქართველებმა არ უნდა ჩავყოთ". ანუ მართლმადიდებლური სიწმინდეების თემასთან მიმართებაში მართლმადიდებლობისა და ქართულიეროვნული ფასეულობების მტერი კი ფარისეველ მწიგნობართა მასონურ-მონდეალისტური სტრუქტურები და "ვითომ დემოკრატიაზე" მოსაუბრე პოლიტიკოსები და ვითომ საზოგადო მოღვაწეები რომ არიან, ესეც ხომ ვიცით. სწორედ გურამ შარაძის სახელს უკავშირდება ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ცხოვრებაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისა და მუზეუმის სიწმინდეების გატანის თემა. მის ოდიოზურ და დესტრუქციულ პიროვნებად შერაცხვა კი "იმ ოპერიდან" არის, რომელიც ცნობილ ალენ დალესის დოქტრინას ეკუთვნის: **"სახელმწიფოს მართვაში დავამყარებთ ქაოსსა და არეულობას, ჩვენს მომხრეებს შევუქმნით ყველანაირ ყალბ ავტორიტეტს, ფარულად, მაგრამ აქტიურად წავახალისებთ ჩინოვნიკთა სირეგვნეს. პატიოსნებასა და წესიერებას. ისე გვათახსირებთ, რომ ისინი არავის დასჭირდება და გადმონაშთად იქცევა. დავნერგავთ თავხედობას, მატყუარობას, ლოთობასა და ნარკომანიას, ცხოველურ შიშს ერთმანეთის მიმართ, ნაციონალიზმსა და ხალხთა შორის მრტობას. . . ყველაფერი ეს აყვავდება აშკარად, მაგრამ ცოტანი თუ მიხვდებიან, რა ხდება, *ვინც მიხვდება, ჩავაყენებთ უმწეო მდგომარეობაში, გავხდით სასაცილოს, ცილს დავწამებთ და საზოგადოების მტრად გამოვაცხადებთ*".** ეროვნული საქმისთვის მებრძოლ ადამიანთა "უმწეო მდგომარეობაში ჩასაყენებლად", "დალესის დოქტრინის" მიხედვით, პიროვნებათა მარგინალიზაცია და მათი დესტრუქციულად შერაცხვა გამოიყენება. სწორედ ამ მეთოდს იყენებდნენ და ასეთ მარგინალიზაციას ჰქონდა ადგილი გურამ შარაძის მიმართაც.

ქალბატონი სვეტლანას წერილი ასე იწყება: "ქალბატონო ბაია! 2012 წლის 8 თებერვალს "საერთო გაზეთში წავიკითხე თქვენი წერილი – "ვინ ძარცვავს საქართველოს ეროვნულ საგანძურს... მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ჩემი მეუღლის, გურამ შარაძის ხსენებისთვის, ვინაიდან მე და ჩემი ოჯახი ამ ბედნიერებას მოკლებული ვართ. გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, მაგ. მამა ბასილისა და ერთიორი ადამიანის გარდა მას არავინ ახსენებს. თქვენმა წერილმა მიბიძგა იმისკენ, რომ მოგახსენოთ შემდეგი: ჩემი პირმშო შვილი ლაშა შარაძე დაიბადა 1965 წლის 12 მაისს. ეს დღე გახლავთ წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე. მე და ჩემი მეუღლე ბედნიერი ადამიანები ვიყავით ამ დღეს მანამ, სანამ უკეთურმა ჩემი შვილი ჩუმად, მიპარვით, ქურდულად არ გამოასალმა სიცოცხლეს. ამის შემდეგ, ყოველ 12 მაისს წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონის (მკურნალის) ტაძარში ვიხდიდით შეკვეთილ წირვას და პანაშვიდს. ასე იყო 2007 წლის 12 მაისსაც. წირვის შემდეგ ჩვენ და ჩვენი ახლობლები შევიკრიბეთ სასაფლაოზე. **გურამს ვიღაცამ დაურეკა და თურმე სთხოვა სასწრაფოდ შეხვედრა უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან.** ვინაიდან მე ორი ყავარჯნით დავდიოდი (2000 წლის 10 მარტს ჩემი სახლის წინ ჭავჭავაძის პროსპექტზე დამეჯახა თუ დამაჯახეს მანქანა, დღემდე გურკვეველია) არ დამტოვა სასაფლაოზე და ბავშვებთან ერთად სახლში წამომიყვანა. ნახევარ საათში მობრუნდა და ბავშვებმა კარი რომ გაუღეს, **ხელში შერჩათ ბაბუ, რომელიც ცხარე ცრემლებით ტიროდა.** შევიდა თავის ოთახში პირჯვრის წერით, დაკოცნა დედამისის და ლაშას სურათები. მერე მომიბირუნდა და მითხრა: **"ახლა შევხვდი ერთ კაცს, რომელმაც მითხრა თუ როგორ გაიყიდა ქართული განძი. გრეგ გუროვი ხომ ჩაძაღლდა (ავარიაში დაიღუპა), ახლა ჩამოდის მისი ძმა და მას მიაქვს ქართული სიწმინდეებიო. სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, არ გავატანო". აკი, დაუჯდა კიდეც. ამ უბედურებიდან ერთ კვირაში, 20 მაისს, გურამ შარაძე მოკლეს. დაკრძალვიდან ერთ კვირაში თუ ათ დღეში, ჩვენთან დარეკა ვიღაც ქალბატონმა ტირილით: –"განძი წაიღესო".** ვის მივმართოთ, ბატონი გურამი რომ აღარ გვყავსო". კი დავრეკე ვიღაც-ვიღაცებთან, მაგრამ აღარაფერს აზრი რომ არ ჰქონდა, გავჩერდი. **ერთმა ქართველმა "რაინდმა", "ვაჟკაცმა" და "დემოკრატმა" ბიჭმა დამირეკა ამ გამწარებულ ადამიანს და ასე მითხრა: "ქალო, შენ საქმე დაგელიაო. თუ წაიღეს, ისევ უკან ჩამოიტანენო (ისე იხაროს მისმა შთამომავალმა). სულ ვაფრთხილებდი** ჩემს მეუღლეს (თუ გნებავთ, დამძრახეთ) **"გური, გაჩერდი, თორემ მოგკლავენ, ტყვიას გესვრიან-მეთქი. მერე რაო, თუ ტყვიას მესვრიან, დავისვენებ. მე ასეთ საქართველოში სიცოცხელე არ მინდაო. აადამიანი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდებაო. წავალ და ჩემს ლაშიკოსთან დავწვებიო".** ღმერთია მოწამე, რამდენი შემოთავაზებები ჰქონდა: მთელი ოჯახით (ათი სული) ჰპირდებოდნენ ამერიკაში დასახლებას, საუკეთესო ბინებს, მაღალ ხელფასებს, ბავშვებისთვის სწავლა-განათლების მიცემას და სხვა სიკეთეებს (თუ ჩავთვლით ყოველივე ამას სიკეთედ.) პირადად მე მოსვენება არ მქონდა: თუ ტელეფონზე რეკვით (ბევრჯერ გინება და მუქარა არ დამკლებია), თუ სადარბაზოსთან დახვედრით, ნაცნობ-მეგობრების მოგზავნით, მაგრამ არც მე, არც ჩემს მეუღლესა და არც ჩემი ოჯახის წევრებს ერთი წუთითაც არ გვიფიქრია დაგვეტოვებინა ჩვენი უბედური ქვეყანა, ჩვენი სალოცავი მიწა-წყალი, ჩვენი საფიცარი საფლავები, ჩვენი საწყალი, მაგრამ მაინც გაუტეხელი და ვაჟკაცი ქართველი ხალხი. ბედის ირონიით, დღეს ჩემი ოჯახის რამდენიმე წევრი ემიგრანტია, რა თქმა უნდა, დროებით. ჩემს საწყალსა და გაუბედურებულ ქალიშვილს, რუსუდან შარაძეს შეიცარიის მთავრობამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა ქმარშვილთან ერთად. ქრისტიანი ადამიანი, რაც არ უნდა გამწარებული იყოს ამ გაუტანელსა და უბედურ წუთისოფელში, თავს ვერ იკლავს. მეც ვარ ცოცხალი. ველოდები, როდის ინებებს უფალი ჩემი სულის შეერთებას ჩემი საყვარელი და საფიცარი ადამიანების სულებთან. დიდხანს ვყოყმანობდი შემეწუხებინეთ თუ არა, მაგრამ მერე ვიფიქრე, ბოლოს და ბოლოს შვილად მეკუთვნის და არ დამძრახავს– მეთქი. პატივისცემით, ს. გახარია-შარაძე. 28/3. 2012 წელი". ქალბატონი სვეტლანას მსგავსად, მეც მაკვირვებს პოლიტიკოსთაგან რატომ არავინ აღარ ახსენებს ან გურამ შარაძის მკვლელობას, ან ეროვნული საგანძურისა და კულტურული მემკვირდეობის გატანის ირგვლივ ბნელით მოცულ მოცულ თემას? ქართველი ხალხისა და ერისთვის, პოლიტიკოსთა ხელისუფლებაში მოსვლაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული სწორედ მისი კულტურული მემკვიდრეობის გატანის საკითხია და არა ის, რომელი პოლიტიკოსი რა პროცენტით მოვა ხელისუფლებასა და პარლამენტში. გვახსოვდეს, რომ დაკარგულ-გაყიდულ საგანძურზე პასუხისმგებელნი ხელისუფლებასთან ერთად თანაბრად ვიქნებით ჩვენც, საზოგადოების ის ნაწილიც, რომელიც ამ თემაზე საუბარს მოერიდა და გაჩუმდა და ამას მხოლოდ "ნაციონალებსაც" ვეღარ გადავაბრალებთ!

მე კი იმით დავასრულებ, რითიც დავიწყე – ბატონი გურამ შარძის თემით. გურამ შარაძის თემის ტაბუირება, როგორც საზოგადოების, პოლიტიკოსების, ისე ტელევიზიების მხრიდან, დიდი უნამუსობა და უზნეობაა. ადამიანი იმ ეროვნულ საგანძურის, სიწმინდეებისა და კულტურული მემკვიდრეობისთვის ბრძოლას შეეწირა, რომელზე ხმის ამოღებასაც მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გამო ბევრი დღესაც ვერ ბედავს.

ბაია ამაშუკელი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

`kanonieri qurdebi~ da kriminaluri samyaros danamatad qceuli xelisufleba

კანონიერი ქურდების თემით, ალბათ, არც დავინტერესდებოდით, რომ არა დღევანდელი ხელისუფლების და მათ შორის პრეზიდენტად წოდებული მიხეილ სააკაშვილის ამ სამყაროსთან, რბილად რომ ვთქვათ, გაურკვეველი ურთიერთობის შესახებ არსებული ინფორმაციები. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, სააკაშვილი მათი დიდი ხელშეწყობით მოვიდა ჯერ შევარდნაძის ხელისუფლებაში, ხოლო შემდეგ პრეზიდენტიც კი გახდა. „შავ სამყაროსთან“ საკმაოდ თბილი ურთიერთობა სააკაშვილის წინამორბედ ედუარდ შევარდნაძესაც რომ ჰქონდა, ამის შესახებ არაერთხელ მოგვისმენია. როგორც ჩანს, შევარდნაძეს არც კომუნისტების პერიოდში ჰქონია მათთან ცუდი ურთიერთობა. ამ ყველაფრის შესახებ ინფორმაცია „საერთო გაზეთს“ კარგად ინფორმირებულმა სანდო წყარომ მიაწოდა. მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ჩვენი რესპონდენტის ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებთ.

წყაროს ინფორმაციით, ქურდული იდეოლოგიის გამოცოცხლება ყოფილ სსრკ-ში 70-იან წლებში დაწყებულა, როდესაც ქურდული საზოგადოებები იატაკქვეშეთიდან მასობრივად გამოვიდნენ. 70-იანი წლების ბოლოდან და 80-იანი წლების დასაწყისიდან ჩრდილოვანმა ეკონომიკამ არნახული ტემპითა და მასშტაბებით იწყო განვითარება, რის პარალელურადაც კანონიერი ქურდები კალიებივით მოედვნენ ქვეყანას და მაშინდელი შსს-ს ე.წ. ობხსს-ის თანამშრომლებთან ერთად ინაწილებდნენ „უშრომელი“ შემოსავლებიდან გარკვეულ წილებს.

1979 წელს ქალაქ კისლოვოდსკში შეხვედრა შედგა მაშინდელი ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლებს, ე.წ. ცეხავიკებსა და „კანონიერ ქურდებს“ შორის, სადაც კრიმინალებმა ჩრდილოვანი ეკონომიკის „მამებს“ ქურდული „ობშიაგის“ შესავსებად შემოსავლის 10% მოსთხოვეს. 1982 წელს კი თბილისში შედგა დიდი ქურდული „სხოდკა“ იმდროინდელი ავტორიტეტის ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით, სადაც მან შოკისმომგვრელი წინადადება შეიტანა - მომხდარიყო ქურდული საზოგადოების ტრანსფორმაცია, ანუ ქურდების მონაწილეობა გაზრდილიყო ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. გამოდის, საბჭოთა მთავრობა მართალია არაოფიციალურად, მაგრამ მაინც აღიარებდა „კანონიერი ქურდების“ კანონიერებას. იმ დროისთვის სსრკ-ში დაახლოებით. 52-მდე კანონიერი ქურდი იყო. რეალურად კანონიერი ქურდების პოლიტიკაში ჩართვა მოხდა „პერესტროიკის“ გამოცხადებისთანავე, როდესაც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში (სუკ-ი) შეიქმნა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დანაყოფი, რომელსაც მასიური შეტევა უნდა განეხორციელებინა „კანონიერი ქურდების“ ორდენზე, თუმცა ეს დანაყოფი თავად ჩაუდგა ოფიციალურად კრიმინალებს სათავეში და მათ სახელმწიფოებრივი ფუნქციაც დააკისრა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ძალოვანი სტრუქტურები პრესტიჟულ და სახელიან კრიმინალებს „პატივს“ სცემდა და არ აწუხებდა, რადგან იცოდნენ, რომ მათ უკან ძალზე მაღალჩინიანი და გავლენიანი პერსონები იდგნენ. ძალიან ორიგინალური დამოკიდებულება ჩამოყალიბებულა მაშინდელ მილიციასა და კანონიერ ქურდებს შორის, ისინი თურმე არასდროს უშლიდნენ ერთმანეთს ნერვებს, უფრო მეტიც, ერთმანეთს ეხმარებოდნენ. კერძოდ, მილიცია მასთან მისულ ქურდებს საქმეებს „უწყობდა“, ცხადია, სოლიდური გასამრჯელოს ფასად, ხოლო ქურდები სამართალდამცავებს ეხმარებოდნენ პრესტიჟული გაუხსნელი საქმეების გახსნაში და ქურდების წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიების დროს არასასურველი ქურდების „ჩაძირვაში“.

მოგეხსენებათ, მადა ჭამაში მოდის და 80-იანი წლების ბოლოს ერთ-ერთ ქურდულ „სხოდკაზე“ გადაწყდა, რომ ხელისუფლებაში „ჩაენერგათ“ თავიანთი წარმომადგენლები. კანდიდატები მკაცრად იყვნენ შერჩეულნი და, შესაბამისად, მათი ვინაობაც გასაიდუმლოებული, რომლებიც შემდგომში საზღვარგარეთის პრესტიჟულ სასწავლებლებში გააგზავნეს. სწავლის დამთავრების შემდეგ ეს კანდიდატები სარგებლობდნენ, როგორც „ობშიაგის“ ფულით, ისე ქურდული კავშირებით. ამიტომაც მათ თავბრუდამხვევი კარიერა ჰქონდათ. რამდენი ასეთი „კანდიდატია“ დღეს თუნდაც საქართველოს ხელისუფლებაში, არავინ იცის და ალბათ, ვერც გავიგებთ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთ-ერთი ინფორმაციით

საქართველოს დღევანდელი ე.წ. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სწორედ „კანონიერი ქურდის“, ჯაბა იოსელიანის დაფინანსებით ცხოვრობდა და სწავლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.



ჩრდილოვანი ეკონომიკის ასეთმა ზრდამ და ამ ნიადაგზე „კანონიერი ქურდების“ რაოდენობის არნახულმა მატებამ სუკს შესაძლებლობა დაუკარგა ისინი ეკონტროლებინა. იმ პერიოდში მარტო სუკს კი არა, მილიციასაც ჰყავდა თავის კონტროლქვეშ მყოფი „კანონიერი ქურდები“, თუმცა უფრო პრესტიჟულად სუკის ქურდები ითვლებოდნენ, რადგან ნარკოტიკების ტრანზიტს, ჩრდილოვანი ეკონომიკის ქვემოდან მართვას და ქვეყნის პოლიტიკაში ჩარევას ისინი ახორციელებდნენ. მართალია, იმ პერიოდის სსრკ-ში ეროვნულმა მოძრაობამ განსაკუთრებულად წარმატებული სტარტი საქართველოში აიღო, მაგრამ ამავე დროს ნარკოტრანზიტი, ჩრდილოვანი ეკონომიკა და ქურდული იდეოლოგიაც განსაკუთრებულად სწორედ საქართველოში ყვაოდა. ერთი პერიოდი ქურდულ ორდენს საქართველოში დაუნდობელი ბრძოლაც კი გამოუცხადეს, მაგრამ ამას უფრო კამპანიური ხასიათი ჰქონდა, თანაც მოსახლეობა მას სადამსჯელო ოპერაციად უფრო აღიქვამდა, ამიტომაც აღნიშნულმა დიდი ვერაფერი შედეგი მოიტანა.

შევარდნაძის ხელისუფლებაში ხელმეორედ მოსვლით მსოფლიო პოლიტიკაშიც ახალი ეპოქა დაიწყო, კერძოდ, ეს იყო რუსეთის გავლენის შესუსტება ყოფილი მოკავშირე ქვეყნების ტერიტორიაზე. უნდა ითქვას, შევარდნაძემ ამ მისიას თავი ბრწყინვალედ გაართვა, რადგან მან სხვადასხვა ხრიკებით ასე ვთქვათ, მიაძინა რუსული ამბიცია და ფართოდ გაულო კარი დასავლეთურ ცივილიზაციას. რუსეთი ამას მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიხვდა, მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგან მან არამარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში წააგო ბრძოლა. ეს წაგება კი მისთვის სავალალო აღმოჩნდებოდა, რადგან იგი ზეგავლენას ევროპაზეც დაკარგავდა, რაც საბოლოოდ, მისი, როგორც მსოფლიო ელიტის ქვეყნის განადგურებას გამოიწვევდა. სწორედ ამიტომ რუსეთმა ჩვეულ მეთოდს მიმართა, დაიწყო ძალისმიერი ბერკეტების გამოყენება და თითქმის დაიბრუნა შელახული პოზიციები. ბუნებრივია ამ მოვლენებმა კრიმინალურ სამყაროსაც თავისი დაღი დაასვა. ადრე თუ კანონიერი ქურდი თავად ქმნიდა მის დაქვემდებარებაში მყოფ კრიმინალურ დაჯგუფებას, ახლა თვითონ ამ დაჯგუფებებმა დაიწყეს საკუთარი ნებასურვილის გამტარებელი „კანონიერი ქურდების“ შექმნა. ამ პროცესის ნათელ მაგალითად ე.წ. ვერის საძმო შეგვიძლია მოვიყვანოთ, რომლის შექმნითაც საქართველოში ახალი ტიპის მაფიოზურ-კლანური სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო. მათ დროულად მოახდინეს (თუ მოახდენინეს) ახალ დროებასთან შეგუება და დღეს ისინი თითქმის მარტონი მართავენ საქართველოს კრიმინალურ ელიტას და ეკონომიკასაც კი. სწორედ ამის გამოძახილი იყო იმ დაუხვევავი კანონის მიღება კანონიერი ქურდებისა და კრიმინალური ავტორიტეტების წინააღმდეგ. მართალია იყო გარკვეული წინააღმდეგობა საზოგადოების მხრიდან ამ კანონთან დაკავშირებით, გავიხსენოთ მოჭიდავეების აქცია თუ ციხის ბუნტი, მაგრამ სააკაშვილის თქმისა არ იყოს, „ძაღლი ყეფს, მაგრამ ქარავანი მიდის“.

ცალკე საუბრის თემაა ხსენებული „ვერის საძმო“, რადგან მან კრიმინალურ სამყაროში რუსეთის გავლენა დაამუხრუჭა და თავად გახდა ელიტა, თუმცა გაირკვა, რომ ისინიც რუსეთისა და აშშ-ის ერთობლივი ძალისხმევით მოქმედებდნენ საქართველოში. ამ დაჯგუფების შექმნა 80-იან წლებში, „პერესტროიკის“ გამოცხადების პერიოდშივე დაიწყო. ისინი თავიანთ თავს მეორენაირად „ბოროტებსაც“ უწოდებდნენ. ამ დაჯგუფებაში გაერთიანდნენ ვერა-ვაკეში მცხოვრები სპორტსმენები, რომლებიც პრივილეგირებული ოჯახებიდან იყვნენ, გააჩნდათ ფართო კავშირები და სწორედ ამ კავშირების გამო ჰქონდათ დაუსჯელობის სინდრომი. სწორედ მათ დაუდეს სათავე, თანაც იმ პერიოდიდანვე არამარტო საქართველოში, არამედ მთელ პოსტკომუნისტურ სივრცეში ახალი ტიპის მაფიოზურ-კლანური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელსაც მთლიანად უნდა შეეცვალა სოციალისტურ-ქურდული მმართველობის სტრუქტურა. რევოლუცია მარტო ზედა ფენებში კი არა, არამედ ქვედა ფენებშიც ხდება, იგულისხმება კრიმინალური სამყარო, რომელიც ყოველთვის გადაჯაჭვულია ოფიციოზთან და ემსახურება მას. ამიტომაც დევნიდა და დევნის ეს ხელისუფლება „კანონიერ ქურდებს“ ამ ახალმიღებული კანონებით, რადგან ძირითადი რევოლუციური გარდაქმნები მოგვიანებით დაიწყო და ახლაც გრძელდება. დღევანდელ ხელისუფლებაში არიან იმ ახალი მაფიოზურ-კლანური დაჯგუფებების წარმომადგენლები, რომელთა მიღებული კანონებითაც დევნიან ქურდებს და ეს ხალხი სულაც არ დაგიდევთ იმას, რომ თვითონ უფრო მეტი დანაშაული აქვთ ჩადენილი. მათი ძირითადი მიზანი ქურდების ბიზნესის მიტაცება, მათი ქონების ხელში ჩაგდება, იარაღით ვაჭრობის ბიზნესის დაუფლება და ნარკოტრანზიტის გაკონტროლება იყო, რომელიც კანონიერ ქურდებს წაართვეს. ამ ყველაფრისთვის კი, პოლიტიკაში ყოფნა აუცილებელია. ყოველივეს განაპირობებს დიდი ფული, დღეს კი დიდი ფული სწორედ ნარკოტრანზიტშია, თუმცა მას იარაღით ვაჭრობაც დაემატა, რომელსაც 2004 წელს შექმნილი პოლიციის სტრუქტურული დანაყოფების მეშვეობით ახორციელებენ. ამ ახლადშექმნილი სტრუქტურული დანაყოფების თანამშრომლებს სპეციალური საშვები აქვთ, რომელშიც აღნიშნულია, რომ მის მფლობელს (სხათა შორის ამ საშვში გვარ-სახელი მითითებული არ არის) ვერავინ მოსთხოვს საბუთების წარმოდგენას. ეს პირი, სადაც უნდა იქ გააჩერებს ავტომანქანას და რაც ყველაზე მთავარია, მის დაქვემდებარებაში მყოფ ტვირთს ვერავინ შეამოწმებს.

წყაროს განცხადებით, „კანონიერი ქურდებისა“ და კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ მიღებულ ხსენებულ კანონს საერთოდ არ უმუშავია, თუ არ ჩავთვლით ქონების კონფისკაციას, რაც მართლა მოხდა. ამ კანონის მიღების რეალური მიზანიც ეს იყო, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქონების კონფისკაცია საერთოდ არ შეხებია ტარიელ ონიანის კრიმინალური დაჯგუფების წევრებს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაკავებულ ყველა კანონიერ ქურდს, როგორც წესი, რაღაც კანონგარეშე „აღმოუჩინეს“. ზოგჯერ საქმე კურიოზებამდეც კი მიდიოდა. ერთ-ერთ დაკავებულს ცეცხლსასროლი იარაღი ჩაუდეს, არადა ჩხრეკისას მას მართლაც აღმოუჩინეს მეორე იარაღი. ერთ-ერთმა კანონიერმა ქურდმა უარი თქვა ქართული პასპორტის აღებაზე და ქვეყნიდან გასვლაზე, რადგან მას თავისი სახელის კომპრომეტაციის შეეშინდა. პოლიციელებმა ასეთი სცენა გაითამაშეს, ამ ქურდის მაგიერ ის პოლიციელი დააკავეს, რომელიც მას ძალზე ჰგავდა და ცეცხლსასროლი იარაღი „აღმოუჩინეს“, გაფორმებით კი რა თქმა უნდა, ყველაფერი ამ „კანონიერ ქურდზე“ გაფორმეს და ბუნებრივია, პასუხიც აგებინეს.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, თუ 2003 წლამდე საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთი აკონტროლებდა ნარკოტრანზიტს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეს ფუნქცია აშშ-ის სპეცსამსახურებმა ჩაიგდეს ხელში და ისინი კურირებენ. თურმე იმიტომ ყოფილა ატეხილი იმხელა აჟიოტაჟი აჭარის „გასათავისუფლებლად“. საქართველოს მთელი სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტები კი რუსეთს გადაეცა მიზერულ ფასად. როგორც ჩანს, ამ სახით მოხდა რუსეთის კომპენსირება. ამ დაჯგუფებამ, ანუ დღევანდელმა ხელისუფლებამ გავლენის სფეროების ხელში ჩაგდების მიზნით საქართველოში წესიერი და რეალური ინვესტორი არ გაახარა. სხვადასხვა მიზეზებით, ათასგვარი ფანდებითა და მაქინაციებით ისინი საქართველოდან გაყარეს და მათი ადგილები სხვადასხვა სახელების გამოყენებით თვითონ ჩაიგდეს ხელში. მოკლედ, ერთის მხრივ, შექმნეს ახალი ტიპის კრიმინალური ელიტა, მეორეს მხრივ კი ყველაფერი გააკეთეს, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო არ შემდგარიყო და ხალხს ისევ „კანონიერი ქურდი“ მონატრებოდა.

მანანა სუხიშვილი

კახა კუკავა:

2006-Si vinc gvarbevda, 2007 wels Cveni Tanamoazre gaxda, 2007 wels vinc gvawiokebda, 2008-Si Cveni Tanamebrzoli gaxda. ramoxdeba 2012 wels da vin Semogvemateba 2011 wlidan?

გვესაუბრება პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა:

— კახა, რას იტყვით, აშშ კვლავ საკაშვილს უჭერს მხარს?

— არსებობს პოლიტიკური თამაშის წესები, მათ შორის ამერიკული, რომელიც შემდეგს მოითხოვს — ქვეყანაში, როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია ნომინალურად უნდა არსებობდეს. აშშ-სთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენას სრულად ფლობდეს, ისინი უნდა აკონტროლებდნენ საქართველოში ყველა მოთამაშეს — ხელისუფლებას, ოპოზიციასაც, მედიასაც, ექსპერტებსაც და არასამთავრობოებსაც. ამიტომაც, ისინი ამ ლოგიკით მუშაობენ. ის, რომ აშშ „ნაც. მოძრაობის“ გარდა „ქრისტიან-დემოკრატებთან“, „ახალ მემარჯვენეებთან“, „ქართულ ოცნებასთან“ „რესპუბლიკელებთან“ მუშაობს, ეს ერთგვარი სპექტაკლია, პარტიებს ეუბნებიან — თქვი, ვითომ ოპოზიცია ხარ, ვითომ ხელისუფლება ხარ. ამ დროს არც ხელისუფლებაა ხელისუფლება და არც ოპოზიციაა ოპოზიცია. ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოს საკაშვილი კი არა, არამედ აშშ-ს საელჩო მართავს, ხოლო მიშა მათ აზრებს ახმოვანებს. მეორე მხრივ, არც ოპოზიცია არ არის ოპოზიცია იმიტომ, რომ ისინი არაფერში არ ეწინააღმდეგებიან ხელისუფლების კურსს. დააკვირდით NDI-ს და „აირაის“— გამოკითხვებს. შემიძლია ექსკლუზიურად გითხრათ შემდეგი — ზუსტად ვიცი, რომ NDI-ს გამოკითხვების მიხედვით ჩვენს პარტიას 14 პროცენტიანი რეიტინგი ჰქონდა, რომელიც არ გამოცხადებულა. თუმცა, მე ვაიძულებ ამის შესახებ განცხადება გააკეთონ, რადგან ზუსტ ინფორმაციას ვფლობ ამის თაობაზე, მტკიცებულებები მაქვს და NDI-ს ამის აღიარება მოუწევს. სავარაუდოდ ამ მონაცემებს რესპუბლიკური ინსტიტუტიც ფლობს. რატომ აქვეყნებენ ისინი სხვა პარტიების რეიტინგებს და ბლოკავენ ჩვენს პოლიტიკურ ორგანიზაციას? — იმიტომ, რომ მათთვის პრო-ამერიკულ პარტიებს შორის ვის ექნება 11 პროცენტი და ვის 31 პროცენტი, მეორეხარისხოვანია. მთავარია „თავისუფალი საქართველოს“ მიმართ საზოგადოების სიმპათიების ზრდა არ მოხდეს. პირადი კონტაქტებიდან ვიცი, რომ ისინი მთავარ საფრთხედ სწორედ „თავისუფალ საქართველოს“ აღიქვამენ და არა რომელიმე იმ ოპოზიციურ ძალას, რომელიც თავიდან ბოლომდე აშშ-ს მარიონეტული მმართველობის მიერ დამკვიდრებულ, ე.წ. ლიბერალურ ფასეულობებს იზიარებს.

— კახა, ნატოში გაწევრიანება და ავღანეთში ჩვენი ჯარების გაწვევა ახსენე. თუ ერთ პრო-ამერიკულ ძალას მეორეთი ჩავანაცვლებთ, რომელიც ასევე წარმატებით გაგვაწევრიანებს ნატოში, ავღანეთში ამოგვიხოცავს ქართველ ჯარისკაცებს, რისთვის ვიბრძვით მაშინ?

— დიახ, ეს შეკითხვა გვაქვს ჩვენც, ქართულ საზოგადოებას — ბოლობოლო უნდა ვიცოდეთ რა გვინდა. ჩვენი საზოგადოება იცით ვის ჰგავს? — ლუარსაბ თათქარიძეს „კაცია-ადამიანიდან“, რომელმაც ძალიან თუ შეწუხდება და ოფლი დაასხამს, შეიძლება შუბლი მოიწმინდოს, ან ბუზი თუ დაჯდა ხელი აუქნიოს, მაგრამ კონცეპტუალურად, რა სახელმწიფოს შენება გვინდა, ამაზე ფიქრისთვის ქართულმა საზოგადოებამ ჯერ ვერ მოიცალა, როცა შევარდნაძემ ქართველი საზოგადოება ძალიან შეაწუხა, ხალხი ქუჩაში გამოვიდა და იგი გააგდეს, მაგრამ არცერთი წუთით არ გვიფიქრია, თუ რა გვინდოდა შევარდნაძის შემდგომ, ამიტომაც მივიღეთ საკაშვილი. დღესაც, როდესაც საკაშვილი უკვე ძალიან შემაწუხებელია, საზოგადოება დრტვინავს, მაგრამ ძალიან ცოტა დროს უთმობს იმაზე ფიქრს, თუ რა იქნება საკაშვილის შემდგომ. გარწმუნებთ, როგორც შევარდნაძის ავტომატურმა გადადგომამ პროგრესი არ მოიტანა, ასევე მოხდება საკაშვილის შემთხვევაშიც. კარგად უნდა დავფიქრდეთ, თუ გვინდა ისეთივე დამოუკიდებელნი ვიყოთ, როგორც საფრანგეთი, გერმანია და სხვები, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ქვეყნები ამერიკის კოლონიები არ არიან. ამ ქვეყნებმა თავიანთ განვითარებას მხოლოდ ძალიან პრინციპული, უკომპრომისო, ხშირად სისხლიანი ბრძოლის შედეგად მიაღწიეს. თუ ჩვენ გვინდა აშშ-ს მართვის ქვეშ მყოფი, ახალი ტიპის კოლონია ვიყოთ, სადაც ინგლისური სახელმწიფო ენა იქნება და აშშ-ს 51-ე შტატი ვიქნებით, მაშინ არ უნდა გვქონდეს პრეტენზია, რომ ისევე ვიცხოვრებთ, როგორც გერმანელები ან ფრანგები. ამერიკული კოლონიები, თანამედროვე მსოფლიოში, ესაა ერაყი, ავღანეთი, აფრიკაში უამრავი დამოკიდებული რეჟიმი, ლიბია და ა.შ. ამიტომ ქართულმა საზოგადოებამ არჩევანი უნდა გააკეთოს. ეს პროცესი 2012 წლის ოქტომბერში არ მთავრდება, მაგრამ იწყება. „თავისუფალი საქართველო“ ქართველ საზოგადოებას სწორედ ევროპულ არჩევანს სთავაზობს, რათა თავისუფალი ერი ვიყოთ. არიან პრო-ამერიკული პარტიები, რომლებიც ქართველ ხალხს ეუბნებიან — არ გვინდა ბევრი ფიქრი, შევცვალოთ საკაშვილი, მის ნაცვლად მოვიყვანოთ სავლე ან პავლე და სხვა ყველაფერი უცვლელად დარჩეს. რა უფრო მისაღები იქნება ხალხისთვის, ოქტომბერში გამოჩნდება.

— ანუ თუ სწორად გავიგე პრობლემა საკაშვილის შეცვლა კი არა ქვეყნის ამერკის კოლონიისგან გათავისუფლებაა?

— დღეს ჩვენ ვცხოვრობთ 21-ე საუკუნეში, როცა პოლიტიკური ბრძოლის ფორმები შეცვლილია. ჯერ კიდევ მე-19-ე საუკუნეში ილია წერდა, რომ ხმლით მოსული მტერი საშიში არ არისო. მე-20 საუკუნეში პოლიტიკურ ბრძოლაში სპეც. სამსახურები და ფინანსური მონოპოლიები ასრულებდნენ გადამწყვეტ როლს. უკვე ამანაც დაკარგა აქტუალობა. დღეს მთავარი იდეოლოგიაა — ინტერნეტი — „Youtube“ და „Facebook“ ბევრად უფრო ძლიერ გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესზე, ვიდრე აშშ-ს ყველა სპეც. სამსახური ერთად აღებული. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანა ქართული საზოგადოების გამოფხიზლებაა, ქართული საზოგადოებრივი აზრის შექმნა — რა გვსურს, როგორი სახელმწიფოს შექმნა გვინდა 21-ე საუკუნეში.

როდესაც 80-იანი წლების ბოლოს გამსახურდიამ და კოსტავამ ეროვნული მოძრაობა დაიწყეს, ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის, კომუნისტური რეჟიმის შეცვლის და არა გუმბარიძის გადაყენების მოთხოვნით გამოდიოდნენ. წარმოგიდგენიათ, რაოდენ სასაცილო იქნებოდა გამსახურდიას მთავარ მოთხოვნად გუმბარიძის გადაყენება რომ დაეყენებინა, ეს ხომ არაფერს შეცვლიდა?! ასეა ახლაც, საკაშვილის გადადგომა ქვეყნისთვის აბსოლუტურად არაფერს არ შეცვლის. ამით, შეიძლება შინაგანი ბოღმა გავანეიტრალოდ და მეტი არაფერი. მე არავისზე ნაკლები სიძულვილი არ მაქვს მის მიმართ, ელემენტარულად ჩემი პირადი ბოლო წლების ბიოგრაფიიდან გამომდინარე, მაგრამ როგორც პოლიტიკოსმა მინდა ვთქვა, რომ ეს ქვეყნისთვის არაფერს შეცვლის. ვიმეორებ, ჩვენ აშშ-ს მარიონეტული რეჟიმის შეცვლა გვჭირდება. ეს არ არის ჩემი ახირება. პოლიტიკური სისტემა, რომელიც ასე ძალიან არ მოგვწონს საკაშვილს არ შეუქმნია, არამედ ამას მსოფლიოს ყველა კონტინენტზე აშშ ჰქმნის. ის ეკონომიკური სიდუხჭირე, რაც საქართველოშია, ამის ავტორია არა საკაშვილი, არამედ ე.წ. თავისუფალი ვაჭრობის კონცეფცია, რომელსაც სწორედ ამერიკული ინსტიტუტები ქადაგებენ. არც კულტურული ფასეულობების ნგრევა და ახალგაზრდობის გადაგვარებაა საკაშვილის მოგონილი, არამედ ეს არის სწორედ ის, რასაც აშშ ლიბერალურ ფასეულობებს უწოდებს და ასე აგრესიულად ნერგავს მთელს მსოფლიოში. სხვათაშორის, ერთმა ჩემმა მეგობარმა ამას ლიბერალური ფუნდამენტალიზმი უწოდა.

— რას უნდა ნიშნავდეს „ენდი-აის“ და „აი-რაის“ კვლევის ის შედეგები, რომლებსაც ეს ორგანიზაციები ულუფა-ულუფად აწვდიან საზოგადოებას?

— როდესაც NDI-მ კვლევა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც „ნაც. მოძრაობა“ ეჭვგარეშე იმარჯვებს ამ არჩევნებში, განაცხადეს — იცით, რა ეს არ არის ამერიკის მთავრობის პოზიცია, არამედ ლუის ნავაროა ცუდი კაციო. ახლა, როცა „აი-რაიმაც“ იგივე გამოაქვეყნა, ექსპერტებმა გამოაცხადეს — არც „აი-რაი“ გამოხატავს აშშ-ს მთავრობის პოზიციასო. აშშ-ში სულ ორი პარტიაა — დემოკრატიული და რესპუბლიკური. შეიძლება დემოკრატიული არ მოგწონდეს და რესპუბლიკური კი, ან პირიქით, მაგრამ როცა არც დემოკრატები მოგწონს და არც რესპუბლიკელები და აცხადებ, რომ აშშ ძალიან მოგწონს, ეს საღი აზრისგან ძალიან დაშორებული, როგორც დასავლეთ-საქართველოში იტყვიან დაჩოჩებულია.

— ჩვენი „რესპუბლიკელები“ ამერიკიდან ბედნიერნი დაბრუნდნენ, თუმცა რითი — ერმა ვერ გაიგო.

—„რესპუბლიკელების“ და ქართველი ერის ამოცანები ერთმანეთისგან განსხვავდება. ამიტომ ის, რომ „რესპუბლიკური პარტია“ რაღაც პროცესით კმაყოფილია, ისინი ამაში გულწრფელნი არიან, უბრალოდ მათი ამოცანები არ ემთხვევა ქართველი ერისას. თუკი „რესპუბლიკელები“ პარლამენტში ხუთკაციან ფრაქციას შექმნიან, ეს მთელს მათ ბიოგრაფიაში ისეთივე მიღწევა იქნება, როგორც საქართველოს ფეხბურთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდეს. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი იმ ვითარებით, რაც ახლა იქმნება კმაყოფილნი არიან.

ამერიკის მთავრობის განცხადებები, მათ შორის NDI-ს კვლევებისაც, რამდენჯერმე, წინასწარ გამოგიცხადეთ. შემიძლია გითხრათ, როგორი იქნება, არჩევნების შემდეგ მეორე ადგილზე გასული პოლიტიკური ძალის განცხადება — ჩვენ მოგვპარეს გამარჯვება, გაგვიყალბეს ხმები, მაგრამ მთავარია მთელი მსოფლიო ჩვენ გვიჭერს მხარს, ვაჩვენოთ მთელს მსოფლიოს ცივილიზებულობის მაგალითი და ვემზადოთ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, სადაც ბეჭებზე დავდებთ „ნაც. მოძრაობას“-ო. ჩაიწერეთ ეს, სიტყვასიტყვით ამ განცხადებას მოისმენთ არჩევნებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ.

— საკაშვილი ბოლო დროს არაადეკვატურია, თუმცა აშშ ამაზე არ რეაგირებს.

— საკაშვილი არის კოკაინის მომხმარებელი, ეს პოლიტიკურ, მათ შორის ამერიკულ წრეებში საიდუმლოს არ წარმოადგენს. ეს ინფორმაცია 2 წლის წინ ამერიკული პირველწყაროსგან მივიღე.

მე არ მჯერა, რომ ადამიანი შეიძლება 2011 წლადე არ იყოს პატრიოტი და 2011 წლის შემდგომ გახდეს. ეს მასობრივად ხდება ქართულ პოლიტიკაში — 2006 წელს ვინც გვარბევდა 2007 წელს ჩვენი თანამოაზრე გახდა, 2007-ში ვინც გვარბევდა 2008-ში ჩვენი თანამოაზრე გახდა და ა.შ. ეს არ მჯერა. არ შეიძლება მოგწონდეს 7 ნოემბერი და აღგაშფოთოს 26-მა მაისმა.

თამარ შველიძე

`carieli adgilis~ da `liliputebis~ erTmaneTis sinqronuli lanZRviT mxolod saqarTvelo zaraldeba...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე

— ბატონო ვაჟა, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის „აირაის“ კვლევების შედეგებით, საქართველოში მოსახლეობა კვლავ ნაციონალურ პარტიასა და მის ლიდერს უჭერს მხარს, მოსახლეობამ ისე შეაფასა, თითქოს ეს გახლავთ აშშ-ის მთავრობის განწყობაც ჩვენს მიმართ და ისინი მხარს დაუჭერენ მომავალ არჩევნებში კვლავ სააკაშვილს, თქვენც ასე ფიქრობთ?

— ჩემი აზრით, ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ერთ კონკრეტულ ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვა თუ კვლევა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აშშ-ს მთავრობა მხარს უჭერს ამ კვლევის შედეგებს, თუ ვინმე ასე ფიქრობს, ეს არასწორია! შეიძლება ვიღაცას აწყობს, რომ ეს ასე წარმოაჩინოს, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. მთავარი ის კი არ არის, ვის რა უნდა, მთავარია, ეს ასე არის თუ არა.

ამერიკის სახელმწიფომ და მისმა ლიდერებმა არაერთგზის აღნიშნეს, რომ ისინი მხარს უჭერენ არა რომელიმე ლიდერს, არამედ საქართველოს და ელოდებიან ისეთ არჩევნებს, რომელიც სამართლიანად ჩატარდება. არაერთგზის აღნიშნეს ბარაკ ობამაც და სხვებმაც, რომ ისინი ელოდებიან ხელისუფლების მშვიდობიანი ფორმით გადაბარებას, შეცვლას. რაც შეეხება ცალკეული ინსტიტუტების კვლევებს, შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ, ჩემი აზრით, მიკერძოებულად შეარჩიეს კვლევის ჩამტარებლები! ეს ხომ ამერიკელების მიერ ჩატარებული კვლევები არ არის. მე რამდენადაც ვიცი, ამ კვლევებს ატარებენ საქართველოს ორგანიზაციები, ის ჯგუფები, რომელნიც პირდაპირ არიან მიბმულნი ხელისუფლებას. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება. ამიტომ, აქედან ჩვენ არ უნდა ველოდოთ ობიექტურობას. ეს ყოველთვის იქნება მიკერძოებული იმის გამო, რომ ჩამტარებელი ორგანიზაცია არის შემადგენელი ნაწილი ხელისუფლების. მეორე შეცდომა არის ისიც, რომ არ არის გათვალისწინებული და შესწავლილი კვლევის მეთოდოლოგია. სოციოლოგიის კვლევას აქვს ზუსტი კრიტერიუმები შესაფასებლად და ეს შედეგები დიდად არის დამოკიდებული ამ მეთოდოლოგიაზე.

არის სხვა კვლევებიც ჩატარებული საქართველოში და ისინი სულაც არ ემთხვევა ამ კვლევის შედეგებს.

თუ რომელიმე ინსტიტუტი განზრახ შეცდომით ჩაატარებს კვლევებს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი სახელმწიფოს ლიდერები ეთანხმებიან მათ ისაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ამერიკა დიდი სახელმწიფოა, იქ ბევრი სხვადასხვა განწყობაა. თუ ლაპარაკია ამერიკის დღევანდელ ხელისუფლებაზე, მათ არაერთგზის განაცხადეს რომ ისინი მხარს უჭერენ ხელისუფლების მშვიდობიან გადაბარებას. ამით მე ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი — ეს არის მათი პოზიცია! ეს მე მსმენია მათი რესპუბლიკური პარტიის ლიდერებისგანაც, კონგრესმენებისგანაც, სენატორებისგანაც. ჩემთვის ეს უფრო მთავარია, ვიდრე რომელიმე კვლევის შედეგები. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ასეთი კვლევები სწორედაც იმიტომ ტარდება, რომ ამ ყველაფერმა ხალხის განწყობაზე, მათ აზრზე იმოქმედოს — ეს ქვეყნის შიდა მოხმარებისთვის არის გათვლილი! ეს შედეგები იმ მიზნით დაიდო, რომ ხალხს ეს კითხვა გასჩენოდა, რაც თქვენ დამისვით, ხომ არ უჭერს აშშ საქართველოს ხელისუფლებას მხარს? ასეთი კვლევები რუსეთზეც შეიძლება ჩატარონ და თქვან, რომ სააკაშვილს მხარს უჭერს რუსეთიც. ეს ყველაფერი არასწორია. კვლევის მეთოდოლოგიის დროს არ არის გათვალისწინებული ერთი მნიშვნელოვანი რამ, ის შიშის ფაქტორი, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში სუფევს და ხელისუფლების მხრიდან ინერგება.

ბუნებრივია, როცა შედიან ადამიანებთან, თანაც ისეთ დროს, როცა ყველამ იცის, რომ კვლევის ჩამტარებლები ნაციონალური პარტიის მეგობრები არიან, ვინ გასცემს სწორ პასუხს ან რატომ? ყველა ეტყვის ტყუილად, რომ ისინი ნაციონალების მხარდამჭერები არიან.

ყველამ ნათლად დაინახა, რომ ვინც კი გამოხატა ღია მხარდაჭერა ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რა დღეში ჩააგდეს ისინი. აშინებენ მათ ოჯახებს, ატერორებენ, აპატიმრებენ, ართმევენ ბიზნესს. ვინც ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობას ხელი მოაწერა. ჭორვილელი მასწავლებლების სკოლებიდან გაათავისუფლება რა მოქმედებაა? რა არის იმაში გასაკვირი, რომ მასწავლებლები, სკოლებიდან გაათავისუფლეს. ეს რა მოქმედებაა? რა არის იმაში გასაკვირი, რომ მასწავლებლები, რომლებიც მუშაობენ ივანიშვილის მიერ აშენებულ სკოლაში, რომელთაც მხარდაჭერა იგრძნეს ამ პიროვნებისგან ამ მძიმე წლებში, ბევრისთვის ის სისხლით ნათესავიც არის და მხარი არ უნდა დაეჭირათ მისთვის მოქალაქეობის აღდგენაზე? არ იმსახურებს ეს პიროვნება სულ მცირე, საქართველოს მოქალაქეობას მაინც? რა არის ამ მხარდაჭერაში ცუდი? ეს ყოველივე არ აპატიეს მასწავლებლებს და მოისროლეს და დატოვეს უსამსახუროდ და დღეს რა გასაკვირია, რომ ასეთი შიშის პირობებში იგივე საჩხერეში, ან ქუთაისში ან თბილისში ხალხი დაშინებულია და თუ ვინმე ჰკითხავს, თუ ვის მისცემენ ხმას, იტყვიან ნაციონალებს.

ასე რომ, ამ გამოკითხვებსა თუ კვლევის შედეგებს სინამდვილესთან არანაირი კავშირი არა აქვს. და თუ თქვენ მკითხავთ, რომ ამ კვლევების უკან ამერიკა ხომ არ დგას, ეს გახლავთ ის, რაც უნდათ ამ აზრის გამავრცელებლებს.

— ბიძინა ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის არმიცემა რას ნიშნავს ნაციონალების მხრიდან?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ამტკიცებენ თითქოს, რომ რასაც უნდათ, იმას გაუკეთებენ ივანიშვილს, ხალხს კი დაანახებენ, რომ ის ძლიერი კონკურენტი არ არის დღევანდელი ხელისუფლების. ეს არის არასამართლიანი ქცევა, და ეს ნაციონალებს მიუტანს საპირისპირო შედეგებს, იმიტომ რომ ოდითგანვე ასე იყო საქართველოში, რომ საზოგადოება დგება იმ ადამიანის გვერდით, ვისაც უსამართლოდ ექცევიან.

— რამოდენიმე დღის წინ მედვედევმა ტელევიზიით განაცხადა, რომ ის პატივს სცემს ქართველ ხალხს და ჩვენს ქვეყანას, თუმცა, სააკაშვილი მხოლოდ „ცარიელი ადგილია“ და მეტი არაფერიო, არის თუ არა ეს გამოთქმა მისი მხრიდან სერიოზული?

— მე როგორც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან, ვარ წინააღმდეგი ასეთი არადიპლომატიური და არასერიოზული გამონათქვამებისა, ასევე ვერ მივიღებ ასეთივე ქცევას მათი მხრიდანაც. თუკი ჩვენ ობიექტური და სამართლიანები ვიქნებით, ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუ ამ ხელისუფლების წინააღმდეგნი არიან, მე არ ვარ ამაში დარწმუნებული, იმ დიდ სახელმწიფოს და მის ლიდერებს მოეთხოვებათ იმდენი სიბრძნე და პოლიტიკური სიმწიფე, რომ სააკაშვილთან პირად ინტერესებს და ქილიკს არ გადააყოლონ მთელი ქვეყანა. როგორც ჩვენ ქვეყანას მოეთხოვება კორექტულობა მათ მიმართ, ისინიც უნდა იყვნენ კორექტულნი.



— უკაცრავად, მაგრამ ეს ქილიკი და ლანძღვა ერთმანეთის მიმართ, პუტინს და მედვედევს სააკაშვილთან სინქრონში უწევთ, ხან ერთი მხარე ეძახის მეორეს „ლილიპუტს“, ხან მეორე მხარე სააკაშვილს „Ï óñòî óå ì åñòî“-ს. რას უნდა ნიშნავდეს ეს სინქრონი?

— ის, რაც რუსებმა გააკეთეს აფხაზეთთან ან ცხინვალთან მიმართებაში, არ ეტევა არანაირ ჩარჩოში ან წესში იმის მიმართ, რომ მე ცუდ ურთიერთობაში ვარ სააკაშვილთან და ამიტომ უნდა ვამყოფო ხალხი ასეთ მდგომარეობაში. თუ ქართველი ხალხი უყვარს მედვედევს, მაშინ მის ისტორიასაც უნდა სცენ პატივი, მის ტერიტორიულ მთლიანობას. მიწის ხელყოფა არ არის სამართლიანი ქცევა.

თუ აფხაზებმა მოითხოვეს დამოუკიდებლობა, ხომ ყველამ კარგად იცის, რომ ეს არის ისტორიის გაყალბება და არასამართლიანობა. თუ 2008 წლამდე ყველა და მათ შორის რუსეთი აღიარებდა ჩვენი ტერიტორიის მთლიანობას, რა შეიცვალა 2008 წლის მერე? აფრიკულ ქვეყნებში რომ მიდიან და ეძებენ მოკავშირეებს, ვინც აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობას ცნობს. ეს სწორი ქცევაა? საქართველოს ტერიტორიაზე რომ განალაგეს თავიანთი სამხედრო ბაზები რუსებმა ვის ჯინაზე გააკეთეს, ერთი პიროვნებისა მხოლოდ? ცხადია, მათ ასეთ ქცევაზე დამნაშავე ჩვენი ხელისუფლებაც არის, მაგრამ რუსეთის პასუხისმგებლობას ეს არ ხსნის იმ შედეგზე —რაც დღეს მივიღეთ ქვეყანაში.

პატივს სცემდე ქართველ ხალხს და მის ისტორიას და ქვეყანას ასე მოექცე — სრულიად შეუთავსებელია! ასე, რომ მედვედევის მხრიდან ეს სიტყვები არის მხოლოდ რიტორიკა!

— სააკაშვილიც ხშირად ამბობს, რომ ის პატივს სცემს რუს ტურისტებს, ხალხს. ერთნაირ „თამაშობს“ ხომ არ „თამაშობს“ ეს ორი ლიდერი?

— არა მარტო ტურისტები უყვართ ჩვენს ხელისუფალთ, რუს ბიზნესმენებსაც კარგად უხსნიან კარს. აქედან ჩანს, რომ დეკლარირება ხდება ერთი რამის, რეალურად კი საქმე სულ სხვანაირადაა. აკეთებს მისთვის სასარგებლო განცხადებებს რუსეთის ხელისუფალიც და ჩვენი ქვეყნისაც, მაგრამ ყველასათვის თვალნათელია, რომ დღემდე მოგებული რჩება ჯერჯერობით რუსეთი! ჩვენ ვართ წაგებული და ამას დანახვა უნდა! ასეთმა „შემთხვევით სინქრონიზაციამ“ მხოლოდ საქართველო დააზიანა!

— შეძლებს თუ არა მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ გამარჯვებას?

— ვფიქრობ, „აირაის“ მსგავსი გამოკითხვებით ისინი თავს არ მოიტყუებენ. მშვენივრად იციან ხალხის განწყობა თავიანთ მიმართ, ამიტომ მსგავსი გამოკითხვებით თუ კვლევებით ცდილობენ ხალხი, ჩვენ მოგვატყუონ, თორემ მომხრეები ბევრი რომ არ ჰყავთ, მშვენივრად იციან. ცხადია, ყველანაირად შეეცდებიან, რომ არჩევნები არ იყოს ობიექტური, მაგრამ საზოგადოების როლი ამჯერად დიდი იქნება. ხალხი უნდა შეეცადოს იმას, რომ თავი არ მოატყუებინონ მათ.

ეთერ კასრელიშვილი

facebook

xalxis azriT

სააკაშვილის ანტიქართული პოლიტიკა — აჭარა თურქებს!.. აფხაზეთი და ცხინვალი რუსებს!.. თბილისი, “კავკასიის დედაქალაქი”?! ხოლო ქუთაისი, საქართველოს “დედაქალაქი”?! სადაც, — ხან პარლამენტის თავმჯდომარე იქნება, — ხან კი პრემიერ — მინისტრი!!!.. ეს ხუმრობა არ არის!.. თუ სულ გამოვლენჩდით ქართველები და მარტო იმის იმედად ვიქნით, — მოახერხებენ თუ არა, ქართველი “რესპუბლიკელები” ან ალასანიას “თავისუფალი დემოკრატები”, ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების დარწმუნებას სააკაშვილის “არადემოკრატიულობაში”, — მაშინ ქვეყანა აღარ გვექნება!!!.. ამიტომ, ქართველი ერის სააკაშვილის რეჟიმთან დაპირისპირება სცილდება “საშინაო ჩარჩოებს” და ამავდროულად, იგი უნდა განვიხილოთ, როგორც “საგარეო მომაკვდინებელი საფრთხე”, — საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მთლიანობისათვის, — აქედან გამომდინარე შედეგებით!!!.. მოღალატე თუ მოსყიდული სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, ქართველი ერისთვის ყოფნა — არყოფნის ზღვარზე გადის!!!.. მოკლედ, სამშობლო განსაცდელშია და მხოლოდ “ქუდზე კაცი” გადაარჩენს მას დაღუპვისაგან!!!

მიშა თავის სტიქიაშია რა.. სოხუმი ქართული ქალაქი არასდროს ყოფილაო — ეს იდიოტობა კიდევ გაიმეორა... ისე აღმოვაჩინე, ამ კაცს ბუჩქების მიმართ მართლაც სახელმწიფოებრივი მიდგომა აქვს..:)

30 maisserovnuli gamoRviZebis zarebi unda davarisxoT

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მწერალი მერაბ შათირიშვილი.

— ბატონო მერაბ, თქვენ „ქართული ოცნების“ დელეგატი იყავით, აქტიურად მონაწილეობდით ბატონი ივანიშვილის პარტიის დაფუძნებაში და უცბად სხვა მხარეს გაისმა თქვენი სახელი, აგვიხსენით, რა ხდება?

— მე ვფიქრობ, რომ მიშა საакაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა კონსტიტუციური გზით, ეს არის თითოეული ქართველის მოვალეობა. რა დროს ჩაერთვება ამ ბრძოლაში, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ყველა ჩვენგანი უნდა იყოს ჯარისკაცი. სად იქნება ის, ივანიშვილის კოალიციაში, გვერდზე, მხარში, იქნება თვალსაჩინო სახე თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, მონაწილეობა მიიღო საერთო მიზნისთვის ბრძოლაში. ამჟამად, აქტიურად ვარ ჩაბმული „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფთან“. ცნობისათვის, 30 აპრილს ჩატარდება, ასე ვთქვათ, ეროვნული თავყრილობა „ეროვნულების“ სახელწოდებით.

— რა იქნება „ეროვნულები“, მოძრაობა?

— ჯერჯერობით ეს იქნება საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც მხარს დაუჭერს არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას და „ქართულ ოცნებასთან“ ერთად შეეცდება დაამთავროს არსებული რეჟიმი საქართველოში.

მე ვფიქრობ, რომ ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერთიანება, ნებისმიერი ჯგუფი, თუკი ის ნამდვილად საქართველოს თავისუფლებაზე ფიქრობს, ამ ბრძოლაში უნდა ჩაებას. არცაა საჭირო დაძახება — „მოდი, ჩემს გვერდზე დადექი“, თავისი შეხედულებით თავისი წილი აგური უნდა დადოს ახალი საქართველოს მშენებლობაში.

მე თვით იმიტომ მოვედი „ეროვნულებთან“, რომ, ვფიქრობ, ჩემი გამოსვლებით, ჩემი მენტალიტეტით, ჩემი მოქალაქეობით და ჩემი ქართველობით სწორედ იქ ვდგავარ, სადაც ნებისმიერი ქართული ოჯახი. დამეთანხმებით, ალბათ, რომ ნებისმიერ ქართულ ოჯახში ღვივის ეროვნული სულისკვეთება. პატარა მაგალითს გეტყვით, პროექტ „ნიჭიერებში“ ხულოელმა მამაკაცმა და, თუ არ ვცდები, ლენტეხელმა ქალბატონმა გაიმარჯვეს ქართული სიმღერით, მომდევნო წელს გურჯაანელმა ყმაწვილმა, ჟიურის არ გადაუწყვეტია მათი გამარჯვება, მათ ერმა მისცა ხმა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მთვლემარე ეროვნული მუხტი, რომელიც თითქმის ყველა ოჯახშია, გასაღვივებელი, ასაბრიალებელი და გარეთ გამოსატანია.

დამეთანხმებით, რომ ოცი წელია უკვე, ეროვნული სულისკვეთება საქართველოში, ეროვნული პრინციპები და ეროვნული იდეა გამოკეტილია უხილავ სეიფში. ალბათ, იმაშიც დამეთანხმებით, რომ ეროვნულობა პოლიტიკური ამბიციებისთვის განკუთვნილი „ბლიუდოსავით“ გახდა. როგორც ცალკე კერძი, დათრეული აქვს, როგორც ხელისუფლებას, ასევე ცალკეულ პოლიტიკურ გაერთიანებებს, მაგრამ, ფაქტიურად, ხდება ეროვნულობის შეგნებული დისკრედიტაცია.

— სიტყვას გაწყვეტინებთ, მაგრამ უნდა ვთქვა, ფაქტია, რომ ქართულ რეალობაში სიტყვა „სამშობლო“ ამოვარდა მეტყველებიდან და ჩაენაცვლა სიტყვა „ქვეყანა“...

— ამაზეა საუბარი, რომ თითქოს ეროვნულობა, სამშობლო, ყველაფერი ქართულის ხსენება სირცხვილი გახდა. თითქოს არსებობს მასზე დიდი ცივილიზაცია, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“, ან თუნდაც გურამიშვილი, ან ილია ჭავჭავაძის იდეები, რომელიც გაგრძელდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. ჩვენ ვიცით, რომ ეროვნულ მოძრაობაში ისეთი ლიდერები იყვნენ, რომლებმაც განახორციელეს კიდეც გარკვეულ პერიოდში ეროვნული იდეა, — ესენი იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მერე, ვიცით, რაც მოხდა, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, რასაც მოჰყვა ილიას გზის ჩახერგვა, ეროვნული იდეების დისკრედიტაცია და რაღაც ჩარჩოებში მოქცევა. მოხდა ადამიანების დაყოფა „შევარდნაძისტებად“, „ზვიადისტებად“, მხედრიონელებად“, პატარ-პატარა ჯგუფებად და ჯაბასა და შევარდნაძის მენტალიტეტის ფორმატში გადაიყვანეს ეროვნული იდეა და დაუკავშირეს ერთ კაცს. რა თქმა უნდა, სისხლით და ხორცით ეროვნული იყო ზვიად გამსახურდია, მაგრამ რაღაცნაირად, თითქოს სამარცხვინო გახადეს, თითქოს საზოგადოებისგან განაცალკევეს „ზვიადისტები.“ ამ დროს რა ხდებოდა? — ნებისმიერი არჩევნების დროს, სწორედ ამ „ზვიადისტების “ გარეშე ვერ იგებდა არჩევნებს ვერცერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც წინა პლანზე გამოვიდოდა. საჭიროებისთვის რაღაცნაირად გამოიყენებდნენ ამ ძალას, იმიტომ რომ გარკვეულწილად ისიც იძულებული იყო, რომ თავისი ქვეყნის წინსვლაში მონაწილეობა მიეღო.

— მაგალითად?

— მაგალითად, სააკაშვილი ვერ მოვიდოდა ეროვნული ძალების გარეშე, რომელსაც თავად არქმევდნენ „ზვიადისტებს“, გამოიყენეს და დატოვეს მოტყუებული. ცხადია, რამდენიმე ადამიანის გარდა, რომელიც გარეწარი იყო, როგორც ჩანს, ზვიადის დროსაც და სწორედ ამ გარეწრებით მოხდა ზვიადის იდეების და მიზანდასახულობის დისკრედიტაცია, კონკრეტულ პირებს არ ვეხები, ვგულისხმობ მათ, ვინც ამჟამად „ნაციონალებში“ არიან.

ისეთი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა საქართველოში ამ ოცი წლის განმავლობაში, რომ, თითქოს, ეროვნული იდეების მატარებელი ხალხი ფანატიზმში არიან გადასული — ისინი „ზვიადისტები“ არიან. არა, ჩემო კარგო, ისინი „ზვიადისტები“ კი არ არიან, ისინი ეროვნულები არიან და იმ იდეის მატარებლები, ილიას იმ გზის გამგრძელებლები, რომელ იდეასაც შეეწირა თავად ზვიადი.

მე ვფიქრობ, დღეს საქართველოში დადგა იმის დრო, რომ შეწყდეს ჩვენი მხრიდან იმაზე საუბარი, რომ ეროვნულ-ლიბერალები ვართ. არა, ჩემო კარგო, არც ლიბერალიზმი და არც არც ერთი პოლიტიკური მიმართულება ეროვნულობის გარეშე არ განხორციელდება.

ის, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ხმამაღლა უნდა ვთქვათ. ეროვნული იდეის მატარებელ ხალხს გვერდზე უნდა დავუდგეთ ისინიც, რომლებმაც მაშინ, ნებსით თუ უნებლიედ, ვერ მივიღეთ მონაწილეობა ვერც იმდროინდელი ხელისუფლების მხარდასაჭერად და ვერც მოწინააღმდეგედ, ვიყავით ნეიტრალური, ან ადამიანები, რომელთაც მაშინ ტყვია არ უსვრიათ და არ ჩაუდენიათ დანაშაული ქართველი ერისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ.

დამეთანხმებით, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენი ეროვნული ღირსების დამცველები ჩვენვე ვიქნებით, კარგი პარტნიორები აღმოვჩნდებით მეზობელი ქვეყნებისთვისაც, ევროპისა და ამერიკისთვისაც. ჩვენ თუ ჩვენს ეროვნულ ღირსებას და ეროვნულ ფასეულობებს არ ვუფრთხილდებით და არ ვინახავთ, არ ვავითარებთ და არ ვაღვივებთ, ვინ ვართ ჩვენ რუსისთვის, ამერიკელისთვის თუ ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის, თავში წამოსარტყმელები? მე, მაგალითად, შეიძლება, თურქს ვცე პატივი პიროვნულად, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვითმენ ჩემი აჭარელი ხალხის ეროვნულობის შევიწროების ხარჯზე აჭარაში თურქული ინტერესის გალაღებას. ეს არ არის ეროვნულობა, ეს არ არის ტოლერანტიზმი, ეს არ არის კეთილმეზობლობა ჩვენი მხრიდან — მათ რას ვერჩით, სარგებლობენ ჩვენი უგუნურებით. როცა დაინახავს ივივე თურქი, რომ ჩვენ ვართ ღირსეული, ჩვენი ეროვნების, ტრადიციების, წესების, რაც შეგვიქმნია იმ კულტურისა და ღირებულებების დამცველი, ცხადი გახდება, რომ პატივსაცემი ერი ვართ და მათთვისაც გაადვილდება ჩვენთან ურთიერთობა. ივივე დამოკიდებულება შეექმნება ნებისმიერ ქვეყანას.

ჩვენ თუ ჩვენი ეროვნულობა, მართლმადიდებლობა, ჩვენი კულტურა არ დავიცავით, ვერასოდეს დავიბრუნებთ სამაჩაბლოსა და აფხაზეთს. ტერიტორიებით არ განისაზღვრება ერის მყოფადობა, ის განისაზღვრება კულტურითა და მისი სულიერებით. ჩვენ აფხაზ და ოს ხალხთან ერთად საუკუნეები ვლეწეთ, გადავლეწეთ და მოვედით დღემდე. აბსოლუტურად დაკარგავენ ისინი თავიანთ ეროვნულობას და კარგავენ უკვე, რაც მათი ბრალი კი არა, ჩვენი ბრალია. ჩვენ ვერ დავიცავით ჩვენი ეროვნულობა და ამიტომ ვერ დავიცავით ისინი. ჩვენ, ქართველმა ერმა რატომ შევქმენით იმის საფუძველი, რომ ოსი და აფხაზი დაეცვა სხვა ქვეყანას, რუსეთს, ეს ხომ ჩვენი ბრალია. ხომ უნდა შევიგნოთ, რომ მათ რუსის დასაცავი არაფერი სჭირთ! ჩემს არსებაში ყოველთვის მჯერა და ყოველთვის ვამბობ, იმიტომ დავკარგეთ აფხაზები და ოსები, რომ ჩვენ დავკარგეთ ეროვნულობის დაცვის მექანიზმი.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც სხვა ღირებულებების პატივისცემა დავიწყეთ. ტელევიზიით ვისმენთ ფრაზას „პრიორიტეტულია ინგლისური ენა.“ როგორ შეიძლება, საქართველოში რომელიმე ენა პრიორიტეტული იყოს, გარდა ქართულისა; როგორ შეიძლება საქართველოში პრიორიტეტული იყოს რაიმე, გარდა ქართული ადათ-წესებისა და ქართული კულტურისა! ყველაფერ ქართულს რომ კოროზია შეუჭნდა და უფლება მივეცით შემოსულიყო უცხოური სამსალა, სწორედ ამან გამოიწვია აფხაზებისა და ოსების ქართველებისგან მოწყვეტა. ისინი ჩვენი ძმები არიან და ჩვენ თუ ეროვნულები ვართ, მათი ეროვნებაც ჩვენი ეროვნების ნაწილია და მათი ეროვნების გადარჩენა ჩვენი ეროვნების ღირებულებების გაფრთხილებაშია.

მე, მთელი ჩემი არსებით, მთელი ჩემი შეგნებითა და პოტენციალით ვდგავარ ეროვნულ საწყისებზე, ეროვნული იდეის განხორციელების რიგებში და მინდა, რომ მთელმა საქართველომ, თითოეულმა ოჯახმა გააღვიძოს და გარეთ გამოიტანოს მასში არსებული მთვლემარე ეროვნულობა.

დამთავრდა! კოვზი ნაცარში უნდა ჩაუვარდეს ნებისმიერ შავბნელ ძალას და მოისპოს ეროვნული, ღირსეული ადამიანების მონათვლა ავადმყოფური ფორმულით. ქართველები მხოლოდ ბუხრის წინ და ჩაკეტილ ოთახში ხომ არ ვართ, ქართველები უნდა ვიყოთ საქართველოს წინაშეც, მეზობლების წინაშეც და მთელი მსოფლიოს წინაშეც.

ჩვენი საუბარი მინდა დავასრულო მარკესის შესანიშნავი სიტყვებით „მე ვემსახურები ჩემს სამშობლოს და არა ჩემი სამშობლოს მთავრობას!“

მაია ჭელიძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

sul male dafuZndeba saxalxo moZraoba `erovnulebi~, romlis kariyvela patrioti qarTvelisTvis Riia...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი სანდრო ბრეგაძე

— ბატონო სანდრო, ითქვა, რომ „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის“ ბაზაზე ფუძნდება ახალი ეროვნული მოძრაობა „ეროვნულები“, დასაბნევი რომ არ იყოს, იქნებ, უფრო გარკვევით განმარტოთ.

— ეს მოძრაობა არ იქმნება კონკრეტულად რომელიმე ორგანიზაციის ბაზაზე. ორიოდე დღეში გამოცხადდება საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობა და გამოცხადდება ამ მოძრაობის ყრილობის დღეც — 30 მაისი. მოხდება ყველა იმ ეროვნული ძალის კონსოლიდირება, რომელიც მოწადინებულია იმისათვის, რომ საქართველოში აღდგეს ის ეროვნული სული, რომელიც გასული საუკუნის პირველ ნახევარში ილია ჭავჭავაძის მიერ იქნა აღორძინებული, ხოლო მეორე ნახევარში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ. ის სული, რომელიც, მოგეხსენებათ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ შევარდნაძის ხელისუფლების უგუნურმა ანტიქართულმა და ანტიხალხურმა ქმედებებმა ჩაკლა, ხოლო შემდგომში, დღეს არსებულმა რეჟიმმა მოინდომა, რომ საბოლოოდ გაენადგურებინა ეროვნული ცნობიერება. ეროვნული იდეა იქნება ძირითადი მიზანი იმ დიდი საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნისა, რომელიც ამ ეტაპზე ასე არის ჩაფიქრებული, რომ ერქმევა მოძრაობა „ეროვნულები“, შემდგომში კი უკვე გამოცხადდება კონკრეტული გეგმები, რა სტრატეგიითა და ტაქტიკით იმოქმედებს ეს საზოგადოებრივი მოძრაობა.

— გამომდინარე ახალგაზრდა თაობების ეროვნული ცნობიერების გაიშვიათებიდან, საინტერესოა, მოძრაობის ასაკობრივი შემადგენლობა.

— მეც მქონდა დაახლოებით ამგვარი შთაბეჭდილება ახალგაზრდა თაობაზე, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ასე არ აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც კულუარულად განვაცხადეთ, რომ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ყრილობა ტარდება, მთელი დღის განმავლობაში არ წყდება ჩვენს ოფისში სატელეფონო ზარები და მომსვლელი ხალხი, რომლებიც გამოხატავენ სრულ მხრდაჭერას და მზადყოფნას. მოძრაობაში წარმოდგენილი იქნება ყველა თაობის წარმომადგენელი. არის ახალგაზრდების ძალიან საინტერესო ჯგუფი, არიან შუახნის ადამიანები და ხანშიშესულებიც. ეს იქნება ერთგვარი სინთეზი ქართველი საზოგადოებისა, ქართველი ერისა, რომელმაც უნდა განახორციელოს ის იდეები, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის ძვირფასია.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც აღვნიშნე, ზვიად გამსახურდიას შემდგომი ყველა ხელისუფალი ცდილობდა ეროვნული სულის ჩაკვლას, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის მაინც მისაღები არის ის კონსერვატორული იდეები, რითიც აქამდე მოვიდა ქართველი ერი.

მთელი ამ წლების განმავლობაში არ იყო ორგანიზებული ეს შინაგანი განწყობა, რაც ხელს უშლიდა იმ იდეების განხორციელებას, რაც ეროვნულ ადამიანებსა და ეროვნულ ჯგუფებს აქვთ. სწორედ ეს არის იმის მიზეზიც, რომ დღეს არსებული ხელისუფლების მიერ თავს გვაქვს მოხვეული ის იდეოლოგია, რომელიც აბსოლუტურად უცხო არის თითქმის ყველა ოჯახისთვის საქართველოში. ეს არის უცხოეთიდან მახინჯი ფორმებით გადმონერგილი და ხალხისთვის მიწოდებული ისეთი იდეოლოგია, რომელსაც 24 საათის განმავლობაში ქადაგებენ ქართული ტელევიზიები, ე.წ სახელისუფლებო ელიტა და ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს დაუძინებელი მტრების მიერ არის შექმნილი.

— რომელ არასამთავრობო ორგანიზაციებს გულისხმობთ?

— ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია „თავისუფლების ინსტიტუტი“. თქვენ მოწმე ხართ იმისა, რომ „თავისუფლების ინსტიტუტს“ მხრდამჭერი ფაქტორი-ვად, არ ჰყავს საქართველოში და დიდი აგრესიაა მათ მიმართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სწორედ ისინი არიან ფართოდ რეკლამირებულები და უნდათ წარმოჩენა, რომ მათი იდეებია მისაღები.

ჩვენ ვაპირებთ სწორედ ამ მოჯადოებული წრის გარღვევას, რომელიც აუცილებლად გაირღვევა კიდეც და თვალნათელი გახდება თითოეული ადამიანისთვის, რომ ეროვნული ცნობიერება უალტერნატივოა, რომ ის არის ქართველი ერის გადარჩენის ერთადერთი გზა და ერთადერთი შანსი.

— რანაირად ფიქრობთ ხალხისთვის ხმის მიწვდენას. თბილისში კიდევ შეიძლება რაღაცნაირად გავრცელდეს ხმა, მაგრამ საქართველო ხომ მხოლოდ თბილისი არ არის?

— სამწუხაროდ, არსებული ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებსა და სხვათა შორის, ოპოზიციაში ეროვნულ ადამიანებს აშკარად დევნიან ელექტრონული მედიის წარმომადგენლები, მაგრამ

30 მაისს შეიკრიბება იმდენი ხალხი, დავანახებთ ყველას, რომ ამდენი ადამიანი არც ერთი საზოგადოებრივი თუ სხვა ტიპის ორგანიზაციის თავჭრილობას არ ახსოვს.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ უკვე დაწყებულია სახალხო მოძრაობა ენთუზიაზმზე, რომელიც საკმაოდ მყარია. ადამიანები მოდიან მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ გადაარჩინონ ყველა ის ფასეულობა, რომლებიც ძვირფასია ქართველი ერისთვის.

ვიღაცას ჰგონია, რომ ჩვენი ფასეულობები ეს არის ჩამორჩენილობა და რაღაც რეგრესი, არადა, პირიქითაა, დასავლური ფასეულობები, რეალურად, თანხვედრაში არის იმ ფასეულობებთან, რომელიც ქართველ ერს აქვს. ამავე დროს მინდა ვთქვა, რომ ქართველი ერი და საქართველო ყოველთვის იყო ერთ-ერთი დიდი ქვაკუთხედი იმ დასავლური ცივილიზაციისა, რომელიც დღეს ესოდენ პოპულარულია საქართველოს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ წრეებში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეროვნულობა, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზე იქნება დამყარებული, იქნება ერთადერთი გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიც ვიმყოფებით.

საქართველოში არსებულ რეჟიმს ვერავინ და ვერანაირი საშუალებით ვერ დაამარცხებს თუ არ იარსება ეროვნულმა დოქტრინამ, თუ არ იარსება ეროვნულმა იდეოლოგიამ და თუ არ მოხდა ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი ადამიანების ერთ ორგანიზაციულ სტრუქტურად ჩამოყალიბება და იმ ერთი დიდი მუშტის შეკვრა, რომელიც დაამარცხებს ყველა იმ უკეთურობას, რაც გარედან გვაქვს თავსმოხვეული.

აუცილებლად აღვნიშნავ, რომ იმ ე.წ ლიბერალურ ღირებულებებს, რომელსაც წარმოგვისახავენ მათი საქართველოში დამნერგავები, არანაირი საერთო არ აქვს კლასიკურ ლიბერალიზმთან, მარქსისტულ-ლენინური იდეებია და ამიტომ მსტოვრებს ვუწოდებ მათ. ე.წ ლიბერალების ძალისხმევა მიმართულია იქით, რომ იარსებონ მხოლოდ მათ და არავინ სხვამ, ანუ ისინი არიან ბოლშევიკების გზის გამგრძელებლები, ამიტომ, მოდით, დავარქვათ ის, რანიც არიან, ნეობოლშევიკები, ნეოკომკავშირლები...

ჩვენ უნდა დავანახოთ ხალხს, რომ არსებობს სერიოზული იდეოლოგიური ალტერნატივა, ეროვნული იდეოლოგია, რომელსაც აბსოლუტურად ყველაფრის შეცვლა შეუძლია საქართველოში უკეთესობისაკენ.

დასავლეთ ევროპაში უკვე დაწყებულია პროცესები და საფრანგეთის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმაც დაადასტურა, რომ ეროვნულობა იწევს წინა პლანზე. ჩვენთან, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი მტერი ჰყავს ეროვნულობას, ბევრად უკეთ არის საქმე იმ მხრივ, რომ მაინც მყარად დგას. ნებისმიერი ქართველის ოჯახში რომ შებრძანდეთ, დაინახავთ ტრადიციულ ქართულ ოჯახს, რომლისთვისაც მთავარი პრინციპია ეროვნულობა.

თუ ჩვენ მივიღებთ მხოლოდ ცვლილებას, როდესაც ეს რეჟიმი შეიცვლება და მის ადგილზე მოვა იმავე იდეოლოგიის, წარსულში მათთან ახლოს მდგომი პილიტიკური ძალა, ეს იქნება ფასადური ცვლილება, რომელიც არაფერ კარგს არ მოუტანს საქართველოს.

— თქვენთვის მიუღებელ პოლიტიკურ ძალებს რას უპირებთ.

— არავითარ შემთხვევაში არ ვფიქრობთ, რომ უნდა მოიკვეთონ ან აიკრძალონ. უნდა იარსებონ მემარჯვენეებმაც, მემარცხენეებმაც, ცენტრისტებმაც, ლიბერალებმაც, ყველა პოლიტიკურმა ძალამ და ქართველმა ერმა უნდა გააკეთოს მათ შორის არჩევანი.

— მკვიდრდება ტერმინი „ქართული საზოგადოება,“ როგორ გგონიათ, სწორი ფორმაა შერჩეული?

— ჩემი ღრმა რწმენით, ეს უნდა შეიცვალოს ფორმით „ქართველი ერი“, რომელიც ზვიად გამსახურდიას შემდეგ პოლიტიკური ლექსიკონიდან ნელ-ნელა ამოვარდა. კი, ბატონო, „საზოგადოება“ კარგი არის, მაგრამ უძველესი ტრადიციებისა და კულტურის მქონე ქართველი ერი იმსახურებს იმას, რომ ვილაპარაკოთ ქართველ ერზე.

— მართალია, ჩემთვის გაუგებარია, მაგრამ ითქვა, რომ საქართველოში მცხოვრებ სხვა ერის წარმომადგენლებს უხერხულობას შეუქმნის ქართველ ერზე საზგასმა.

— მე ვფიქრობ, რომ სხვა ერის წარმომადგენლებს ეს არ ეწყინებათ, იმიტომ, რომ ის სომეხიც, აზერბაიჯანელიც, აფხაზიც და ოსიც იმავე ერის მთლიანობაში მოიაზრება, რომელშიც ნებისმიერი ქართველი.

მაია ჭელიძე

facebook xalxis azriT

როცა მინისტრი პლეშუ ევროსაბჭოში შესვლას „აპიარებდა“, ერთ-ერთ სოფელში უთხრეს: ევროსაბჭოში შესვლა კი ძალიან გვინდა, მაგრამ პიდარასტობა სავალდებულო რომ ხდება, ეს ცოტა გვაშფოთებსო. ევროპის ხათრით რას არ იზამ კაცი, მაგრამ მაინც „ტეხავს“.

ვაიმეე, რა დაარბიეს ამფერი ამ რუსეთში.. მთელი დღე რო ხვიხვინებენ ეს ჩემის ტრულაილა მიშოიდები?... 26 მაისის დარბევის მერე ვინმეს დარბევა უკვირთ ამ ჩემის თვრამეტიანებს?... ამათზეა ნათქმი: “არა, ტი ნა სვოი ნოს პასმატრი ელიი”

შევარდნაძისდროინდელი საარჩევნო კოდექსით საარჩევნო სიაში ამომრჩევლის პირადი ნომერი ფიქსირდებოდა, ხოლო არჩევნების დღეს ამომრჩევლის პირადობის მოწმობის ნომერი, ეს ორი მონაცემი ერთმანეთს უნდა დამთხვეოდა.

მოქმედი საარჩევნო კოდექსით, საარჩევნო სიაში პირადი ნომერია შეტანილი და არჩევნების დღესაც მხოლოდ პირადი ნომერი ფიქსირდება, ამდენად კონტროლის ეს მექანიზმი გაქრა. შესაძლოა, წინასწარ შეავსო მონაცემები, ამომრჩევლის ნაცვლად ხელიც მოაწერო და ბიულეტენი გამოიყენო.

rusTavelis TeatrSi, sadac akaki xoravas sulitrialebs, viRac malaizielisaWmelsakeTebs, ase vuvliT Cvens erovnul Rirsebas?!

ეთერ ხვიჩია ერთ-ერთი მათგანია, ვინაც საქართველოდან უცხოეთში წასვლა ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად გადაწყვიტა. დიდი ხანი არ არის, რაც საბერძნეთში „საერთო გაზეთის“ ერთგული მკითხველი, ქალბატონი ეთერ თბილისში დაბრუნდა, ამჯერად მუდმივად საცხოვრებლად და ორიოდე დღის წინ რედაქციაშიც გვესტუმრა. რა იყო ჩამოსვლის რეალური მიზეზი და როგორი ჩანს ათენიდან საქართველო? ამ და სხვა საკითხებზე ეთერ ხვიჩია გვესაუბრება.

ინტერვიუ დიმა ჯაიანთა.

— მოდით, ბატონო დიმა, ვისაუბროთ აფხაზეთზე. რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა უხერხულ კონტექსტში მოიხსენია საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე.

— საერთოდ აფხაზეთთან მიმართებაში ამათ გამოუსწორებელი დანაშაული აქვთ ჩადენილი. დაუკვირდით, აფხაზეთს საერთოდ აღარ ახსენებენ ან თუ ახსენებენ, ჯობს, საერთოდ არ ეთქვათ რაიმე. მართალია, ერთი მოწვევის პარლამენტის წევრი ვიყავი, მაგრამ იმას მაინც ვახერხებდით, რომ ყოველდღიურად შეგვეხესებინა ჩვენი ტკივილი აფხაზეთი საქართველოს მოსახლეობისთვის ცხონებული თამაზ ნადარეიშვილის დროს იყო აფხაზეთზე აქტიურად საუბარი. პარლამენტის სხდომა აფხაზეთის საკითხით იწყებოდა მაშინ, ახლა თუ გაგიგიათ აფხაზეთზე სერიოზული ლაპარაკი? არა, ხომ? იცით, რატომ? ამათ ჰგონიათ, რომ ჩვენ ვაკუუმში ვართ. არაფერი ვიცით და ვერაფერს ვხვდებით, სინამდვილეში ყველამ კარგად ვიცით აფხაზების და ქართველების ერთად ყოფნის გასაღები რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა რომაა.

— ბატონო დიმა, ახლახან პრეზიდენტმა განაცხადა მოვიჭრი ორგანოებს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სანაცვლოდო...

— ამაზე კომენტარი როგორ შეიძლება, კაცი ხომ ხედავთ აგონიაშია! ავადმყოფი და სამკურნალოა! ვის უგზავნის თავის ასოს, სულ არ მომწონს არც მედვედევი და არც პუტინი. ომი გამოვიარე, ჩემი თვალით მაქვს ყველაფერი ნანახი, სად იყვნენ ესენი, თუნდაც სააკაშვილი იმ დროს? სად იყვნენ საერთოდ ეს გარეწრები? იციან სად არის აფხაზეთი? ჩემს შვილთან ერთად ვიბრძოდი რუსეთის წინააღმდეგ! რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა იმ ომმა! რუსეთს მასწავლიან ესენი? ასე გვინდა აფხაზეთის დაბრუნება? ვიცით რუსეთის ხრიკები, მაგრამ მსოფლიოში პირველი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი რომ გაფრთხილებს, პროვოკაციას არ აყვეო და შენ შენსას რომ არ იშლი, ვისი ბრალია? როგორ შეიძლება ატომის მეფე ქვეყანას ომი მოუგო? კონსტანტინე გამსახურდიას აქვს გენიალურად ნათქვამი: „ერს, რომელსაც ნაცარქექიას ზღაპარი აქვს, გადაშენება არ უწერიაო“. რას გულისხმობდა დიდი კონსტანტინე? — მოქნილობას, ჭკუას, ხერხს.

— სამწუხაროა, რომ ხელოვნების ნაცვლად პოლიტიკაზე გვიწევს საუბარი.

— ხელოვნებაზე და თეატრზე როგორ ვილაპარაკოთ, როცა ჩემი ნაციონალური თეატრი, რუსთაველის, ასეთ მდგომარეობაშია. ინგლისში, შექსპირის თეატრში შეგიშვებენ და ცეკვას ან სხვა სანახაობებს დაგადგმევინებენ? ან კულინარიულ გაკვეთილებს ჩაგატარებინებენ? ან ნიჭიერს გამოავლენენ? არ ვარ იმის წინააღმდეგი, მაგრამ ასეთი ღონისძიებებისთვის სხვა დარბაზების მონახვა შეიძლება. იქ სიმფონიურ ორკესტრსაც არ უშვებენ! იმიტომ რომ ის შექსპირის თეატრია! ამას თავი დავანებოთ, თეატრიდან უშვებ მსოფლიოში პირველ რეჟისორს და სხვა რაზეა საუბარი? ეს გადაცემები დრამატულ თეატრებში არ უნდა ტარდებოდეს, ამისთვის გვაქვს სხვა დარბაზები. მაგრამ ეს ყველაფერი შეგნებულად კეთდება, რადგან რობერტ სტურუა რადგან გავუშვით, ახლა თეატრს ბოლომდე ჩავწიხლავთ. იმიტომაც კიდევ, რომ რუსთაველის თეატრი ბიძინა ივანიშვილის გადარჩენილია. გახსოვთ, თეატრის შენობა მთლიანად ამორტიზებული იყო. რამდენიმე დღის წინ აკაკი ხორავას საფლავზე ვიყავი და მოვუბოდიშე, ვერ მოგიარეთ-მეთქი. მისი სული რუსთაველის თეატრში ტრიალებს და იქ ვიღაც მალაიზიელი საჭმელს აკეთებს, ვიღაც სტრიპტიზს ცეკვავს. სად კაცო, სადაც ჩვენი თეატრალური კორიფეები გამოდიოდნენ? ასე ვუვლით ჩვენს წარსულს, ჩვენს სიამაყეს? ეროვნულ ღირსებას?

ვფიქრობ, დღეს ურთიერთლანძღვის დრო არ არის. მეც ბევრი არ მომწონს ოპოზიციაში, მაგრამ ჩემგან კრიტიკა არავის გაუგია. დღეს ქვების შეგროვების დროა, როდესაც ყველამ ერთად უნდა შევაგროვოთ, დაწყებული ბიძინა ივანიშვილიდან, დამთავრებული ნინო ბურჯანაძეთი. ერთად უნდა დავდგეთ და ვაკეთოთ საქმე.

გია ბურდული

wavediT Tavmoyvareobaselaxulebi saqartvelodan, davbrundiT da kvlav Tavmoyvareobas gvilaxaven

ეთერ ხვიჩია ერთ-ერთი მათგანია, ვინაც საქართველოდან უცხოეთში წასვლა ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად გადაწყვიტა. დიდი ხანი არ არის, რაც საბერძნეთში „საერთო გაზეთის“ ერთგული მკითხველი, ქალბატონი ეთერ თბილისში დაბრუნდა, ამჯერად მუდმივად საცხოვრებლად და ორიოდე დღის წინ რედაქციაშიც გვესტუმრა. რა იყო ჩამოსვლის რეალური მიზეზი და როგორი ჩანს ათენიდან საქართველო? ამ და სხვა საკითხებზე ეთერ ხვიჩია გვესაუბრება.

— საბერძნეთიდანაც კარგად ჩანდა, რომ საქართველოში ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ამბობდნენ. ამიტომაც მეუბნებოდნენ — ხომ არ ჩქარობ, ჯერ, იქნებ, წასვლა არ ღირდესო, მაგრამ მე დღეს აქ ვარ და საქართველოდან წასული უამრავი ადამიანი ელოდება ახლა „საერთო გაზეთს“, რომ გაიგონ, სინამდვილეში რა ხდება და რა პერსპექტივა ელოდება უცხოეთიდან დაბრუნებულ ადამიანს თავის სამშობლოში.

სანამ წამოვიდოდი, რამდენიმე ხნით ადრე საბერძნეთში საქართველოდან უმაღლესი თანამდებობის პირები ჩამოვიდნენ. ისე გველაპარაკნენ, გვეგონა საქართველოში, უკვე სამოთხე იყო. ბევრმა გადაწყვიტა მაშინ ყველაფრის მიტოვება და სამშობლოში დაბრუნება დაბრუნების შემთხვევაში 3000 ევროთი დახმარებაც ცოტა არ არის.

საბერძნეთში პირადად კობა სუბელიანისგან მოვისმინე, რომ სწორედ ეს სამინისტრო გასცემდა თანხებს და რომ ჩამოვედი პირდაპირ ბატონი კობას უწყებაში მივედი. 3000 ევროს ნაცვლად 2000 ევრო შემომთავაზეს, — დანიის პროგრამა, რომელიც 3000 ითვალისწინებდა, შეიცვალა, თანაც, ჩვენ ყველას ვერ ვეხმარებითო. რამდენიმეჯერ მივაკითხე სამინისტროს, მაგრამ მეუბნებიან ისე როგორც ერთ მშვენიერ ქართულ ფილმშია, „გეკუთვნით, მაგრამ არ გეკუთვნით“.

ბიზნესგეგმა წარმოადგინეთ, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვისო, ჰოლანდიურ ძროხებზე და გერმანულ ღორებზეა ლაპარაკი, ჰიბრიდული სიმინდის არ იყოს. ფულს არ აძლევენ და უნდათ აჩვენონ, რომ შეუძინეს ორი ღორი, ერთი ძროხა ფული არ მოდის ჩვენამდე, სადღაც ქრება. აგერ გუშინ მითხრეს, რომ მომცემენ, ოღონდ ჯერ არა. ამასობაში არჩევნები იქნება, მერე ევროკავშირი ან გამოაგზავნის, ან უარს იტყვის. აი, ამ ტყუილებს გაურბის ხალხი, გაჭირვებასთან ერთად ტყუილს და უიმედობას გაურბის.

მე მაინც მგონია, რომ დიდ ტყუილზეა ყველაფერი აგებული. ძალიან დიდ ფარისევლობასა და ტყუილზე და ვწერდით ამაზე საბერძნეთში გამომავალ ქართულ გაზეთში „ელადაშიც“. საქმე ისაა, რომ უცხოეთში ყველა საკუთარი პრობლემების გამოა წასული და ქვეყნის მომავალი ბევრს არ აწუხებს.

სააკაშვილს მართავენ მისი პატრონები, ისევე, როგორც ქართულ საელჩოებს და საკონსულებს მართავს ეს ხელისუფლება უცხოეთში.

გაიგოს ამ ხელისუფლებამ მე, ეთერ ხვიჩია, არა ვარ მისი მტერი. არამედ ვარ ოპოზიციაში და მსურს არჩევნების გზით შეიცვალოს ხელისუფლება. რამდენიმე წუთის წინ დამირეკეს ათენიდან. გუგუნებს ოპოზიცია: საბერძნეთი ბერძნებისთვის! მოითხოვენ — უცხოელები გავიდნენ საბერძნეთიდან.



საქართველოში გაუბედავს ვინმე მსგავს მანიფესტაციას ეროვნულ უმცირესობებს? ის კი არა, ხელისუფლება კანონებს იღებს ეროვნული უმცირესობების დასაცავად. საქართველოში კი ნელნელა ქართველები ვირიცხებით უმცირესობაში. უმცირესობაში მყოფმა ოსმა და აფხაზმა წაგვართვა ტერიტორიები და უმცირესობაში მყოფი სომხები და აზერბაიჯანელები ითხოვენ ტერიტორიებს.

მივხედოთ ჩვენს ქვეყანას, მარტო ერთი კლასიკოსის ბერად აღკვეცა არ ნიშნავს საერთო სინანულს, ჩვენ ბევრი რამ დავაშავეთ ეროვნული ხელისუფლების წინაშე, კერძოდ, ზვიად გამსახურდიას წინაშე, რომელიც ამბობდა: სახელმწიფო დოტაციაზე ვტოვებ ჯანდაცვას და განათლებას, რადგან მე ჯანმრთელი და განათლებული ქართველები მჭირდებაო. ასეთ კაცს აღუდგა იარაღით ინტელიგენციის წარმომადგენლები და ახლა არის ჩვენს ქვეყანაში ისევ რიარია.

ახლოვდება 26 მაისი, რომელიც მერაბ კოსტავას დაბადების და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის დღეა. ჩემი მეგობრები აგროვებენ თანხას საბერძნეთში. ვაპირებთ ორივე დიდი პატრიოტის საფლავზე მივიდეთ და ღირსეულად მივაგოთ პატივი მათ ხსოვნას, ისე როგორც მათ სულებს ეკადრება.

არ ვიცით, რა იქნება 26 მაისს, მაგრამ არ შეიძლება ასე, ივანიშვილი იქით ატარებს შეკრებას, ბურჯანაძე გაბრაზდა და ჩაშალა ფილარმონიაში შეხვედრა... ვინც რა უნდა, ის თქვას, შარშან 26 მაისს ნინო ბურჯანაძე გმირი იყო, და ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც ამ დღის მიმართ მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს. სხვანაირი დღეა 26 მაისი საქართველოსთვის. და ბოლოს და ბოლოს სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს 90-იანი წლების მოვლენებს. ათეულობით გულანთებული ადამიანია გადახვეწილი საქართველოდან ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერისთვის და მათი დაბრუნება წაადგება ქვეყანას.

ჩვენ ვუღალატეთ ეროვნულ ხელისუფლებას, ჩვენ ვუღალატეთ საკუთარ თავს, ამიტომ, რაც არ უნდა მოხდეს, არჩევნები და ა.შ. ყველაფერი აბსურდი იქნება.

ასეთი ცხოვრება არ დაგვიდგებოდა, მეტად გონივრულად რომ ვყოფილიყავით 90-იან წლებში. ახლა თბილისი შენდება, მაგრამ ვისთვის? ჩემს სახლთან ახლოს უმწეოთა დასახმარებლად უფასო სუპი რიგდება, ყოფილი მეცნიერ-მუშაკები ამ სასადილოს ხშირი სტუმრები არიან.

მე კი, ერთ ჩვეულებრივ ქართველს, რაც საბერძნეთიდან ჩამოვედი, არც ერთ უწყებაში ილიას, აკაკის და იაკობის ენით არ მელაპარაკებიან, დაყენებული იმიჯით, დაყენებული მეტყველებით, უცხოური აქცენტით მეტყველებენ ჩვენი ახალგაზრდები, რომლებიც შინაგანად არ არიან ქართველები... ამას საბერძნეთში არც ერთი ბერძენი არ გააკეთებს. ჩემი თვალით მაქვს ნანახი ბერძნების დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ. მათ საბერძნეთი ბერძენისთვის სურთ. ჩვენ ერთხელ ვთქვით —„საქართველო ქართველებისთვისო“ და ლამისაა გადაგვაყოლეს ამას. საბერძნეთში ვინ გაბედავს, რაც გააკეთეს ამას წინათ პარლამენტის წინ აზერბაიჯანელებმა, რაც უწოდეს ჯონდი ბაღათურიას, რომელიმე ქვეყანაში უმცირესობა ამას გაბედავდა? რატომ ირღვევა ჩემს ქვეყანაში ჩემი უფლებები?

წავედით თავმოყვარეობაშელახულები საქართველოდან, დავბრუნდით და კვლავ თავმოყვარეობას გვილახავენ. საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხის მტრად არის ქცეული და ჩემი აზრით, ასე ძლიერი სახელმწიფო ვერ აშენდება.

ანა ვადაჭკორია

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

prezidenti sityvebiT umuSevrobas ebrZvis da axal sagareo valebs iRebs

2 წლის საქართველოს პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ მეწარმეებს უკანონოდ გადახდილი დღგ-ს ხან უკან დაუბრუნებდნენ, მაგრამ ეს პირობა, როგორც მრავალი სხვა, აუსრულებელი დარჩა, რადგან ფინანსთა სამინისტროს ამისათვის სახსრები არასოდეს არ გააჩნია.

პრეზიდენტმა მეწარმეებს ისიც ახარა, რომ დასაბრუნებელი (დღგ-ზე გადახდილი) ბიუჯეტში უნდა გაწერილიყო არც ეს გაკეთებულა, მეწარმეებს ერთადერთი გამოსავალი რჩებათ – დათანხმდნენ ფინანსთა სამინისტროს შემოთავაზებულ ჩათვლის წესებზე.

სააკაშვილის დღგ-ში გადახდილის უკან დაბრუნებაზე გაცემულმა პირობებმა სპეციალისტებს ათქმევინა, რომ ხელისუფლება აღიარებს დამატებითი ღირებულების გადასახადებს.

„მრეწველების“ ლიდერი ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, რომ საგადასახადო კოდექსში დღგ-ს გადასახადის დაბრუნების პროცედურა გამარტივდა. მაგრამ პრობლემა გახდა თანხის დაბრუნება. ექსპერტ ირაკლი შავიშვილის განმარტებით, ბევრი მეწარმე დღგ-ს დაბრუნების მოთხოვნისაგან თავს იკავებს. – ეშინიათ მათ კომპანიებში შემოსავლების სამსახურმა ეგზეკუცია არ ჩაატაროს. ამის გამო მიდის დათმობაზე გააკეთოს ჩათვლები.

კიდევ ერთ ექსპერტს, დავით ნარმანიას მიაჩნია, რომ დღგ-ს დაბრუნების პროცესი უსაშველოდ იწელება, მეწარმეებს კი საკუთარი უფლებების დაცვის არანაირი საშუალება (საკანონმდებლო დონეზე) არ გააჩნიათ.

ეკონომიკის სპეციალისტთა განმარტებით, კანონით დღგ-ს გადასახადი ერთ თვეში უნდა დაბრუნდეს, მაგრამ ვალების დარღვევისათვის სახელმწიფოს არანაირი სანქციები არ ეკისრება. სახელმწიფო და მეწარმეები არათანაბარ პირობებში არიან.

დაუცველი დასაზღვევები

ხელისუფლებამ დაზღვეულების უფლებების დასაცავად, ქმედითი სტრუქტურები დღემდე ვერ (ან არ) შექმნა. ბენეფიციარების დიდი ნაწილი სახელმწიფო პროგრამებიდან ეზღვევა. აქ კი მონოპოლიზმი იკვეთება, ასკვნიან ექსპერტები და ამტკიცებენ, რომ ამგვარი დამოკიდებულება ხარისხზეც ახდენს გავლენას.

ის, რომ სადაზღვევო სექტორში, ყველაფერი წესრიგში არაა, პრეზიდენტი სააკაშვილიც აღიარებს. ხშირად მანიპულაციების შედეგად, დაზღვეულმა არ იცის, რას დაფარავს დაზღვევა. „ამიტომ თამაშის ახალ წესებს სთავაზობთ, იმისათვის, რომ სადაზვევომ დაზღვეული არ მოატყუოს“. – აცხადებს ნაციონალების ლიდერი.

სადაზღვევოებში კი აცხადებენ, რომ ისინი მოსახლეობას არ ატყუებენ. მზღვეველების მიმართ ნეგატიური განწყობილების მიზეზი ის არის, რომ მოსახლეობა სადაზღვევოებისაგან ითხოვს უფრო მეტს, ვიდრე მათი პოლისი ითვალისწინებს.

ექსპერტთა განმარტებით, სადაზღვევოებისადმი დაზღვეულების უნდობლობა განპირობებულია იმით, რომ ხელისუფლებამ თავი ვერ (ან არ) მოაბა ეფექტური მედიაციის სამსახურის შექმნას. სასამართლოში დავები თვეობით იწელება. სარჩელის შემტანმა ბიუჯეტში სადაო თანხის 3 პროცენტი უნდა გადაიხადოს. ამას საადვოკატო ხარჯები ემატება. ამდენი ნერვები და ფულადი სახსრები საჩივრის შემტანთ არა აქვთ. ყველაფერი კი უბრალო, უფულო მოქალაქის საწინააღმდეგოდ წყდება.

კომუნალური მომსახურების ტარიფებს ისეთივე დაცვა სჭირდება, როგორც პურის ფასს, რადგანაც ისინიც პირველადი მოხმარების საგნებია

ვიდრე სააკაშვილს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩევდნენ, თუ ნათელაშვილის შემწეობით დანიშნავდნენ, პირობას დებდა, რომ დედაქალაქში გაზი, ელექტროენერგია, წყლით მომარაგება, დასუფთავება ერთ თეთრითაც არ გაძვირდებოდა. იგივე პირობას იძლეოდა საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზეც. „ვარდ-ეკალოსნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სააკაშვილის დაპირებები დაავიწყდა. მან მოსახლეობას „ქამრების მოჭერისაკენ, მოუწოდა და დაიწყო ფასების „გათავისუფლება“. პირველ რიგში, მატება პირველადი მოხმარების საგნებს დაეტყო.

ავადსახსენებელი 2003 წლიდან წყლის ტარიფი 200 პროცენტით, ხოლო ბუნებრივი აირის 250 პროცენტით გაიზარდა. დასუფთავების გადასახადმა არნახულ ზღვარს, 525 პროცენტს გადააჭარბა.

განსაკუთრებულია ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდის შემთხვევა. ის, რომ დენი არ უნდა გაძვირებულიყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (№1-3-136.30.12.02) გადაწყვეტილებაში იქნა ჩადებული, მაგრამ ვარდოსნების სტრუქტურულმა დანამატმა – მარეგულირებელმა კომისიამ ყოველივეს უგულებელყოფა მოახდინა და ელექტროენერგიაზე ტარიფი ნელ-ნელი აწევებით 100 პროცენტით გაზარდა ამასაც არ დაყაბულდა და ტარიფი სამომხმარებლო საფეხურებად დაჰყო, რამაც საფასურის გაძვირება 150 პროცენტამდე ასწია. იურისტების განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უგულებელყოფა (წინამდებარის ანულირების გარეშე) მძიმე სახის სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება სოლიდური ვადით პატიმრობის აღკვეთით.

სიტყვით სხვა, საქმით – სხვა

„ნაციონალები“ და მათი ლიდერი ცხარე ცრემლებით ტირიან უმუშევართა ბედზე და გულში მჯიღს იცემენ (მხოლოდ არჩევნების წინ), რომ სიღარიბესა და უმუშევრობას აღმოფხვრიან. მათ ამ კუთხით გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნიათ დასაქმების „ნაცმოური“ პროექტი, მაგრამ სპეციალისტებს მოსალოდნელი დასაქმება დროებითად და წინა საარჩევნო პიარად აქვთ წარმოდგენილი და თვლიან, რომ სერიოზულ თანხებს უაზროდ ყრიან.

სპეციალისტების განმარტებით, როდესაც „ნაციონალების“ მთელი ელიტა დასაქმების პრობლემებზე მსჯელობს, „თავისუფალ ასოციაციათა კავშირმა“ ცენტრალურ საარჩევნო („სარეფერენდუმო“) კომისიაში განცხადება შეიტანა მოთხოვნით, მიეცათ მისთვის უფლება ჩაეტარებინა რეფერენდუმი უმუშევართათვის შემწეობის გაცემის აუცილებლობის თაობაზე.

„ნაციონალების“ ხელდასმულმა და „ვარდოსნებით“ დაკომპლექტებულმა ორგანომ (ცსკომ) მოთხოვნის გამცემთ დოკუმენტაციის რეგისტრაციაზე უარი უთხრა. იმ მოტივით, რომ სარეფერენდუმო საკითხი (უმუშევართათვის შემწეობების გაცემა) არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს.

უმუშევართათვის შემწეობების გაცემა, მათთვის საყოველთაოდ აღიარებული დახმარების ფორმაა. ამგვარ დახმარებებს სხვადასხვა სახელმწიფო სხვადასხვა ვადებითა და ოდენობით გასცემენ. დაუსაქმებელთათვის დახმარებებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც იძლევიან.

ამგვარ დახმარებებს ადრე საქართველოშიც გასცემდნენ. შემწეობებს იღებდნენ შრომის ბირჟაზე დარეგისტრირებული, მაგრამ „ნაციონალებმა“ ბირჟა „შევარდნაძის გადმონაშთად“ ჩათვალეს და გააუქმეს. ყველა რეგისტრირებულ უმუშევარს შეუწყდა სახელმწიფოსგან ისედაც მიზერული დახმარება.

მარიონეტ პეტრიაშვილსაც კი შერცხვა

უმუშევართა მრავალრიცხოვან არმიას არ შეერთების მსურველთა არც ისე დალხენილი სამუშაო გარემო-პირობები აქვთ. განსაკუთრებით ეს ხელისუფლების მხრიდანმეწარმეების იძულებით თავს მოხვეულ დასაქმებულებს ეხებათ. ჩატარებული გამოკვლევებით, ამ კატეგორიის ხალხს უმეტეს შემთხვევებში უმკაცრესად ექცევიან. დილით დაგვიანებაზე ან სამსახურიდან რამდენიმე წუთით ადრე წასვლაზე სჯიან – ძირითადად, ხელფასებიდან თანხებს აჭრიან. გაიგივებულია არასაპატიო და საპატიო გაცდენები. ამ შემთხვევაშიც ეკონომიკური სანქციები მოქმედებს.

როგორც ირკვევა, ხელისუფლების რეკომენდაციით, დასაქმებულებს სხვათა მსგავსად არანორმირებული სამუშაო დღის გრაფიკით ამუშავებენ. ხშირად გამოჰყავთ დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში, ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

ხშირ შემთხვევებში, უფროსობა ახალდასაქმებულებს თანხების დაზოგვის მომიზეზებით, ცივ, ნესტიან გაუსაძლისთან მიახლოებულ პირობებს უქმნის.

სერიოზული პრობლემაა შრომის ანაზღაურების მხრივაც. საქართველოში საერთოდ დასაქმებულთა საშუალო წლიური ხელფასი 7200 ლარია. მკვლევართა განმარტებით, ამ მაჩვენებელს ძირითადად „ქაჩავენ“ მაღალი თანამდებობის პირთა უზომოდ გაბერილი ხელფასები, განსაკუთრებით სახელმწიფო სექტორში, ჩვენი მაჩვენებელი მიზერულია, თუნდაც კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ საბერძნეთში დასაქმებულებთან შედარებით – 29 200 ევრო. ჩვენთან საერთო მაჩვენებელზე ბევრად დაბალია ხელისუფლების მიერ დასაქმებულთა ანაზღაურება.

დამსაქმებელთან ოდნავი პრეტენზიის შემთხვევაში მეპატრონეს პასუხი მზადა აქვს – არ მოგწონს, წადი. შეუცვლელი არავინაა. იძულებით თავსმოხვეულ დასაქმებულებს ხელისუფლების შიშით, უცებვე განთავისუფლებას ვერ უბედავენ. სამაგიეროდ, ისეთ პირობებს უქმნიან, რომ მან თვითონ დაწეროს განცხადება წასვლაზე.

სპეციალისტთა განცხადებით, არ არსებობს მეპატრონის შემაკავებელი არავითარი კანონი მუშა-მოსამსახურეები საკანონმდებლო დონეზე არიან დაუცველი. ისინი მფლობელებთან მიმართებაში დაკანონებულ მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან და ყოველივეს იტანენ სამუშაოს დაკარგვის შიშითა და კაბალური შრომის კოდექსის გამო.

კანონმდებლობა იმდენად მიახლოებულია ბატონ-ყმური ეპოქის კანონებთან, რომ თვით „ნაცების“ ხელდასმულმა პროფკავშირის თავმჯდომარემ პეტრიაშვილმა პიარ აქციაზე „მშრომელთა დამკაბალებელი“ საქართველოს შრომის კოდექსი შეკრებილი ხალხის თვალწინ დახია, მაგრამ პეტრიაშვილის გუნდის საქმიანობა ამის იქით აღარ წასულა. როგორც გაირკვა აქციის დღე ყოფილა მსოფლიო პროფესიული კავშირების მიერ გამოცხადებული „თანადგომის დღე“. პეტრიაშვილმაც, უბრალოდ, დაამთხვია აქცია ამ დღეს და საერთაშორისო პროფკავშირულ მოძრაობას დაანახა, რომ იგი და მის ხელში უაღრესად დაკნინებული საქართველოს პროფკავშირები ჯერ კიდევ ცოცხლები არიან.

ზაზა ბილიხოძე

facebook xalxis azriT

წააგო „სარკომ“ არჩევნები და ღირსეულადაც მიიღო დამარცხება არ ეძახის არავის ბნელ ძალებს მუმიებს და მოღალატეებს. ჩვენმა მაღალმა დემოკრატიის შუქურამ ჩართოს ტელევიზორი და ცოტა მაინც ისწავლოს ევროპელებისგან რომ გადაგვჭამა თავი თავისი ბილწსიტყვაობით.

სარწმუნო წყაროდან მივიღეთ ინფორმაცია მერაბიშვილს განუცხადებია ქუთაისში რეგიონალურ თათბირზე: „თოთო ბავშვიც დასაჭერი რომ გაგვიხდეს, უნდა დავიჭიროთ, ეს არჩევნები უსიკვდილოდ უნდა მოვიგოთო“

ვაიმეეეე... ნინოოო ჭელიძეეე...ხათუნაააა ჭყოიძეეე... ვახო... ვახო სად ხარ, სიხარულიძე...ფსიქიატრებო, ხო ხართ, ამი დედა ვატირე, უშველეთ ამ ჩემის ტრულაიალას რამე თვარა გადელდა ნამეტნავათ და ბოდავს, ბოდაააავს, გაზაფხულზე უჭირს, ეტყობა, ძაან.

ერთმა საკრებულოს წევრმა ვანიდან (შინაურია) ასე მითხრა, რომ 500-დე ადამიანი ყავდათ ჩამოყვანილი ვანიდან, იქირავეს ავტობუსები და დახარჯეს უამრავი რესურსი.. მშიერ ხალხს 2 მილიონიანი შადრევანი ანახეს.. ვაი, ჩვენს პატრონს, რა...

გია როინიშვილი, ნუგზარ ერგემლიძე და აჰა, ესეც მიემატება. ასრულდა მამულიჩას ნატვრა, უკვე პარლამენტარი ცოლი ეყოლება. სამ ხმაში იმღერებენ ეხლა პარლამენტში. რავა მეილხენს მიშიკო და ბიძო? დაიშაქრებიან სულ, ანგელოზები გეგონება რომ არ იცოდე, ვინც არიან. იქედან როინიშვილი შემოჰკრავს, აქედან ნუგზარა ბიჭი და ლელას ვენაცვალე, დააგვირგვინებს.

სისხლის ჯგუფი და დაავადებები

სისხლის ჯგუფი ინდივიდუალური ნიშანია, რომელიც ეროვნების, სქესისა და ასაკის განურჩევლად, ყველა ადამიანს ახასიათებს. იგი არაპირდაპირ განსაზღვრავს ორგანიზმის ზოგად მდგომარეობას, მის კვებით უპირატესობასა და ამა თუ იმ დაავადებებისადმი დადებითად განწყობას.

როდესაც ცნობილია დაავადებათა ნუსხა, რომელიც სისხლის რომელიმე ჯგუფის მქონეებს ყველაზე ხშირად ახასიათებს, ეს ძალიან კარგია, რადგან გარკვეულწილად, ადამიანი წინასწარ ემზადება მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, გაცილებით უკეთ შეიმეცნებს ამ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის საშუალებებსა და მეთოდებს.

მაშ ასე, მოდით, ერთად გავერკვიოთ, თუ რომელ დაავადებებზე მიგვანიშნებს ჩვენი სისხლის ჯგუფი.

სისხლის პირველი ჯგუფი

სისხლის პირველი ჯგუფი ძლიერი ხასიათის ადამიანებს ახასიათებს. მიზანდასახულნი, მტკიცენი და საკუთარ თავში დარწმუნებულები საკმაოდ მედეგნი არიან ნევროზებისადმი და ადვილადაც ჯანმრთელდებიან; თუმცა სხვებისგან ამბიციურობით, მტკივნეული თავმოყვარეობითა და რამდენადმე გამოხატული ამპარტავნებით განირჩევნიან.

მენიუში განსაკუთრებით დიდი ადგილს უთმობენ ხორცსა და მის პროდუქტებს.

გააჩნიათ ძლიერი ორგანიზმი და ჩვეულებრივ, დიდხანს ცოცხლობენ.

ყველაზე ხშირად აწუხებთ: ჰიპერტონიული დაავადება, გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ართრიტი, რევმატიზმი, არატრავმული სისხლდენა, ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია, ალერგია და ჰემოფილია.

ჩამოთვლილ დაავადებათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, რადგან მსოფლიოში წყლულოვანი პათოლოგიით დაავადებულთა 35 პროცენტს სწორედ სისხლის პირველი ჯგუფის ადამიანები შეადგენენ.

არსებობს მოსაზრება, რომ პირველი ჯგუფის სისხლი ხელს უწყობს კუჭის ლორწოვან გარსზე იმ მემბრანული რეცეპტორების განვითარებას, რომლებიც მეტისმეტად მგრძნობიარენი არიან ჰელიკობაქტერიისადმი. ამიტომაც პირველი ჯგუფის მქონენი ადვილად ემორჩილებიან დაავადების გამომწვევის ნება-სურვილს.

სისხლის მეორე ჯგუფი

ამ ჯგუფის წარმომადგენლები მეტად კომუნიკაბელურნი არიან, ადვილად ეგუებიან უცხო გარემოს, ორგანულად ერწყმიან ნებისმიერ კოლექტივს და გულგახსნილობითა და კეთილგანწყობით ადვილად იწვევენ სიმპათიებს. მათზე ემოციები ვერ ბატონობს, ისინი საღად აზროვნებენ და ცივი გონებით უდგებიან ნებისმიერ საქმეს. მათ შეიძლება ენდოთ!

აშკარა უარყოფით თვისებად შეიძლება მივიჩნიოთ სიჯიუტე და ის, რომ არ შეუძლიათ მოდუნება, რაც უქმნით კიდეც ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ადვილად ელევიან ხორცსა და მის პროდუქტებს, უპირატესობას ვეგეტარიანულ საკვებს ანიჭებენ, რადგან იციან, რომ ასეთი საკვები მათ ორგანიზმს გაცილებით უხდება.

ყველაზე ხშირად აწუხებთ: მიოკარდიუმის ინფარქტი, ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადება, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებები, განსაკუთრებთ მიდრეკილნი არიან სანაღვლე გზებში ქვების წარმოქმნისადმი, ხშირად აწუხებთ პნევმონიები, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, პოდაგრა, ქრონიკული გადაღლის სინდრომი, ლეიკოზი, თრომბოზი, ტრომბოფლებიტი, ქვედა კიდურების ენდარტერიიტი, კარიესი, ფურუნკულები, ნაადრევი დაბერება, ქალებში – მასტიტი.

სისხლის მესამე ჯგუფი

ამ ჯგუფის წარმომადგენელთა უმრავლესობა დახვეწილი, ნიჭიერი ხალხია, გულგახსნილი და ოპტიმისტია, ახასიათებს თავისებური ლტოლვა თავგადასავლებისადმი. მონოტონური ცხოვრება მალე ბეზრდებათ და მზად არიან ძირეული ცვლილებებისთვისაც კი.

აშკარა უარყოფითი თვისებაა უსაზღვრო ინდივიდუალიზმი და დამოუკიდებლობისადმი უზომო ლტოლვა, რაც ხშირად მათ დაუცველსა და სუსტს ხდის.

ამ ჯგუფის ადამიანები ეტანებიან ხორცს, რძესა და მის პროდუქტებს განუსაზღვრელი რაოდენობით.

ყველაზე ხშირად აწუხებთ: ანგინა, შარდგამომყოფი სისტემის დაავადებები, ენტეროკოლიტი, განსაკუთრებით ხშირია მსხვილი ნაწლავის სიმსივნეები, ნაღველკენჭოვანი დაავადება, ქოლეცისტიტი, ათეროსკლეროზი, ალერგია და კარიესი.

სისხლის მეოთხე ჯგუფი

ამ ჯგუფის წარმომადგენელთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა ჯგუფებისა. ისინი ძლიერი და მრავალმხრივ ნიჭიერი, განსაკუთრებით მიმზიდველი ადამიანები არიან. მათთან თანაცხოვრება ძალზედ ადვილია, ახასიათებთ ხასიათის სირბილე, კეთილმოსურნეობა, გაწონასწორებულობა.

მათი სისუსტე ვლინდება მუდმივ შინაგან კონფლიქტებში, რაც ძლიერ უქვეითებთ თვითშეფასების კოეფიციენტს, მერყევნი არიან და ეშინიათ სიახლეების.

მცირე რაოდენობით ყველა პროდუქტი უყვართ, თუმცა ერიდებენ კუჭისთვის მძიმედ მოსანელებელ საკვებს.

ყველაზე ხშირად აწუხებთ: ანგინა, გრიპი, ჰაიმორიტი, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ბრონქიტი, ანემია, ეკზემა, ჰიპერტონია, გულის უკმარისობა, ფურუნკულები.

მართალია, სისხლის ჯგუფი გარკვეულ ინფორმაციას იძლევა კვების, ცხოვრების წესისა და დაავადებებისადმი მიდრეკილების შესახებ, მაგრამ არ გირჩევთ ამ რეკომენდაციათა ბრმად მინდობას, რადგან ერთი და იმავე სისხლის ჯგუფის ადამიანებიც კი, ამა თუ იმ თვისებათა გამოხატვისას, საკმაოდ ინდივიდუალურნი არიან ეს უბრალოდ, ზოგადი ინფორმაციაა, რომელიც საკუთარი ორგანიზმის უკეთ შეცნობასა და მართვაში უნდა დაიხმაროთ.

კალციუმი რომ არ დაგაკლდეთ

კალციუმს საკმაოდ ბევრი, ფართოდ გავრცელებული პროდუქტი შეიცავს, მიუხედავად ამისა, მისი მიღება საკვების გზით მაინც გარკვეულწილად პრობლემურია: პირველ რიგში – ყველა პროდუქტი არ შეიცავს მას საკმარისი რაოდენობით და მეორე – კალციუმის საჭირო ოდენობის მისაღებად აუცილებელია ნორმალურად ფუნქციონირებდეს ორგანიზმში მისი უტილიზაციის (ათვისების) ფიზიოლოგიური ინსტანცია.

კალციუმის წყაროა

კალციუმის შემცველობით ლიდერობს: რძე, მისი პროდუქტები, ყველი. გარდა იმისა, რომ თავად შეიცავენ დიდი რაოდენობით მინერალს, საგრძნობლად აუმჯობესებენ მის ათვისებას სხვა პროდუქტებიდანაც;

მშვენიერი წყაროა: კვერცხის გული, კომბოსტო, სოიო, მწვანილი.

გახსოვდეთ

რაც უფრო დიდი რაოდენობით კალციუმი ხვდება ორგანიზმში მცენარეულ საკვებთან ერთად, მით კარგ დღეშია ძვლოვანი ქსოვილი.

მჟავე საკვები აქვეითებს ორგანიზმში კალციუმის ნორმალურ ცვლას.

ცხოველური წარმოშობის ცხიმები მართალია კალციუმის მცირე დოზებს შეიცავენ, მაგრამ საგრძნობლად აუმჯობესებენ მის ათვისებას;

სასმელი წყალი, ყოველ ყლუპი წყლისა კალციუმს შეიცავს, განსაკუთრებით ეს წყაროსა და ჭის წყალზე ითქმის, რომლის 1 ლიტრშიც 350-500 მგ მინერალია, ორგანიზმი საჭირო კალციუმის 10-30% -ს სწორედ სასმელი წყლით ღებულობს.

D ვიტამინი და მზის სხივები

კალციუმის შემცველი პროდუქტით კვება საქმის მხოლოდ ნახევარია. მთავარი მინერალის ნორმალური ათვისება გახლავთ, ამისათვის კი საჭიროა D ვიტამინი და მზის სინათლე, რომელიც D ვიტამინის სინთეზს უწყობს ხელს. სამხრეთ რაიონების მოსახლეობა პრაქტიკულად არ ეტანება რძესა და მის ნაწარმს, კალციუმის დეფიციტს კი მაინც არ განიცდიან, რადგან მათი ორგანიზმი მზის სხივების წყალობით, უკანასკნელ მილიგრამამდე ითვისებს კალციუმის იმ უმცირეს რაოდენობასაც კი, რომელსაც საკვების მეშვეობით იღებს.

D ვიტამინის საჭირო რაოდენობა მიიღება 15-20 წუთით მზის სხივებქვეშ ყოფნისას, სრულიად საკმარისია მხოლოდ სახეზე და ზედა კიდურებს ხვდებოდეს მზის სხივები.

კალციუმი განსაკუთრებით სჭირდებათ

უძრაობა კალციუმის სერიოზულ დანაკარგს იწვევს, ამიტომ კალციუმით მდიდარი პროდუქტები განსაკუთრებით სჭირდებათ ჰიპოდინამიურ – ნაკლებად მოძრავ



ადამიანებს, ე.წ. მჯდომარე პროფესიის წარმომადგენლებს და მათ, ვისაც გარკვეულ მიზეზთა გამო, გარკვეული დროით წოლითი რეჟიმი უწევთ.

სტრესი და ინფექციური დაავადებები საგრძნობლად აქვეითებს საკვებიდან კალციუმის ათვისების ხარისხს, ამიტომ დაძაბულ, რთულ პერიოდებში, მომატებული ნერვული აგზნებადობის მქონე პირებმა, დანაკლისის შესავსებად კალციუმის შემცველი გაცილებით მეტი პროდუქტი უნდა მიირთვან;

ოფლთან ერთად ორგანიზმიდან დიდი რაოდენობით გამოიყოფა კალციუმი, ამიტომ აქტიური ვარჯიშის შემდეგ, საუნაში, უბრალოდ სიცხეშიც კი მისი კომპენსირებაა საჭირო, ამიტომ სპორტსმენებმა და ორთქლის აბაზანების მოყვარულებმა ყოველდღიურად უნდა მიიღონ კალციუმის შემცველი მინერალური წყალი, ცივი რძე და კეფირი;

ბევრი დიეტა მენიუდან საერთოდ გამორიცხავს კალციუმის შემცველ რძესა და მის ნაწარმს, პარკოსნებს, დიდი ოდენობით კალორიების გამო, ამიტომ ხანგრძლივი დიეტა კალციუმის ძლიერი დეფიციტით გამოწვეული კიდურების კრუნჩხვებით და კბილების დაზიანებით რომ არ დასრულდეს, ისეთი დიეტები უნდა შეარჩიოთ, რომლებიც ზომიერი რაოდენობით კალციუმის შემცველ პროდუქტებს ითვალისწინებენ;

კალციუმის ათვისებას საგრძნობლად ართულებს ფოსფატები, რომლებსაც უხვად შეიცავს კოკა-კოლა, კაკაო და სხვა სახის გაზიანი სასმელები, ამიტომ ზაფხულში გამაგრილებელი სასმელებით გატაცებისას, ამ მნიშვნელოვან ფაქტორსაც ნუ დაივიწყებთ;

და ბოლოს, კალციუმი ადვილად ამარცხებს უძილობას, ამაში თავადაც დარწუნდებით, თუ უძილობით გაწამებულები ძილის წინ ჭიქა რძეს, პატარა ნაჭერ ყველს მიირთმებთ, დასაძინებელი პრეპარატის ნაცვლად კი, გირჩევთ, სულაც კალციუმის შემცველი ერთ აბი მიიღოთ.

კალციუმით მდიდარი პროდუქტებია:

100 მლ რძე – 150 მგ;
100 გრამი არაჟანი – 100 მგ;
100 მლ ვიტამინიზებული ფორთოხლის წვენი – 150 მგ;
100 გრამი ყველი – 700 მგ;
100 გრამი სოიოს ყველი ტოფუ – 230 მგ;
100 გრამი იოგურტი – 130 მგ;
100 გრამი კომბოსტო – 150 მგ;
100 გრამი ყვავილოვანი კომბოსტო – 30 მგ;
100 გრამი ნაყინი – 100 მგ;
100 გრამი თეთრი ლობიო – 95 მგ;
100 გრამი წითელი ლობიო – 35 მგ;
100 გრამი ნუში – 285 მგ;
100 გრამი მზესუმზირა – 100 მგ;
100 გრამი შავი პური – 323 მგ;
100 გრამი ორაგულის კონსერვი – 290-310 მგ;
100 გრამი ჰალვა – 91 მგ;
100 გრამი ზეთის ხილი – 88 მ.

D ვიტამინით მდიდარი პროდუქტებია:

100 გრამი ორაგული – 360 ერთ;
ერთი კვერცხის გული – 25 ერთ;
ერთი კოვზი თევზის ქონი – 1360 ერთ.

მოამზადა
ზვიად ღონღლაძემ.

მსოფლიო ჰრავსის მიხედვით

sociologiuri gamokiTxvebis safasuri samxreT kavkasiaSi

სხვადასხვა პოლიტიკა – სხვადასხვა გამოკვლევა: ამერიკელი მანიპულატორი საქართველოსა და სომხეთში.

ამ დღეებში საინფორმაციო სააგენტომ (**Ðåãí óì**) სწორედ ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ვიგენ აკოპიანის წერილი. ყოველთვის საინტერესოა ისეთი ოპუსის კომენტირება, როცა იგი ყურადღებასა და მრავალშრიან ანალიზს იმსახურებს. წერილის ავტორი კონკრეტული მაგალითებით აფასებს „რბილი ძალების“ ამერიკული ინსტიტუტების საქმიანობას საქართველოსა და სომხეთში და გამოაქვს მთავარი დასკვნა: „**NDI**-ის „სოციოლოგთა“ ძალისხმევის შედეგად, საქართველოში თურმე ისეთი ვითარებაა, რომ სააკაშვილის მოწინააღმდეგეებს ფეხქვეშ მიწა ეცლებათ, ხოლო სომხეთში ხელისუფლების სტრატეგიული მიზანი თავიდანვე აბსურდული და მიუღწეველია. ურთიერთობის რა ეტაპზე არიან ახლა ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს და სომხეთის ხელისუფლებასთან და რა ამოცანების გადაწყვეტას აპირებენ მომავალში, მკითხველმა თავადვე ივარაუდოს“. ამ ვარაუდებით მივდივართ დასკვნამდე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტისა (**NDI**) და **soft power**-ის სხვა ინსტრუმენტებით ყოველმხრივ მხარს უჭერს საკაშვილის ხელისუფლებას საქართველოში, ხოლო სომხეთში მორიგი ფერადი რევოლუციისთვის ნიადაგს ამზადებენ.

გაურკვეველია, რამ განაპირობა ასეთი სტრატეგია სომხეთის მიმართ, რომელიც ეგრეთ წოდებულ კომპლემენტარულ, ანუ ურთიერთშემავსებელ პოლიტიკას ატარებს და რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, მრავალმილიონიანი დიასპორის სახით, ძლიერი რესურსი გააჩნია. ეს ერთადერთი კითხვა როდია, რომელიც ამ ოპუსის კითხვის მერე გიჩნდება. ბევრად უფრო საინტერესო სხვა პრობლემაა: რამდენად რეპრეზენტულია საზოგადოების სოციოლოგიური გამოკითხვები, რომლებსაც ამერიკული ინსტიტუტები ატარებენ? ნუთუ მართლა არ სძულთ სინამდვილის დეფორმაცია, რომელსაც ვაშინგტონში,„ზბიგნევ ბჟეზინსკის ფერადი რევოლუციების ლაბორატორიაში“ დამუშავებული სქემებისთვის მიზანმიმართულად იყენებენ?

რასაკვირველია, შეიძლებოდა, გაგვეანალიზებინა ღრმააზროვანი და ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები იმის შესახებ, რატომ და რა მიზნით დააფიქსირა **NDI**-მ მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის რეიტინგის ვარდნა. ნუთუ სიმართლეა, თითქოს ზემოთ დასახელებულ „ლაბორატორიაში“ გადაწყვიტეს (შესაბამისი განკარგულების შემდეგ), რომ საქართველოში ფერადი რევოლუციების ყოვლისშემმუსვრელი მექანიზმი ჯერჯერობით არ აამუშაონ, ხოლო სომხეთში შესაძლებელი იქნება სხვა ვარიანტებიც?

ყველა ეს სქემა ირღვევა, თუკი დავუშვებთ (თუნდაც ყველაზე თამამი ჰიპოტეზის სახით), რომ გამოცდილმა და ავტორიტეტულმა ამერიკულმა ორგანიზაციამ, მთელს მსოფლიოში საკუთარი ავტორიტეტის დამცველმა, უბრალოდ დაფიქსირა ის, რაც სინამდვილეშია – რეიტინგი მართლაც დაეცა. მაგრამ რატომ? წერილის ავტორი და მისი ქართველი კოლეგები რთულ და „კონსპიროლოგიურ“ პასუხს იძლევიან – იმიტომ, რომ მიიღეს შეკვეთა „ხელისუფლების ოპონენტს „მოუჭირონ“. ამიტომაც, ასეთი გამოკითხვების ნდობა არ შეიძლება; ხოლო თუ ივანიშვილი არჩევნებს წააგებს, კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რა ვერაგი როლი აკისრია ამერიკულ ინსტიტუტებს სხვა ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვაც: საქართველოში ოპოზიციისთვის ყელში წაჭერა და პირიქით, მასზე ზემოქმედება სომხეთში ხელისუფლების შესაცვლელად, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მზად არიან, **NDI**-ის (და მისი პარტნიორების, მათ შორის **Gallup**) ავტორიტეტი შესწირონ მას, ოღონდაც წამიერ მიზანს მიაღწიონ იმ რეგიონში, რომელიც ამერიკის სტრატეგიული ინტერესების პერიფერიულ ტერიტორიაზეა?

უფრო სწორი იქნებოდა, გვემსჯელა, რამდენად მიესადაგება პოსტსაბჭოთა ტერიტორიას საზოგადოებრივი კვლევის ის მეთოდიკა, რომელიც შეიმუშავეს და აქტიურად იყენებენ დემოკრატიული ტრადიციების დასავლურ სახელმწიფოებში.

მივაქციოთ ყურადღება: **NDI**-ის მონაცემებით, პირველ ადგილზეა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მეორეზე – შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, მესამეზე – თბილისის მერი გიგი უგულავა, მეოთხეზე – პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ამ რეიტინგში ბიძინა ივანიშვილს მეათე ადგილი ერგო. ქართველი ოპოზიციონერებისთვისაც ეს რეიტინგი აშკარად შეუსაბამოა რეალობასთან.

პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე ხელისუფლების დემოკრატიული გზით შეცვლის გამოცდილება არ გააჩნიათ და ქართველი (სომეხი, რუსი, აზერბაიჯანელი) ამომრჩეველი ვერ აცნობიერებს, რომ ურნაში ჩაგდებული ბიულეტენით წყდება არა რომელიმე აბსტრაქტული პროექტის, არამედ მისი და მისი შვილების ბედი. ამიტომაც, პოსტსაბჭოელი ამომრჩეველი ხმას აძლევს ყველაზე მარტივი მოტივაციის გამო: მოსწონს ძლიერი, წარმატებული, აქტიური, საქმიანი და რაც მთავარია, ძალაუფლების ბერკეტების მქონე ადამიანი; ხალხი ხმას აძლევს და არ აცნობიერებს, რომ ხელისუფლება არ უნდა იყოს პერსონიფიცირებული. ხელისუფლებას ხმას იმიტომ აძლევენ, რომ ეშინიათ ცვლილებების, დესტაბილიზაციის, აშინებთ უცნობი სახეები...

სინამდვილეში, რეიტინგი ეცემა არა მხოლოდ იმიტომ, რომ **NDI** საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებს, არამედ იმიტომ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები ვერ აცნობიერებენ საკუთარი ძალის ფასს. მათ ეიმედებათ ხელისუფლების ან მისი ოპონენტის ძალა; ამიტომაც ოპოზიციას განსაკუთრებული შემართება მართებს.

ახლა კი მივადექით კიდევ ერთ მთავარ კითხვას – რამდენად რელევანტურია საზოგადოებრივი აზრისა და რეიტინგების კვლევა, როცა პოსტსაბჭოთა სოციუმს სხვა საზოგადოებებისთვის (ფასეულობებისა და დემოკრატიის გამოცდილების სხვა სისტემებით) განკუთვნილი მეთოდიკით იკვლევენ?

ძნელად აუხსნი ამერიკელ სოციოლოგს, რომ თუ ხელისუფლებას ხმას აძლევენ, არა იმიტომ, რომ ეშინიათ ან განსაკუთრებულად უყვართ ეს ხელისუფლება, პრეზიდენტი ან მინისტრი; მათ აშინებთ კარდინალური გარდაქმნები და არ სჯერათ, რომ დაქსასული ოპოზიცია, ძლიერი და მოქმედი ხელისუფლების ფონზე, მის ცხოვრებას გააუმჯობესებს და ქვეყნის საერთო მდგომარეობას შეცვლის.

vestnik kavkaza

putinis istoriis gakveTilebi

I'LL BE BACK

ვლადიმირ პუტინი, რომელმაც ორშაბათს თავისი მესამე საპრეზიდენტო ვადის ათვლა დაიწყო, არ გამორიცხავს, რომ 2018 წელს გადაირჩიონ; თუმცა, მისი მტკიცებით, ძალაუფლებას მაშინვე შეელევა, თუკი დაინახავს, რომ ხალხი მხარს აღარ უჭერს.

პუტინის მსგავსი მმართველები ძნელად თმობენ ძალაუფლებას – თუნდაც იმიტომ, რომ მემკვიდრეები არ აუმხედრნენ. თანამედროვე ისტორია სავსეა ასეთი მაგალითებით – გვირგვინდაკარგულ დიქტატორებს შეეძლოთ, ბუნებრივი სიკვდილით წასულიყვნენ ამ ქვეყნიდან ან მშვიდობიანად გადამდგარიყვნენ. ზოგიერთმა ეს მოახერხა.

წერილის ავტორი პუტინს სთავაზობს შესაძლო ვარიანტების სიას, რომელთა გამოყენებაც მას შეუძლია.

ვარიანტი 1. ქვეყანაში დემოკრატია დაამკვიდროთ. განის პრეზიდენტმა როლინგსმა მკვეთრად შეცვალა ქვეყნის განვითარება, იგი ორჯერ აირჩიეს ამ თანამდებობაზე და პენსიაზე 2001 წელს გავიდა.

ვარიანტი 2. უზრუნველყავით „გზა გასასვლელისკენ“. დანიელ ორტეგა, წასვლამდე ცოტა ხნით ადრე, ყველა პარტიას შეუთანხმდა, რომ თავს შეიკავებდნენ შურისძიებისგან. ეს 1990 წელს იყო. 2006 და 2011 წლებში იგი კვლავ დაბრუნდა ნიკარაგუის პრეზიდენტად.

ვარიანტი 3. იდექით მტკიცედ. პრეზიდენტი მუგაბე, როგორც ჩანს, სიცოცხლის ბოლომდე აპირებს ზიმბაბვეს მართვას; სავარაუდოდ, მას „თანამდებობიდან გასვლის“ სტრატეგია არ გააჩნია. მისი საიდუმლო ასეთია: ალმასების მოპოვებით მიღებული მოგება მას ეხმარება, შეინარჩუნოს მასთან დაახლოებულთა და უშიშროების ძალთა ლოიალურობა.

ვარიანტი 4. შექმენით დინასტია ან ერთპარტიული სახელმწიფო. ფიდელ კასტრომ დიქტატორული უფლებამოსილებანი ღვიძლ ძმას გადასცა. ერთპარტიულმა სისტემამ რამდენიმე ათეული წელი იარსება საბჭოთა კავშირშიც.

პუტინის ძლიერი თვისებების გათვალისწინებით, ხელისუფლებიდან მისი წასვლის დღე ძალზედ შორს არის. ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორ ბრიუს მესკიტის აზრით, პუტინს ძალაუფლების შესუსტების განსაკუთრებული სტიმული არ გააჩნია, ანუ გამოიყენოს პირველი ვარიანტი, რადგანაც ნავთობის მოპოვების შემოსავალი მეტისმეტად დიდია საიმისოდ, რომ საახლობლოს ვიწრო წრის მხარდაჭერა მოიპოვოს, ანუ გამოიყენოს მესამე ვარიანტი.

თეორიული წიაღსვლების ნაცვლად, გათამაშდება ძველი ვარიანტი – ადრე თუ გვიან, პუტინი რუსეთისთვის ჩვეულ მეთოდს გამოიყენებს – შეარჩევს მისთვის ლოიალურ ორ ადამიანს, რომლებიც მზად იქნებიან, პუტინს აარიდონ დევნა-შევიწროება და გათამაშებულ არჩევნებზე ერთ-ერთი გაიმარჯვებს.

თუმცა... გავიხსენოთ ჩილეს დიქტატორ აუგუსტო პინოჩეტის ბადი – მან სიცოცხლის ბოლო წლები სასამართლოში გაატარა... ასე რომ,„ხელისუფლების დატოვების“ კარგად მოფიქრებული გეგმაც იფუშება ხოლმე.

„ბევრს ვკითხულობ, განსაკუთრებით ისტორიულ წიგნებს,– განაცხადა პინოჩეტმა დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, – ისტორია გვასწავლის, რომ დიქტატორების ბოლო ყოველთვის სავალალოა“.

The Wall Street Journal

ინტერნეტმიმოხილვა
მოამზადა გ. ჭავჭავაძემ

თემურ ჭკუასელი



Tumca...

ხელისუფლება ურანივით გამდიდრდა, მაგრამ აფეთქებას თვითონ კი არა, რადიაქტიული სიცრუით დასხივებული ხალხი აპირებს.

რისი ან ვისი ბრალია ის, რაც ასე მეთოდურად და მზაკვრულად შემოგვინახეს და უკვე ძვალ-რბილში გაუჯდა ქვეყანას?!

საზოგადოების ყველა ფენას მოედო და ყოველ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაზე მახრჩობელა გველივით გვიჭერს სალტეებს და უფრო და უფრო გვიზღუდავს სიცოცხლის ნიშანსვეტს?!

მეტასტაზები ისე გულუხვად და მყარადაა ყველგან გამჯდარი, რომ, ეტყობა, ბეტონის სატრანსპორტო გზებსა და ქალაქის პროსპექტებს კი არა, სოფლის ორღობეებსა და საცალფეხო ბილიკებსაც სიამოვნებით იყენებს.

ყოველდღიურობას იმდენი შეშფოთება მოაქვს, რომ ყველაფრის აღნუსხვაც კი შეუძლებელი გახდა, არათუ ყოველ მათგანზე აუცილებელი რეაქცია, ქმედებები, რომლებიც უწინ ნერვებს გიძაბავდა და ხმამაღლა აპროტესტებდი, იმდენად გახშირდა, რომ შენდა უნებურად ეჩვევი უსამართლობას, შიშს, სიჩუმეს...

კიდევ ერთხელ ვიკითხოთ, რატომ ხდება ასე?! რისი ან ვისი ბრალია ეს?! ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებული ექსპერტებიც არ ზოგავენ თავებს და ცდილობენ, რაც შეიძლება ხმამაღალი პასუხი გასცენ ამ კითხვას. ერთმანეთს გამჭრიახობაში კი არა, უფრო ხშირად ორიგინალობაში ეჯიბრებიან და ცდილობენ, საკუთარი კლანივით ჭეშმარიტებაც გაამრავლონ.

არადა, ჭეშმარიტება, თითქოს მზეთუნახავივით, ერთადერთი და განუმეორებელი უნდა იყოს. აასე არაა?!

ჰოდა, რადგან ასეა, მეც გადავწყვიტე, მისი რაოდენობა მკვეთრად მაინც შევამცირო და გულწრფელად ვაღიარო, რომ ყველაფერი, რაც დღესდღეობით ჩვენს თავს ხდება და რა უბედურებაც გვჭირს, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრალია.

დავაზუსტოთ! ჩემი როგორც პიროვნების კი არა, ჩემი ფატალური უიღბლობის ბრალია.

და, ქვემოთ რასაც დავწერ, იმას თუ ყურადღებით წაიკითხავთ, დარწმუნებული ვარ, ჩემს გულწრფელ აღსარებას თქვენც დაეთანხმებით.

მაშ ასე, ვიწყებ!

ალბათობის თეორიის მიხედვით, ადამიანს ხან უნდა უმართლებდეს, ხან — არა; ხან მწვანე უნდა აენთოს, ხან — წითელი. დდა რაც უფრო ხანგძლივია დროის მონაკვეთი, მით უფრო მეტია მათი მონაცვლეობის თანაფარდობის ალბათობა.

ვისაც უფრო ხშირად უმართლებს, იმას იღბლიანს ვეძახით და ვისაც შედარებით იშვიათად, იმას — უიღბლოს. თუმცა ერთიც და მეორეც საბოლოოდ მაინც ავადსახსენებელი ალბათობის თეორიაში მშვენივრად თავსდება, ანუ იღბლიანიც იქაა და უიღბლოც.

აი, მე კი... ხომ ამბობენ ხოლმე, ყველა წესსა თუ კანონს აქვს გამონაკლისი და ეს გამონაკლისი წესს ამტკიცებსო...

როგორც ჩანს, ალბათობის თეორიისთვის ასეთი გამონაკლისი მე ვარ, ანუ ჩემი ტოტალური უიღბლობა ყოფით დონეზე ალბათობის თეორიის იღბლიანობას ამტკიცებს.

ჩემმა იღბლიანობამ კი უკვე დიდი ხანია, იმ ზღვარს გადააბიჯა, რომლის იქითაც გულდაწყვეტის ნაცვლად ხალისი იწყება. მეც და ჩემი მეგობრებიც ყოველი მორიგი არგამართლების შემდეგ, მაგრად ვხალისობთ ხოლმე. ჩემს უიღბლობაზე უკვე ლეგენდები დადის, რაღას აღარ ჰყვებიან ხოლმე, ზოგს ტყუილსა და ზოგს მართალს, ზოგს აღარიბებენ, ზოგსაც პირიქით, ამდიდრებენ, ფანტაზიის მიხედვით.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ელემენტარული სურვილის გამჟღავნება თუ დავაპირე, ისეთის, სხვებსაც რომ ხელს აძლევთ, მაშინვე პირზე ხელს ამაფარებენ, ოღონდ შენ არ თქვა, თორემ ყველაფერი წყალში ჩაგვეყრებაო.

თავი დავანებოთ ახლა, ალბათობის კი არა, საერთოდ ნებისმიერ თეორიას და პრაქტიკული მაგალითებით გავიხალისოთ ურთიერთობა. ასეთი გეგმა მაქვს, ჯერ ჩემი უიღბლობის ტომეულებიდან რამდენიმე ეპიზოდს შემოგთავაზებთ და მერე იმის ახსნას შევეცდები, რატომ ვიბრალებ მე იმას, რაც დღეს ჩვენს გალეწილ და დალეწილ კალოზე ხდება.

აქა რამდენიმე ეპიზოდი უიღბლო კაცის ცხოვრებიდან...

ეპიზოდი პირველი — წამო, წავიხემსოთ...

მორიგ საგასტროლო ტურნეში მივემგზავრებოდით, მგონი ლონდონში და მოსკოვში ერთი ღამის გათევა გვიწევდა. ეს ის დროა, როცა საბჭოთა კავშირს მაჯა ჯერ კიდევ ესინჯებოდა, მაგრამ სახეზე მკვდრისფერი ედო. მოსკოვში ნაშუადღევს ჩავფრინდით. სასტუმრო „სევასტოპოლი“ წინასწარ გვქონდა დაჯავშნილი და მალე ნომრებშიც გავნაწილდით. ცოტა ხანში დათო აბესაძემ მომაკითხა, არ გშია, წამო, წავიხემსოთო... მეც მშიოდა და წაყოლასაც ვაპირებდი, თუმცა ნახევრად ხუმრობით მაინც ვუთხარი, წამოგყვებოდი, მაგრამ ჯობდა, უჩემოდ გეცადა, ჩემთან ერთად, დიდი შანსია, მშივრები დავრჩეთ-მეთქი. ვთქვი ეს და წამოვდექი, დათომ კი სასტუმროს ბუკლეტი დამანახვა და მეუბნება, მოდი აქ და ჩახედე ამას, სასტუმრო, ძმაო, სამი კორპუსისგან შედგება. აგერ, ა, პირველი, მეორე და მესამე... სამივე კორპუსში ერთად არის 4 რესტორანი, 6 კაფე და 19 ბუფეტი, შევკრიბოთ... რა გამოგვდის?! კვების 29 ობიექტი და შენ მიმტკიცებ, რომ საჭმელს ვერ შევჭამთ?! წამოდი, წამოდი... მე განახვებ, შევჭამთ თუ ვერ შევჭამთ. რაღაცა კი გამომატანეს სახლიდან, მაგრამ აღარ მინდა ეს ხაჭაპური და მოხარშული დედალი, რაღაც აქაური, რუსული მომენატრაო...

მადრიდშიც რომ მიმტკიცებდი, დედამიწის ზურგზე თუ ვინმე რამეს ამზადებს, ამ მაღაზიაში ყველაფერი იყიდებაო, ის თუ გახსოვს, შევუბრუნე სიტყვა, მახსოვსო, დამეთანხმა. მერე?! ჩემი საათის ელემენტი ჰქონდათ?! არ ჰქონდათ, მაგრამ... ისიც კარგად მახსოვს, გამყიდველს რა დაემართა, ყვიროდა, არა, ეს წარმოუდგენელიაო... გახსოვს, რამდენი ეძება და რა სახე ჰქონდა?! ჰოდა, აგერ ნახავ, ცოტა ხნის შემდეგ შენც თუ ისეთი სახე არ გექნებამეთქი... იხტიბარი არ გავიტეხე, თორემ, თქვენ გგონიათ, მართლა მჯეროდა იმის, რასაც ვამბობდი?! არა, რა თქმა უნდა.

დავიძარით, მოკლედ, მე და დათო.

პირველად, ბუნებრივია, ჩვენივე კორპუსის რესტორანს ჩავაკითხეთ მეორე სართულზე. „სანიტარნი დენ“ — პირველივე რესტორანი ამ წარწერით შემოგვეგება. გავიღიმეთ და მეზობელ კორპუსში გადავინაცვლეთ. ვერც მეორე რესტორანში შევედით, ადგილობრივ ორკესტრს რეპეტიცია ჰქონდა გაგანია ლანჩის დროს. მესამე კორპუსში ორი რესტორანი იყო, ერთი ჩვეულებრივი და მეორე — თევზეულის. ჩვენ ორივეზე თანახმა ვიყავით, მაგრამ ჩვეულებრიში ისევ არ შეგვიშვეს — ქორწილი გვაქვს შეკვეთილი და ვერ მოგემსახურებითო. თევზის რესტორანში, შესვლით კი შევედით, მაგრამ

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ეს ამბავი ბოლოს ასეთ ფინალურ ეპიზოდს ჰქონდა: — ბატონო, ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლოა...

დით და ასევე კარგა ხანს ხმასაც ვერ ვიღებდით. მერე მე ტრადიციულად მწარედ გამეცინა, იმან კი პირჯვარი გადაიწერა და ღობეს გადმოახტა.

თუმცა...

ეპიზოდი მესამე – ბზიკის გეოგრაფია

კახეთში ვარ სტუმრად. ფერიცვალება ახალი ჩავლილია, აგრილდა და ხილსაც გემო შეეცვალა. სახლის უკან ეზოში, მსხლის ხის ქვეშ გვიდგას პატარა მაგიდა მე და ჩემს კახელ მეგობარს. ათას რამეზე საუბრით ვირთობთ თავს და შიგადაშიგ პატარა ჭიქებსაც ვეთამაშებით.

პროფესიით ინჟინერია ჩემი კახელი ძმაკაცი, მაგრამ იმ ყაიდის ხალხიდანაა, ყველაფერი რომ იციან ამქვეყნად და ყველაფერზე რომ აქვთ პასუხი. ახლა ამას კახური სიჯიუტეც დაამატეთ... აზრს ვერაფრით შეაცვლევინებ. სხვა მხრივ, იცოცხლე – გატანა, ერთგულება, სტუმრის სიყვარული, იუმორი... ყველაფერი თავის ადგილზეა. მსხალზე ვკითხე და გულაბიაო, მიპასუხა. გულაბი მანამდეც ბევრი გამესინჯა, მაგრამ ეს იმდენად განსხვავებული იყო, ცოტა არ იყოს, ეჭვი შემეპარა მის ნათქვამში. გარეგნულადაც არ ჰგავდა გულაბს. იცით, როგორი ფორმა ჰქონდა? თაფლის კასრში ახლადამოვლებულ ხის კოვზს ბარაქიანი წვეთი თავკომბალასავით რომ ჩამოეკიდება, მსხვილ თავს რომ წაიგრძელებს და ბოლოსკენ თანდათან წვრილდება, აი, ზუსტად ასეთი ფორმისა იყო ის მსხალი. სხვათა შორის, გემოც თაფლისა ჰქონდა. პირში თავს მოიხელთებდა თუ არა, დაუღეჭავად დნებოდა.

– არა, ძმაო, არაა ეს გულაბი, მხოლოდ გულაბი. ამ მსხლისთვის ეს ერთი სახელი ნაღდად არაა საკმარისი, კიდევ უნდა ერქვას რამე. ვთქვათ, გულაბიც ერქვას და ღვიძლაბიც...

– ღვიძლაბი არა, კუჭლაბი... გეუბნები, გულაბია-მეთქი. პაპაჩემიც ეგრე ეძახდა. შენ კი... განა არ ვიცი, ნამდვილი ურწმუნო თომა ხარ. აქეთ რომ მოვდიოდით და ჩინეთი უკრაინას ესაზღვრება-მეთქი რომ გითხარი, კინაღამ მანქანიდან გადამიხტი...

– ახლა მე მომისმინე: ეს მსხალი იქნებ მართლაც გულაბია, მაგრამ რაც შეეხება ჩინეთსა და უკრაინას... უუხ! ერთი შენი გეოგრაფიის მასწავლებელი შემახვედრა სადმე და მერე მე ვიცოდე და იმან. რა უნდა, ბიჭო, ჩინეთს უკრაინასთან-მეთქი. ადრე მეც მასე მეგონაო, ჩემმა ძმაკაცმა, მაგრამ ამასწინეებზე „ვის უნდა ოცი ათასი“ იყო ტელევიზორში, ზუსტად ეგ იკითხეს და მე რაღას მერჩიო... ჩამოთვლილი იყო ამ ოთხი ქვეყნიდან რომელი ესაზღვრება ჩინეთსო...

– მერე?

– მერე ისა, რომა უკრაინაო, გაიგე?!

– მე კი გავიგე, მაგრამ ეტყობა შენ ვერ გაიგე კითხვა წესიერად. პირიქით იქნებოდა, უკულმა! რომელი ესაზღვრებაო კი არა, რომელი არ ესაზღრებაო, ამას იკითხავდნენ. უკულმა, ასინეთა, უკულმა! თანაც ნასვამიც იქნებოდი. იცი, რას გეტყვი? მოდი, არც შენი და არც ჩემი... – ხუმრობის ხასიათზე დავდექი მოულოდნელად: აგერ, ამ ბზიკს ხომ ხედავ...

– ვხედავ, მაშ!

– ჰოდა, ჩვენ შორის ვინ მართალია და ვინ მტყუანი, მოდი, ამ ბზიკმა გაარკვიოს-მეთქი.

– ეგ როგორო, – მეკითხება მასპინძელი.

– როგორ და, ჩვენ შორის მტყუანს ამ ბზიკმა უკბინოს-მეთქი.

სიტყვა დამთავრებული არ მქონდა და როგორ ფიქრობთ, რა მოხდებოდა?? რა და ზედ ცხვირზე დამაფრინდა ბზიკი და გულიანად დამნესტრა. მე ტკივილისგან წამოვხტი და გულაბის გარშემო სირბილი დავიწყე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გახურებული შამფურის წვერი მომაჭირეს ცხვირზე. ჩემი კეთილი მასპინძელი ლამის სიცილისგან დაიხრჩო. იმ დღიდან მოყოლებული, ერთი კვირა, საკუთარი ცხვირის იქით ვერაფერს ვხედავდი.

თუმცა...

ეპიზოდი მეოთხე – ღამის თევა ლიფტში

და ისევ ზაფხული... ქობულეთი. „ქართული ხმები“ სასტუმრო „ინტურისტის“ ზედა სართულებზე ვცხოვრობთ. ეს ის პერიოდია, შუქი რომ სიხარულობანას გვეთამაშება. მოვა, ცოტა ხნით გაგვახალისებს, მერე გვეტყვის, გეყოფათო და კარგა ხნით მიგვატოვებს. მერე ისევ მოულოდნელად აგვაჟრიამულებს და ასე გრძელდება. მიდის – მოდის, მიდის – მოდის... წავა, ატყდება ლიფტში ლოკალური წივილ-კივილი, მოვა და მთელ სასტუმროს სიხარულის ყიჟინა მოსწყდება-ხოლმე. მოკლედ, აშკარად გახალისდა ცხოვრება. მელიფტე მუდმივად მორიგეობს, დღისითაც და ღამითაც – ლიფტში გაჭედილი ხალხი გამოჰყავს გარეთ. ცხოვრება კი გახალისდა, მაგრამ ჩემს თავს რომ რაღაც უცნაური ხდება, ამასაც ვატყობ. ლიფტში არა და არ ვიჭედები. როგორია?! ჩემი იღბლის პატრონი, მგონი, მთელ სასტუმროში მხოლოდ მე დავრჩი ლიფტში გაუჭედავი. დილით, საუზმეზე გამოვჩნდები თუ არა, ბიჭები მაშინვე მეცემიან ხოლმე: ჰა, გაიჭედე?! კიდევ არა?! სასწაულია, სიტყვა აღარ დაგცდეს უიღბლობაზე, ჩვენ, სულ ცოტა, სამ-სამჯერ გავიჭედეთ უკვე და შენ ამბობ, ბედი არ მაქვსო?!

ვატყობ, რაღაცა ხდება ჩემს თავს და ნერვიულობისგან უძილობა დამეწყო. თქვენ წარმოიდგინეთ, ლიფტით მგზავრობასაც მოვუხშირე, მჭირდება თუ არა, მაინც შევდივარ, ეგებ, გავიჭედო და ამოვისუნთქო-მეთქი, მაგრამ... გაგიგონია?! ამასობაში ქობულეთში ჩვენი ყოფნის ვადაც მიილია, ბოლო საღამოს ბათუმიდან დავბრუნდი, ღამის 3 საათია. სასტუმროს ფოიეში ერთადერთი კაცი დგას და ლიფტს ელოდება. ლიფტი რომ დაიძრა, ვატყობ, ჩემი თანამგზავრი აშკარად ნერვიულობს, გაჭედვის ეშინია-მეთქი, გავიფიქრე. ეს ფიქრი დამთავრებული არ მქონდა, სინათლეც ჩაქრა. გაქვავდა ლიფტი. მოულოდნელად, უკუნ სიბნელეში, ჩემმა თანამგზავრმა ხმამაღლა გინება დაიწყო. მკვდარსა და ცოცხალს აგინებს ვიღაცას და როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ის ვიღაც ქობულეთის ელქსელების უფროსი ყოფილა. დაწყნარდი-მეთქი, მისი დამშვიდება ვცადე, ქვემოთ ლიფტიორი მორიგეობს და ცოტა ხანში გაგვიყვანს აქედან-მეთქი. პასუხად ჯერ ისევ იმ ვიღაცას შეაგინა, ცოტათი ხმადაბლა და მერე ჩემ გასაგონად თქვა: ქვემოთ რომ ლიფტიორი მორიგეობს, ის ლიფტიორი მე ვარო...

გაოგნებისაგან ხმა ჩამიწყდა. ის კი აგრძელებს – სინათლე თუ მოვიდა, ხომ კარგი, თუ არადა, დილამდე მოგვიწევს აქ ყოფნა, დილით ჩემი „სმენშიკი“ მოვაო.

მაგარი პერსპექტივა მესახებოდა, თუმცა...

ეპიზოდი მეხუთე – ჩოხა და „მზეთუნახავი“

როცა „ქართულ ხმებს“ გასტროლები გაუხშირდა და წელიწადში ორ-სამჯერ უწევდა უცხოეთში გამგზავრება, წინდახედულობის გამო, ჩოხა-ახალუხს ჩემოდანში არასოდეს ვდებდი. ყოველთვის თვითმფრინავის სალონში ამქონდა. რამდენჯერმე მითხრეს ბიჭებმა, რას დაათრევ ამ ჩოხას წინ და უკან, თავს რატომ იწუხებ, ჩადე ჩემოდანში და ჩაბარეო... დაწყნარდით, ჩემი საქმისა მე ვიცი-მეთქი. ჩავდებ, ჩავაბარებ და ჩემი იღბლის გადამკიდე დაიკარგება-მეთქი.

კარგი ერთიო, მითხრეს, ამდენი წელია, ნახევარჯერ ჰაერში ვართ, ერთი შემთხვევა მაინც გაიხსენე, რომ ვინმეს ჩემოდანი დაკარგულიყოს. სხვათა შორის, არც შენიო... საქმეც ეგაა, ჩოხა რომ სალონში ამაქვს, ჩემოდანიც იმიტომ არ იკარგება-მეთქი, იხტიბარს არ ვიტეხ. მოკლედ, ბოლოს მაინც შემაბეს ეჟვანი, მოდი, ერთხელ ვცადოთ, თუ მართლა რამე მოხდა, ხმას აღარასოდეს ამოვიღებთო...

მორიგი გამგზავრების წინ საგანგებოდ ისეთი ჩემოდანი ვიყიდე, ისეთი ფერის, რომ კილომეტრიდან ვცნობდი – მეწამული ფერის იყო და ნამდვილი თეთრი ყვავივით მოჩანდა სხვა ჩემოდნებს შორის. ბიჭებმა მაგრად იმხიარულეს მის დანახვაზე, მაგრამ მშვიდად ავუხსენი, ჯერ ერთი, ბარგის მიღების დროს შორიდანვე შევამჩნევ, მეორეც, წესით, ამ ფერის ჩემოდნის ყიდვის სურვილი არავის უნდა გაუჩნდეს და ვინმეს რომ აერიოს და თავისი ეგონოს, გამორიცხულია. გაიგეთ ახლა-მეთქი?!

გაგებით კი გაიგეს, მაგრამ მაგათ ოღონდ საღადაო და სამასხრო მიეცი და... ადგნენ და ჩემს ჩემოდანს „მზეთუნახავი“ დაარქვეს. მომენტს არ უშვებდნენ, რომ არ ეხსენებინათ – „მზეთუნახავი“ სადაა, „მზეთუნახავი“ არ დაგვრჩეს, „მზეთუნახავი“ ჩააბარე...

ჩავაბარე, მოკლედ, ჩოხიანი „მზეთუნახავი“ თბილისში და გავფრინდით პარიზში. გზაში ბიჭებს ვეუბნები, აგერ მე და აგერ თქვენ, აბა, ვნახოთ, თუ ჩამოვა ჩემი „მზეთუნახავი“ პარიზში-მეთქი. იმდენი ვიხუმრეთ ამ თემაზე, იმდენჯერ ვიმსჯელეთ, ვისგან შეიძლებოდა გვენათხოვრა საფრანგეთში ჩოხა, ვინიცობაა მართლა დაკარგულიყო ჩვენი „მზეთუნახავი“, რომ ბოლო და ბოლოს, როცა ჩავაღწიეთ შარლ დე-გოლის აეროპორტში და ბარგს ველოდებოდით, ყველანი ერთგვარად დაძაბულები შევცქეროდით, გამოჩნდებოდა თუ არა ჩემი ჩემოდანი.



გამოჩნდა! მართლაც მზეთუნახავივით თავმომწონედ ანათებდა სხვა უღიმღამო ჩემოდნებს შორის. ბიჭებმა ტაში დასცხეს და სულ მალე ჟოზეფა მარტელისაც გადავეხვეთ, ჩვენს იმპრესარიოს. აეროპორტიდან პირდაპირ რკინიგზის სადგურში წავედით მასთან ერთად. ქალაქ ვიშიში მივემგზავრებოდით, ამ ქალაქიდან ვიწყებდით გასტროლებს. ვიში თავისი წყლებით არის ცნობილი, ასე ვთქვათ, საფრანგეთის ბორჯომია. ოპერის საუცხოო შენობითაც ცნობილია. ჩასვლიდან მეორე დღეს, ზუსტად იმ ოპერის თეატრში გვაქვს კონცერტი. ვიშიში რომ ჩავედით, საღამო იყო. ნომერში შევედი თუ არა, მაშინვე ჩემოდანი დავაგდე საწოლზე, ჩვენი დაუწერელი კანონის მიხედვით, პირველი, რასაც ვაკეთებთ, ჩოხას ვიღებთ ჩემოდნიდან, საკიდზე ვკიდებთ და ვნამავთ, კარგად რომ გასწორდეს. ჰოდა, მეც ზუსტად ამ მიზნით გავხსენი ჩემი „მზეთუნახავი“ და... პირველი, რაც იქიდან ამომყვა, მართლაც რომ მზეთუნახავის საფერი ვარდისფერი ატლასის ლიფი იყო. მიჭირავს ხელში და გაშტერებული ვუყურებ. მეორე ხელი ინსტინქტურად მკერდზე მოვისვი, სხვაგანაც ვაპირებდი, მაგრამ კიდევ კარგი, დროზე გამოვერკვეე. მორჩა, დავიღუპეთ-მეთქი, ჩავილაპარაკე. მერე, იმედის რაღაც ნაგლეჯით, მაინც ჩავხედე ჩემოდანს, იქნებ ვიღაც მეხუმრა-მეთქი, მაგრამ არ იყო სახუმაროდ საქმე, აშკარად ვიღაც ქალბატონის ჩემოდანი მედო საწოლზე. პარიზიდან, ანუ ჩემი ჩემოდნის სავარაუდო სამყოფელიდან, ღმერთმა უწყის, რამდენ ასეულ კილომეტრში. რა გინდა, რომ ქნა?! კონცერტი ხვალ გვაქვს... მე შენ გეტყვი, იპოვი ამის პატრონს და მოასწრებ გაცვლას... ავტეხე წიოკობა, შევყარე ყველა, აჰა, ძმაო, არც ახლა დაიჯერებთ-მეთქი!? რომ დაიჩემეთ, ჩააბარე, ჩააბარეო, მიდით და მიშოვეთ ახლა ჩოხა...

ბიჭებს ამ სიტუაციაშიც აღმოაჩნდათ იუმორის ხალისი, ნეტა, იმ ქალის სახე დაგვანახვა, ჩემოდანს რომ გახსნიდა და ჩოხას ამოიღებდაო...

მოკლედ, კი ვხუმრობდით, მაგრამ აშკარად ცუდ დღეში ვიყავით ყველანი.

თუმცაა...

ეპიზოდი მეექვსე – ბულგარეთში რა გინდოდა...

ახლა ვეღარ ვიხსენებ, რა გვინდოდა ბულგარეთში, გასტროლები რომ არ იყო, ეს ნაღდად მახსოვს, რადგან „ქართული ხმებიდან“ ჩემ გარდა მხოლოდ გია ჭირაქაძე, გოგი დოლიძე და ზურაბ ლოლაძე იყვნენ, სხვები არა.

ასეა თუ ისეა, იქ ყოფნის ძირითადი დრო, მახსოვს, სახელგანთქმულ „ოქროს ქვიშის“ სანაპიროზე უნდა გაგვეტარებინა, თუმცა ორ ღამეს დედაქალაქშიც ვათევდით. სწორედ სოფიაში გაგვატანა ერთმა აქაურმა მეგობარმა იქაურ მეგობართან ქართული სუვენირები – რომ ჩახვალთ, დაურეკეთ, იმას ჩემი ყურადღება გაუხარდება, თქვენ კიდევ, კარგი მასპინძელი გეყოლებათო, გვთხოვა მე, გოგი დოლიძესა და ზურაბ

22 gv.

21 gv.

ლოლაძეს. სოფიაში სასტუმროში დავბინავდით თუ არა, სამივემ ერთ ნომერში მოვიყარეთყ თავი და იმ კაცთან დარეკვა დავაპირეთ. მეუბნებიან ბიჭები, მიდი, შენ დაურეკე, შენ უფრო დალაგებულად აუხსნი, უთხარი, რაც ხდება და ბარემ სასტუმროში მოგვაკითხოსო.

მე კი სრულიად სერიოზულად ვპასუხობ, დამიჯერეთ, მე ნუ დამარეკვინებთ, გული მიგრძნობს, რაღაც უცნაური მოხდება, როგორც ყოველთვის – ან სხვაგან მოვხვდები, ან მისი ტელეფონი არ იმუშავებს, ან ყურმილს არავინ აიღებს, ან ის კაცი სადღაც იქნება წასული. თუ გინდათ, რომ ყველაფერი ნორმალურად იყოს, თქვენგან ერთ-ერთმა დარეკოს-მეთქი.

გოგის ეცინება და მეხვეწება, მიდი, მიდი, შენ დარეკე, „პროსტო“, საინტერესოა, მართლა მოხდება რამე თუ არაო... თუ მართლა მოხდა რამე, მეორედ დარეკვას ხელს რა უშლისო.

ვიღებ ყურმილს, გოგი კი ნომერს მკარნახობს...

ბიჭოს! კაცის ხმაა... მგონი, გაგვიმართლა-მეთქი, სწრაფად ჩავულაპარაკე ბიჭებს ყურმილის გარეთ... იმ კაცს კი, რაც შეიძლება სერიოზული ხმით ვეკითხები: ესა და ეს ბრძანდებით-მეთქი?

არაო, მიპასუხა. მე მისი სიძე ვარ და იქნებ მითხრათ ვინ კითხულობსო...

თქვენ მე არ მიცნობთ-მეთქი და... ყველაფერი დეტალურად ავუხსენი. არც იმის თქმა დამვიწყებია, რომელ სასტუმროში ვიყავით...

გულისყურით მომისმინა სიძემ და მერე ისეთი რამ მითხრა, ყურმილი გამივარდა ხელიდან... ბიჭები კი ცნობისმოყვარე სახეებით შემომცქერიან...

მოკვდა!

ვინ მოკვდა... როგორ... აბა, ვის ელაპარაკე...

ვის და... სიძე იყო. ის კაცი კი ნახევარი საათის წინ მომკვდარა... ხომ გითხარით, მე ნუ დამარეკინებ-მეთქი, მოვკალი კაცი...

ცოტა ხანი შევყურებდით ერთმანეთს და მერე, ღმერთო გვაპატიე, ლამის ისტერიკაში ჩავცვივდით, იმდენი ვიცინეთ. კარგად მესმის და გეთანხმებით, ვერ იყო მთლად ზნეობრივი საქციელი, მაგრამ ასე იყო და ტყუილს ხომ ვერ გაკადრებთ...

თუმცა...

ეპიზოდი მეშვიდე – მუსიკამ დაყვინთა

ეს ამბავი იმ დროს ხდება, როცა ყველაფერის შოვნა იყო საჭირო, სიტყვა „ვიყიდე“ რომ საერთოდ გაქრა ლექსიკონიდან და იგი „ვიშოვემ“ ჩაანაცვლა. როგორც ჩანს, ხელისუფლება ირიბად ზრუნავდა ჩვენს გაბედნიერებაზე, თუ რამეს კარგს იშოვიდი, ბედნიერიც იყავი, თავმომწონეც და ამაყიც.

თქვენ წარმოიდგინეთ, მუსიკა რომ მუსიკაა, ისიც დეფიციტი იყო. კარგი მუსიკაც უნდა გეშოვა.

ნოდარ პალადაშვილი გვყავდა მაშინ ტელევიზიაში, მელომანი და მარიფათიანი ბიჭი, აცხონოს ღმერთმა. დედით ქართველი, მამით ებრაელი. თუ თავად ჰკითხავდი – სადაური ხარო, ღიმილით გიპასუხებდა, არ ვიციო, რადგან ებრაელები ქართველად მთვლიან და ქართველები – ებრაელადო.

ამ ნოდარ პალადაშვილს სიძე ჰყავდა ამერიკელი, დის ქმარი. მომენტს არ გაუშვებდა ხელიდან, არ წაეტრაბახა, ჩემი სიძე ამერიკის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრების ექიმიაო. სწორედ ეს ექიმი სიძე უგზავნიდა ნოდარს რჩეულ ალბომებს რჩეული მუსიკით. ასე რომ, კარგი მუსიკის შოვნა თუ გინდოდა, აქვე ახლოს, სოლოლაკში, ანუ ნოდარ პალადაშვილთან უნდა გეძებნა.

ბევრი ვიჩალიჩე თუ ცოტა, მეც მოვიპოვე ჩვენი სოლოლაკელი მელომანის კეთილგანწყობა და ერთ მშვენიერ დღეს უბედნიერესი კაცი გავხდი, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ახალთახალი, მაქსველის ფირმის შესანიშნავი მუსიკით გაძეგილი 12 აუდიოკასეტა ჩავიგდე ხელში.

ერთ დღეს ტელევიზიას მორიგი მაღალი რანგის სტუმარი ეწვია, თანაც ქალბატონი.

გოგი დოლიძე, გია ჭირაქაძე, ზურაბ ლოლაძე და მე, მართალია მაშინ ტელეჟურნალისტები გახლდით, მაგრამ ძალიან ხშირად მასპინძლებადაც „ვმუშაობდით“ ხოლმე, განსაკუთებით შაბათ-კვირას.

ახლაც გადაწყდა, რომ სტუმარ ქალბატონთან ერთად შაბათი და კვირაც თბილისის ზღვაზე იახტაზე გაგვეტარებინა ქართველ იახტსმენთა მაშინდელ ლიდერ, ბატონ ილიკო ფერაძესთან ერთად.

სწორედ ილიკომ მითხრა, შენი კასეტების წამოღება არ დაგავიწყდესო. თორმეტივე წამოიღე, ვნახოთ, რომელი მოეწონება სტუმარსო...

საღამოს, ქალაქში რომ ვბრუნდებოდით, ჩემი კასეტები მოვაგროვე და მომაქვს. მეუბნება ილიკო, ხვალაც აქ ამოვდივართ და ეგ კასეტები ბარემ დაგეტოვებინა იახტაზეო...

დავტოვებდი, ილიკო, მაგრამ რა ვიცი, რამე არ მოხდეს, ჩემი ბედის ამბავი ხომ იცი, ამ კასეტების თავმოყრას კი ექვსი თვე მოვუნდი-მეთქი.

– ბიჭო, ამ იახტას 16 კაცი ყარაულობს ღამე, ასე რომ, ეგ შენი კასეტები აქ უფრო უხიფათოდ იქნება, ვიდრე დიდუბეში მე-8 სართულზე, – გაოცდა ილიკო.

რაღა მექნა?! კარგი, კარგი-მეთქი, ჩავიბურდღუნე და კასეტებიანი პარკი გადავაწოდე, აჰა და კარგად ჩაკეტე-მეთქი.

იმ ღამეს იახტა ჩაიძირა!

დილით ზღვაზე რომ ავედით, ბუხტაში მხოლოდ ჩვენი იახტის ანძის წვერი და მის გარშემო ობლად მოტივტივე ჩემი თორმეტივე კასეტა მოჩანდა.

ცოტა ხანს გაოგნებულები შევცქეროდით ამ სურათს და მერე ილიკომ მშვიდად თქვა: დაყვინთა შენმა მუსიკამო...

ეს, ალბათ, ბოლო წვეთი იყო, სიტუაციის აბსურდულობამ სიცილის ხასიათზე დაგვაყენა და ყველანი, ვინც მაშინ ნაპირზე ვიდექით, დიდხანს და გულიანად ვიცინოდით.

თუმცა...

ეპიზოდი მერვე, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა

და, რომელიც აგვიხსნის თუ რატომაა საქართველო დღემდე ჩემსავით უიღბლო და რატომაა ყველაფერი ჩემი ბრალი.

2003 წელს, გაზეთ „კვირის პალიტრის“ ოქტომბრის ერთ-ერთ ნომერში გამოვაქვეყნე სტატია, სადაც სხვადასხვა ხასიათის გულისტკივილთან ერთად იმასაც ვუზიარებდი მკითხველს, თუ როგორი პრეზიდენტი მსურდა ჩემი ქვეყნისთვის. თავიდან ბოლომდე წმინდა წყლის სურვილები იყო ეს და კიდევ, ძალზედ მორიდებული რჩევა მომავალი ლიდერისთვის.

(კიდევ ერთხელ მივაქცევ თქვენს ყურადღებას სტატიის გამოქვეყნების თარიღს, 2003 წლის ოქტომბერი, ანუ დაახლოებით ერთ თვეში საქართველოში ვარდი გაიფურჩქნება).

ქვეყნის ლიდერი იმ ასაკის უნდა იყოს, როცა მოაზროვნე ადამიანს არაერთხელ აქვს გადასინჯული და აწონ-დაწონილი განვლილი ცხოვრება – ვწერდი ამ სტატიაში.

– უნდა ჰქონდეს გამოცდილება, აზარტი, ენერგია, შიშის ძლევის უნარი, სიდინჯე და აუჩქარებლობა, თავმდაბლობა, ოპონენტების პატივისცემა, გაწონასწორებული ოპტიმიზმი, სიმართლე, სამართლიანობა, გლობალური აზროვნება, ანალიზის უნარი, დუმილის ხელოვნება, ადამიანთა შერჩევის უნარი, დიპლომატიის თანდაყოლილი ნიჭი, შესახედაობა, ღირსება, თავგანწირვა.

სტატიაში კიდევ ბევრი რამ იყო ჩამოთვლილი, მაგრამ ჩვენ აქ დავამთავროთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ პრეზიდენტის ორი უმთავრესი აუცილებელი თვისება გამოვტოვე მაშინ შეგნებულად, ვერც ჩემს თავს ვაკადრე და ვერც სავარაუდო პრეზიდენტს იმის თქმა, რომ სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარულიც აუცილებელი რამაა...

აი, ეს აღარ მითქვამს ხმამაღლა, მხოლოდ ვიგულისხმე და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი უიღბლობა იმდენად მგრძნობიარე აღმოჩნდა, რომ ყველაფერთან ერთად ესეც გაითვალისწინა და სულ რაღაც ერთ თვეში მოიყვანა მიხეილ სააკაშვილი.

გაიგეთ ახლა რატომაა ყველაფერი ჩემი ბრალი?! მე რომ ეს სტატია არ დამეწერა, ანდა ყველაფერი პირიქით მეთქვა, ხომ ვიცხოვრებდით ახლა სამოთხეში.

ეპიზოდი მეცხრე – თუმცა!

ახლა ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ. ჩემი ტოტალური უიღბლობის მიუხედავად, მაშინ როცა ყველაფერი დამთავრებული და გადაწურული რომ მგონია, მოულოდნელად კორიდაზე გამოვარდნილი ხარივით მოვარდება ხოლმე ხსნა და იხსნება კვანძი.

გიკვირთ ხომ?! მეც ძალიან მიკვირს, მაგრამ ასეა და რა ვქნა.

გახსოვთ, ყოველი ეპიზოდის ბოლოს ერთი სიტყვა – „თუმცა...“ რომ დავტოვეთ ჰაერში საპნის ბუშტივით გამოკიდებული? გახსოვთ ხომ?! ჰოდა, დროა ახლა შვიდივე თუმცას მივუბრუნდეთ და ეპიზოდებიც რიგრიგობით დავასრულოთ.

ეპიზოდი პირველი – წამო, წავიხემსოთ...

...თუმცა, „ბუფეტჩიკ ბოლენო“, ხომ გახსოვთ? რაღა გვექნა მე და დათოს. დავრჩით მშივრები, მაგრამ მაინც მხიარულად ავბრუნდით ჩვენს სართულზე, წამოღებულ საგზალზე გვქონდა გათვლა. იქ კი ბიჭებს ერთ-ერთ ნომერში უკვე მოეყარათ თავი. ფეხი შევდგით თუ არა, მაშინვე სანთლის არაყი მომაჩეჩეს ხელში. გამოვართვი და ვთქვი, მოდი ეს იმ მებუფეტეს გაუმარჯოს, დღეს რომ ავად გახდა-მეთქი...

ეპიზოდი მეორე – წყაროზე ჩაგიყვან და...

...თუმცა, წყალი კი შეწყდა თვალდახელშუა, მაგრამ გამოდის ამ დროს ჩემი ნაცნობი შენობიდან, მოდის მანქანისაკენ და ხელში ორი ბოთლი დაორთქლილი „ჰაინეკენი“ უჭირავს...

ეპიზოდი მესამე – ბზიკის გეოგრაფია

...თუმცა, გადის ხანი და მირეკავს ჩემი კახელი ძმობილი – ბიჭოო, შენა მართალი ყოფილხარ, ჩემთვის უნდა ეკბინა იმ ბზიკსა, მაგრამა... ხო იცი, ჩემი ეზოს ბზიკი იყო და... ეტყობა მოერიდა, თანაც გეოგრაფიასთან, ჩემი არ იყოს, კახელი ბზიკებიც მწყრალად არიან, გაიგეე?!

ეპიზოდი მეოთხე – ღამისთევა ლიფტში

...თუმცა ლიფტიორის შემცვლელი სადღაც სასტუმროსთან ახლოს ნარდის თამაშს შეჰყოლია თურმე, სინათლე რომ ჩაქრა, უფიქრია, ახლა სახლში წასვლას ჯობს, სასტუმროში მივიდე და იქვე წავუძინებო. მოვიდა კიდეც და ძალიან მალე გვიხსნა ტყვეობიდან.

ეპიზოდი მეხუთე – ჩოხა და „მზეთუნახავი“

...თუმცა ჩვენმა იმპრესარიომ ჟოზეფა მარტელიმ აეროპორტში რომ დარეკა, იმ ქალბატონს უკვე დარეკილიც ჰქონდა და თავისი მისამართი და ტელეფონიც დატოვებული. ყველაზე დიდი საოცრება კი ის გახლდათ, რომ ის ქალბატონიც ვიშიში ცხოვრობდა და მატარებლითაც ერთად გვიმგზავრია თურმე... დამთხვევა ხომ გინდა! მალევე მოგვაკითხა ჩემი „მზეთუნახავით“ და მეორე დღეს კონცერტსაც დაესწრო...

ეპიზოდი მეექვსე – ბულგარეთში რა გინდოდა...

...თუმცა, არა, არა... ის კაცი ნაღდად არ გაცოცხლებულა. მხოლოდ მისმა სიძემ მოგვძებნა სასტუმროში, ერთი ბოთლი „ვარციხე“ გამოცალა, საჩუქრები წაიღო და საღამოს სახლშიც მივაკითხეთ სამძიმარზე.

ეპიზოდი მეშვიდე – მუსიკამ დაყვინთა

...თუმცა, ნავით შეცურდნენ ზღვაში ბიჭები, თორმეტივე კასეტა ნაპირზე გამოიტანეს. გადაყრას ვაპირებდი, მაგრამ რა იცი, რა ხდება, მოდი გავაშროთო, ილიკომ.

საღამოხანს თორმეტივე კასეტა ძველებურად უკრავდა და ღვთაებრივ მუსიკას ტალღების შორეული და იდუმალი შრიალიც ერთვოდა თან.

პ.შ ერთადერთი „თუმცაღა“ გვრჩება გაუშიფრავი. ერთადერთი, მაგრამ ყველაზე მთავარი, საპრეზიდენტო „თუმცა“, მაგრამ მის გასაშიფრად ლოდინი მოგვიწევს. თანაც მაგას მხოლოდ მე ვერაფერს მოვუხერხებ, ეგ ისეთი ჯიშის „თუმცაა“, რომ ყველამ ერთად, ანუ მთელმა საქართველომ უნდა გავშიფროთ ოქტომბერი

თემურ ჭკუასელი

აპრილი, 2012 წელი

es iyo gamafrTxilebeli miwisZvra, romelic migvaniSnebs, rom Tu isev gaagrZeleben RvTis sawinaaRmdego qmedebebs, Sedegic ar daayovnebs

visac surs iveriis RmrTismSoblis xatis namdvili asli naxos, mobrZandiT Cvens eklesiaSi da naxeT misi namdvili saxe

ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან

— მამაო ბასილ, საკმაო დრო გავიდა თქვენი გამომაფხიზლებელი სიტყვები არ გვიხილავს პრესის ფურცლებზე, რას გვეტყოდით ახალს?

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

მინდა გითხრათ, ერთი წუთით ყურადღება არ მომიდუნებია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ჩემი ფიქრი და გონება გამუდმებით მას დასტრიალებს, მხოლოდ ამჟამად დაკავებული ვიყავი ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობით.

— იმ ბრალდებასთან დაკავშირებით, რის გამოც თქვენ წლების განმავლობაში სატუსაღოში იმყოფებოდით, დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა, ზოგიერთი რელიგიების შემწყნარებლობასაც ქადაგებს.

— რისთვის მომისაჯეს 6 წელი. იქნებ იმისთვის, რომ ბოკერიას სურათები დავწვით პარლამენტის შენობის წინ, ვებრძოდით ანტიქრისტეს მოციქულებს — თავისუფლების ინსტიტუტის მესვეურებს. მე ხომ მათი პირადი პატიმარი ვიყავი? ასეა დღესაც. ვინც არ მოსწონთ — ყველას იჭერენ და ციხეში გზავნიან.

დღეს რელიგიის საკითხში მთელ მსოფლიოში მართლაც ქაოსია. ყოველდღიურად იქმნება ახალ-ახალი რელიგიური დაჯგუფებები. თუგინდ ავიღოთ „იეღოველების“ მიმდევრები. როგორ შეიძლება მათ ენდოს კაცი. ეს სექტა ვიღაც თაღლითმა ვაჭარმა რასელმა ჩამოაყალიბა, რომელმაც გამოსცა ჟურნალი, სადაც თავის პროდუქციას რეკლამას უკეთებდა. ბოლოს ეს პიროვნება აფერისტობისთვის ციხეში ჩასვეს. დღეს კი იეღოველები რასელს თავიანთ ღმერთად თვლიან. იეღოველები აცხადებენ, რომ თურმე საქართველოში ქრისტიანობა XX საუკუნეში შემოსულა. პირველი იეღოველი საქართველოში 1953 წელს ფიქსირდება. ზღვარი აქვთ მაგათ მკრეხელობას?

ვერ ამიხსნია, საპატრიარქოს წარმომადგენლები ხმას რატომ არ იღებენ. სწორედ მათი ვალია ატეხონ განგაში.

მე, ჩემი გასაკეთებელი წლების წინ გავაკეთე. შევაჩერე იეღოველებისა და სხვა სექტების გამრავლება და თარეში. ამჯერად უკვე ასაკოვანი ვარ და საკმაოდ ავადმყოფი. ადვილი არ იყო ჩემთვის 5 წელი ციხეში ყოფნა. იქედან თითქმის დაუძლურებული გამოვედი. მიუხედავად ამისა, პრესითა თუ ინტერნეტით ვებრძვი ყოველგვარ უსამართლობას.

— მამაო, არ დაგვავიწყდეს, რომ საპატრიარქოს სასულიერო პირნი ხშირად აკეთებენ განცხადებებს უსამართლობის წინააღმდეგ.

— თითქმის ყველა სასულიერო პირთა ინტერვიუებს ვკითხულობ. სამწუხაროდ, იმათგან ძალიან მცირედნი არიან, ვინც ხმას იმაღლებს არსებულ საშინელებათა წინააღმდეგ. ამას წინათ წავიკითხე მღვდელ ზაქარია ძინძიბაძის ინტერვიუ. ის აცხადებს: „ლიცენზია მაქვს, რომლის მიხედვითაც, ფიზიკაზე დაყრდნობით, შესაძლებელია მიწისძვრის ზუსტი პროგნოზირება. ლიცენზირებული მაქვს ცუნამის შეჩერების საშუალებაო“..

შე კაი დედმამიშვილო, თუ ისეთი ძალა გაქვს, რომ ცუნამის შეჩერება შეგიძლია, შეაჩერე პირველ რიგში, მართლმადიდებლობის მტრები და ის უსამართლო მოვლენები, რომელიც საქართველოში ხდება.

— მამაო, ყველასთვის ცნობილია, ლაგოდეხში დედა ღმრთისმშობელი ტირის.

— მაშინ, როცა ქვეყანას უჭირს და განსაცდელშია, ხსნა არ ჩანს, ხატები წინასწარ ამცნებენ ცრემლდენით, ან სისხლის დენით. დედა ღმრთისა როგორ იქნება დაწყნარებული, როცა მისი წილხვედრი ქვეყანა მართლაც განსაცდელშია? ამიტომ, ბუნებრივია, კარგს არაფერს მიგვანიშნებს ყოველივე ეს.

— თქვენს ეკლესიას თქვენ რატომ უწოდეთ მაინცდამაინც ივერიის ღმრთისმშობლის სახელი?

— 2000 წელს, სასწაულებრივად, ყოველგვარი საბუთის გარეშე მოვხვდი ათონის მთაზე. სამი დღის განმავლობაში ვეევედრებოდი ივერიის ღმრთისმშობლის ხატს საქართველოს გადარჩენას. შევპირდი, როცა დავბრუნდებოდი, მის სახელზე ავაშენებდი ეკლესიას. როცა დაჩოქილი ვლოცულობდი, ვგრძნობდი, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ ეს ხატი საქართველოში ჩამობრძანდებოდა და დამკვიდრდებოდა იმ ტაძარში, რომლის აშენებასაც მე ვაპირებდი. ამას თავის დროზე ადასტურებდა ბერი გაბრიელი. როცა მას ეკითხებოდნენ, რომელ ტაძარში დამკვიდრდებოდა ივერიის ღმრთისმშობლის ხატი საქართველოში დაბრუნებისას, ის ყოველთვის პასუხობდა: ის ეკლესია ჯერ აშენებული არ არის და მას ააშენებს მორწმუნეთა პატარა ჯგუფიო. ახლა ვხვდები, მაშინ ჩემს ტაძარზე იყო საუბარი, რომელიც მართლაც მრევლის მცირედი შემოწირულობით აშენდა. ეს საპატრიარქომ მშვენივრად იცის და სწორედ ამიტომ დაიწყეს პარალელურად მახათას მთაზე ივერიის ღმრთისმშობლის სახელზე ტაძრის მშენებლობა, რომელსაც, ალბათ, არამართლმადიდებელთა მიერ შეწირული მილიონები ააშენებს.

მინდა ხალხმა გაიგოს, რომ ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ნამდვილი ასლი მე ჩამოვაბრძანე ათონის მთიდან. ის, რომელიც ბერძნებმა გამოუგზავნეს საპატრიარქოს 1989 წელს და საერთო არაფერი აქვს ივერიის ღმრთისმშობლის ხატებთან. როცა მახათას მთაზე საძირკველი აკურთხეს, იქ მიაბრძანეს მილანის ღმრთისმშობლის ხატის ასლი.

ვისაც სურს ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ნამდვილი ასლი ნახოს, მობრძანდით ჩვენს ეკლესიაში და ნახეთ მისი ნამდვილი სახე.

— მამა ბასილ, მოსახლეობას ებადება კითხვა ელექტროპასპორტებთან დაკავშირებით, ასევე ჩიპებთან მიმართებაში. თუ ყოველივე ეს ანტიქრისტეს წინა პერიოდია, ელიას და ენუქის მოსვლით რა უნდა გვემცნოსო?

— მეტად საინტერესო კითხვაა. ეს საკითხი საპატრიარქოს მოსაგვარებელია. მაგალითად, საბერძნეთში პასპორტებთან დაკავშირებით საპატრიარქომ ოფიციალური მოთხოვნა გააკეთა ხელისუფლებასთან. ჩვენს შემთხვევაში პირიქითაა, ხელისუფლება მართავს საპატრიარქოს.

რაც შეეხება ელიასა და ენუქის მოსვლას. იოანე ნათლისმცემელი მოგვევლინა, რათა გზა განემზადებინა უფლის მოსვლისათვის. ელიასა და ენუქის გამოჩენა კი იმის მომასწავებელია, რომ უფლის მეორედ მობრძანება მოახლებულ არს და ისინიც გზას უმზადებენ უფალს თუმცაღა სანამ მობრძანდება, მრავალნი მოვლენ კეთილი ანგელოზის სახით და თვით უფლის სახით და ისინი სასწაულებს მოახდენენ. წმინდა წერილი გვამცნებს — ბოლო ჟამს რჩეულნიც შეცდებიანო. ამიტომ უნდა ვიყვნეთ ფხიზლად, რათა არ გავებათ მათ საცეცებში.

— მომრავლდა გასართობი საანახაობანი, სადაც სასულიერო პირნი წინა რიგებში სხედან, ეს ხომ არ არის ის „საცეცები“, რომლებშიც თვით ღვთისმსახურნიც კი ებმებიან?

— სჯულის კანონი გვასწავლის, რომ, როცა საერო თეატრალური წარმოდგენები დაიწყება, სასულიერო პირნი უნდა გაეცალონ იქაურობას. საპატრიარქოს წარმომადგენელთა მიმართებაში კი სულ სხვაგვარად არის საქმე. ამას წინათ ბათუმში დადგმულ მკრეხელურ „ქეთო და კოტეს“ წარმოდგენაზე წინა რიგში ისხდნენ და აპლოდისმენტებითაც აჯილდოებდნენ ეგზალტირებულ, ზღვარს გადასულ მსახიობებს.

დღეს ეკლესია სწყალობს მსახიობებს. არიან ისეთებიც, რომლებიც ძალიან ახლო, საეჭვო ურთიერთობაში იმყოფებიან სასულიერო პირებთან. ეს ცოტა რთული საკითხია. ასევე, აღსარების საიდუმლოც. არავინ იცის, ვინ რა მოინანია და როგორ. მოდით, განსასჯელად ეს უზენაესს მივანდოთ, რომელიც ყველას გულის ნადების განმხილველია.

რუსთაველის თეატრიდან ბატონი რობერტ სტურუა გააგდეს, რათა წარმოედგინათ საზოგადოებისთვის ის მკრეხელური დადგმები, რომელიც მიუღებელია მართლმადიდებელთათვის. შეიძლება ადამიანს გული გაუსკდეს, იმდენი უზნეობა მოედინება ცხოვრების ყველა სფეროდან. ყოველთვის ვიმეორებ და ახლაც ვიტყვი, საპატრიარქო ყველაფერზე დუმს, რაც ნიშნავს, რომ თანაუგრძნობს მათ.

მინდა გამცნოთ კიდევ ერთი ღმრთისსაწინააღმდეგო ქმედება. ფაქტობრივი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხომ ყველაფერს რელიგიისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ჩადის. 6 მაისს წმიდა გიორგის ხსენების დღესასწაულზე მან ბათუმში გახსნა ვიღაც არაბი შეიხის სახელობის პარკი. სწორედ ამიტომ იყო ღმერთმა არ დააყოვნა, მეორე დღესვე მოხდა გამაფრთხილებელი

მიწისძვრა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ვინც ღმრთის საწინააღმდეგო ნაბიჯებს გადადგამს, არ გვაპატიებს და სასჯელსაც მოგვაგებს.

— დღეს ღვთისმსახურნიც წყევლიან ურჯულოებას. რამდენად მართებულია მღვდლის წყევლა? ეს ცოდვა არ არის?

— თქვენ გაინტერესებთ რამდენად გამართლებულია ეკლესიურად ე.წ. წყევლა. ადამიანს ყველა ცოდვა მიეტევება, გარდა სულიწმიდის გმობისა. ვინაიდან დღევანდელი ხელისუფლება თავიანთი ქმედებით სულიწმიდის მგმობელები არიან. ზოგიერთი ბერი ისეა შეძრწუნებული უმსგავსო ყოფიერებით, წარმოსთქვამენ წყევლის სიტყვებს.

— მამაო, ვერაფრით დაგვამშვიდებთ?

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერაფრით დაგამშვიდებთ.

სააკაშვილის მოსვლა დაიწყო ჩვენი ეკლესიის დარბევით. მაშინ ქართველი ხალხი დუმდა და დღეს ამ ხელისუფლების მწარე მათრახი თითქმის ყველას მოხვდა. ამიტომ ხალხი უკვე აღარავის ენდობა, მიუხედავად ამისა, გპირდებით — ეს მძიმე, ეკლიანი, ჯვარცმის გზა ქართველ ერს გასავლელი აქვს, რადგან სწორედ ამას მოჰყვება ბოლო ჟამს ივერიის გაბრწყინება. ეს აუცილებლად მოხდება.

ირანდა კალანდაძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მოგზაურობა სამშობლოში

ძველი და ახალი ბურჯები

ქალის ხეობა

სოფელ ორთუბანში, ზოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსის გარდა, სამასიოდ მეტრში ნაქალაქარის აბანოც არის შემორჩენილი, რომელიც გვიანი შუასაუკუნეებით თარიღდება.

როგორც ჩანს, სწორედ აქ – ორთუბან-ზოვრეთში წერდა ზაზა ცნობილ სამეცნიერო ნაშრომს („სამკურნალო წიგნი კარაბადინი“), რომელიც ვახუშტი ბატონიშვილს მოუძიებია და აუკინძავს. **დარწმუნებული ვარ, რომ ორთუბნის აბანოს მარტო ჰიგიენური დანიშნულება არ ექნებოდა და მისი აბაზანები სამკურნალოდაც გამოიყენებოდა ერთ დროს.** აბანოს საერთო სიგრძე 15 მეტრია, სიგანე – 7 მ. ყველა მთავარი ოთახი გუმბათიანია.

ზაზა მკურნალის მოღვაწეობის თემამ თავისთავად იმის სურვილი გამიჩინა, რომ სოფელში მცენარეული წამლების თანამედროვე დამამზადებელიც აღმომჩინა. ორთუბანში ძირითადად ოსური წარმომავლობის ოჯახები ცხოვრობენ. მათ შორის ვერანაირი აქიმი ვერ აღმოვაჩინე, მაგრამ ბედად აჭარიდან ჩამოსახლებული თინა გაბაიძე მიმასწავლეს. ახალგაზრდა ქალმა თავდაპირველად აივანზე გასახმობად გაშლილი ნაირგვარი ყვავილები და ბალახეული მაჩვენა, მერე კი თავის აფთიაქშიც შემიძღვა. იქ რამდენიმე დახარისხებული კონა, ერთი-ორი მალამო და ის სითხე მიჩვენა, რომელიც გველის ნაკბენისა და ზოგადად შხამის საწინააღმდეგო უებარი საშუალება ყოფილა.

თხრობაში გაბაიძეთა გეარის შემოყვანამ სხვა თემის გახსნის საშუალებაც მოგვცა: დაახლოებით 20-22 წლის წინათ ხეობაში აჭარის ნამატი მოსახლეობა დაფუძნდა. იგი კომპაქტურად სოფელ გვერძინეთში დასახლდა. ეს სოფელი საისტორიო წყაროებში 1658 წლის ერთი საბუთით ფიქსირდება – ციცი ციციშვილს აქ 14 კომლი ყმა ჰყოლია: **სისაურები, ღოღაძეები და მრაჭველები. შემდეგ ამ გვარებს გასიტაშვილები, მჭედლიშვილები, ჭულუკაშვილები და გელაშვილები** შემატებიან. ოსმალოსთან და ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლასა თუ შინაშლილობას სოფელი თითქმის სრულიად დაუცლია და 1862-1864 წლებში აქ ოსები ჩამოუსახლებიათ. გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში გვერძინეთელი ოსების ერთი ნაწილი აყრილა და მათ ნაცვლად მაღალმთიანი აჭარის სოფელ რიყიდან მოსული **კოჩალიძეები, გორგაძეები, გელაძეები, ანთაძეები და ხოზრევანიძეები** დაფუძნებულან. 2003 წელს აქ ახალმოსახლეთა 30 კომლი ცხოვრობდა და 9-წლიან სკოლაში 65 მოსწავლე ირიცხებოდა. ჩვენი სატელევიზიო გადამღები ჯგუფი სწორედ ამ სკოლის დირექტორის მიხეილ კოჩალიძის სახლში დაბინავდა.

იმ ღამის გვერძინეთს კიდევ ერთი ყრმა, ვეფხია შეემატა.

მეორე დღეს ალიონს დავასწარით და ყველაზე უფრო საინტერესო ნატაძრალთა შემოვლა დავიწყეთ. აქ ოდესღაც ერსა და ეკლესიას ბურჯად ედგნენ ნეტარი მამები. თავდაპირველად იმერხევისკენ გავწიეთ, სადაც **ძაძვის სამონასტრო კომპლექსი** გვეგულებოდა. ხეობაში შესვლა სოფელ ელბაქიანიდან შეიძლება. ნამონასტრალი აქედან 5-6 კილომეტრშია, მაგრამ გზა ძალიან ცუდია. **ამ მონასტრის მთავარი ნაგებობა, რომელიც სანახევროდ დაქცეულა, იოანე ნათლისმცემლისა ყოფილა და მშენებლობის სტილით VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება.** ეკლესია ნაგებია როგორც ფლეთილი ქვით, ისე ქვიშაქვისა და შირიმის თლილი ლოდებით. საკურთხევლის ნალისებრი აფსიდი დარბაზიდან ქვის კანკელით ყოფილა გამოყოფილი, რომლის რვაწახნაგა სვეტების ნატეხები აქა-იქაა გაბნეული. გვიან ხანაში ეკლესია მოუხატავთ, მაგრამ გამოსახულება აღარ იკითხება.

ტაძრის გარდა გალავანშემოვლებულ კომპლექსში (დაახლოებით 1 ჰა.) მდგარა მოზრდილი სატრაპეზო (14,5X9 მ), ორსართულიანი სამრეკლო და სენაკები, რომელთაგან ახლა მხოლოდ ნანგრევებია შემონახული. ეზოს ტერიტორიაზე არის რამდენიმე სამეურნეო ხარო.

... ძაძვიდან გვერძინეთში ვბრუნდებით, იქიდან კი სამხრეთით მივეშურებით. გავიარეთ პატარა სოფლები წიფლოვანი და კოდმანა, ნასოფლარი ტყემლოვანა და მარჯვნივ, ტყეში ახალგაყვანილ, ციცაბო გზას ავუყევით. საბედნიეროდ ეს გზა 300 მეტრზე მეტი არ აღმოჩნდა, თორემ მანქანის ძრავი ასეთ დატვირთვას ვეღარ გაუძლებდა.

ძველი და განახლებული ქოზიფა და მისი მაშენებელი ბერები

სამოთხეს, რომელშიც აღმოვჩნდით, **ქოზიფა** ჰქვია.

მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა მაღალი, ფოთლოვანი ტყე, მოზრდილი, მოსწორებული ადგილი ამ ტყეში, ეკლესიათა ნანგევები, ახალი, ხის აივნიანი კელიები, უზარმაზარი კვიპაროსი, მცირე მტილი, ოცამდე სკა, მოჭიხვინე იაბო, ჩრდილქვეშ წამოწოლილი კრავი, ორი ნაგაზი და ფრინველთა გადაძახილი. ვერანაირად ვერ ვიფიქრებდი თუ ერთ მცირე მონაკვეთში ამდენი, ნაირგვარად მგალობელი ფრთოსანი ბუდობდა.

ქოზიფის სამონასტრო კომპლექსში ერთმანეთზე მიდგმული 5 დარბაზული ეკლესია მდგარა. მათგან ორი VII-IX საუკუნეების ყოფილა, ორი – XV-XVI და ერთიც – XIII საუკუნისა. ამათგან ყველაზე დიდი, ცენტრალური ტაძარი სწორედ ეს უკანასკნელია (17,85X7,85მ). ღვთისმშობლის სახელობის საყდარი აგებისთანავე მოუხატავთ. მართალია „ღვთისმშობელი“, სხვა აქაური საყდრების მსგავსად, რომელიღაც ეპოქაში ძალიან დანგრეულა, მაგრამ შემორჩენილ კონქში ისევ ჩანს „ვედრება“, „ხატი მანდილისაი“, მოციქულები, ეკლესიის მამები და XIII საუკუნის სხვა ფრესკები. სამხრეთ კედელზე შემონახულია „ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება“. კომპლექსში შემავალი დანარჩენი ოთხი ეკლესია უხეშად დამუშავებული, დაკუთხული ქვებითაა ნაგები, „ღვთისმშობელი“ კი სუფთად გათლილი ბაზალტის კვადრებით. შემორჩენილია თანდართული ქვის კანკელის ფრაგმენტებიც.

კომპლექსის არსებობა ცნობილი იყო (სამეცნიერო ლიტერატურაში იგი გუგომის სახელითაა შეტანილი), მაგრამ ბოლო დროს, თურმე, ტყეს ისე გადაევლო, რომ ახალგაზრდა ბერებს გაჭირვებით მიუგნიათ. მას შემდეგ ეწოდა კომპლექსს ქოზიფა პალესტინაში არსებული ერთი მონასტრის მსგავსად. დანგრეული ეკლესიები ხელახლა აკურთხეს ღვთისმშობლის, ლაზარეს, წმინდა გიორგის და შიომღვიმის სახელობაზე. ბერების საძმო, წინამძღვარ შიოს მოთავეობით და მიტროპოლიტ იობის მზრუნველობით, დღესა და ღამეს ასწორებდა ძველი მონასტრის გაცოცხლებისთვის: წესრიგში მოჰყავდათ ტერიტორია, აგროვებდნენ გაფანტულ ქვებსა და ბერ-მონაზონთა ნეშტებს. ერთ-ერთი სრულიად დაქცეული ეკლესიის ქვეშ მათ მიაგნეს კრიპტას და იქ დაცულ წმინდა ნაწილებს ეზოს სხვა მონაკვეთებში აღმოჩენილი მამების ძვლებიც დაუმატეს. კრიპტაში ჩასვლისას თავზარი დაეცა ჩვენი გვერძინეთელი მასპინძლის მე-8 კლასელ ვაჟიშვილს, რომელიც თან გვახლდა მამამისის თხოვნით. მერეღა გავიგეთ, რომ იგი მოუნათლავი იყო. ამდენად, მის მომავალ გაქრისტიანებაში მცირეოდენი წვლილი ჩვენც შევიტანეთ ამდენი სიწმინდის ჩვენებით.

იმ დღეს მონასტრის საძმოდან ადგილზე მხოლოდ მორჩილი ლაზარე დაგვხვდა, რომელიც პურს აცხობდა. დანარჩენი ბერები, მეზობლად მდებარე მუხილეთის მონასტრის წინამძღვარს მამა ზენონს ეხმარებოდნენ მშენებლობაში. ლაზარემ შემოგვთავაზა, რომ ის ღამე ქოზიფაში გაგვეთენებინა სამძოს სრულ შემადგენლობასთან ერთად, რომელიც შებინდებისას დაბრუნებოდა, მაგრამ ჩვენ მათი გაცნობა მუხილეთში ვამჯობინეთ.

მუხილეთი გვერძინეთსა და ტყემლოვანას შორისაა, უფრო კონკრეტულად კი ძამის იმ შენაკადის ბოლოშია, რომელიც ტყემლოვანამდე ერთვის ხეობის მთავარ მდინარეს. ამავე ხაზზეა, ოღონდ ხევის თავში, აბუხალოს ბერთა ქვაბები.

მუხილეთის მონასტერში იოლად მივედით. იგი ღვთისმშობლის დანგრეული ეკლესიისა და რამდენიმე ხის სენაკისგან შედგებოდა მაშინ. ბერები ზენონ იყალთოელის სახელობის ეკლესიას უყრიდნენ საძირკველს. ნიადაგის გაჭრა უკვე მოემთავრებინათ და ახლა შორიახლოდან ეზიდებოდნენ საბალავრე ქვებს. შრომაში ჩაბმული ამდენი ბერ-მონაზონი აქამდე არასდროს მენახა და ახლა სულ სხვაგვარად წარმომიდგა ეს საზოგადოება. განსაკუთრებით ქოზიფის მონასტრის 24 წლის იღუმენმა მამა შიომ მიიქცია ჩემი ყურადღება. შრომაში ხომ მისაბაძი იყო და შესვენების დროსაც ყველასგან გამოირჩეოდა მოზომილი სიტყვით (ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული. სამ წელიწადში არქიმანდრიტი გახდა, მაგრამ ავტოკატასტროფაში დაიღუპა).

მალე რუის-ურბნისელი მიტროპოლიტი იობიც ამოვიდა და კიდევ ერთი ახალი აღმოჩენა გავაკეთე: ეს იყო ჭეშმარიტი მამისა და შვილების შეხვედრა – გულისხმიერი, უბრალო და მოკრძალებული, რომელიც ტრაფარეტებისა და ყალბი ეტიკეტებისაგან დაცლილი იყო. „მე ერთი უბრალო ბერი ვარ“ – ხშირად მახსენდება მიტროპოლიტის საკუთარი თავის დახასიათება, მაგრამ სიტყვა „უბრალოში“ იმ დღიდან პირველყოფილ მარცვალს ვხედავ. მას შემდეგ, აგერ უკვე, ათმა წელმა განვლო. ეპარქია ყოველნაირად აყვავდა. უამრავი ნატაძრალი ფერფლიდან აღსდგა და უამრავი ახალი ტაძარი აიგო მისი ძალისხმევით. ყველას ჩამოსათვლელად ერთი და ორი წერილიც კი ვერ იკმარებს. ეკლესია-მონასტრები, რა თქმა უნდა, მრევლის შემოწირულობებითაც შენდება, მაგრამ მთავარი მაინც ეპარქიის 400-მდე მუხლჩაუხრელი, კაბაგახუნებული ბერ-მონაზვნის დამსახურებაა. ისინი მთელ დროს ლოცვასა და შრომაში ატარებენ, მძღოლებიც არიან, კირითხურონიც, დურგლებიც და შიკრიკებიც. იშვიათია ასეთი ეპარქია!

ხელში თუ ჩაუვარდა ეს წერილი, შეიძლება მისაყვედუროს კიდეც მეუფემ ასეთი შესხმისთვის, მაგრამ სხვაგვარად არ მძალმიძს. იშვიათია ასეთი მართლმადიდებელი საჭეთმპყრობელი დღეს: ბერი – ყრმის უმანკოებით, მოძღვარი მწვრთნელის მომთხოვნელობით, კლდე ვითარცა სარწმუნოების ბურჯი, მებრძოლი და შეუპოვარი ქართველი როგორც თორნიკე ერისთავი და მამხილებელი ვითარცა ესაია. ის ფეხქვეშ ეგება უბრალო, წესიერ კაცს, მაგრამ შეუძლია შერისხოს ამპარტავანი, ფარისეველი და განცხრომის მოყვარე საერო თუ სამღვდელო პირი, თვით მეფეც და მისი ვაზირებიც კი. ამიტომ, ბოროტეულნი შიშით ძრწიან და ხაფანგებს უგებენ, მაგრამ უფალი იცავს განსაცდელისგან. არ მოკვდება ქვეყანა, რომელსაც თუნდაც ერთი ასეთი ბერი ჰყავს.

ეს არის ამ წერილის ბოლოთქმა.

გელა ქოქიაშვილი

ურბნისისა და რუისის ეპარქია: წიფლოვანის, ორხევისა და ტბეთის ახალი საყდრები



ჯემალ დავლიანიძე

როდემდე უნდა მართონ ქვეყნები ურწმუნოებმა?

პოლიტიკურ მხეცთაგან წამოსული მუქარა და უბედურება დღეს უკვე საყოველთაოა და კაცობრიობის საღ ნაწილს დიდი ბრძოლა დასჭირდება ამ ჭირის მოსაშორებლად.

მდგომარეობა უმძიმესია, რომ არა უფლის იმედი!

ოღონდ! აუცილებელია ჩვენ, მსოფლიოს მაცხოვრებლებმა, ქვეყნებმა გამოვიღვიძოთ და იმ ძილბურანიდან გამოვიდეთ, ამ ქვეყნის დამაქცევრებმა რომ შეგვრეკეს!

პირველ რიგში, საყოველთაო არხეინობა და ბალიშზე ძილი უნდა მოვიშოროთ! უსულგულობას ჩვენსას უნდა ვუშველოთ!

აგერ, მოდის, მოაბიჯებს ადამიანი! მოდის მხოლოდ ხორცი! მოდის ხუხულა! უსულო, უფრო კი სულდაკარგული. ხორცში ჩაახრჩობინეს საკუთარი სულის ნაპერწკალი, რითაც იგი ღმერთთან იყო დაკავშირებული!

მოდის, მოდის, მოაბიჯებს, მოვა და...

როგორც ვთქვი, ხელში შეგრჩება მხოლოდ ხორცის ნაგებობა! ხორცის შენობა! ხორციელება, რომელშიც სულიერების ნატამალი არ დაინახვება!

და ეს საბაზრე ხორცის ნაგლეჯი თავისი პოეზიით, თავისი ქანდაკებით, თავისი მხატვრობით, თავისი კულინარიით, თავისი ყბედობით, თავისი აზროვნებით, არის მხოლოდ ენა! ენა – დახლზე დადებული, წონით 3-4 კილოგრამი და მეტი არაფერი...

და, რადგან დღეს საყოველთაო სიბრიყვე ჭიხვინებს!

და, რადგან დღეს სიპატიოსნე დუმს მოკრძალებით!

და, რადგან დღეს სინდისს ახრჩობენ სახრჩობელაზე!

და, რადგან პოლიტიკოსები ბაზარში დგანან, აჩეხილი სამშობლოს ნაჭრების გასაყიდად!

რადგან სულიერება დღეს ხორცის პატიმარია!

ამიტომაც ვგლოვობ და ვიცრემლები!

ამიტომაც პანაშვიდი მაქვს!

და, დღეს ისეა მოწამლული მსოფლიო საზოგადოება ახალი მსოფლიო წესრიგის (რაც უკვე საყოველთაოა კაცობრიობისათვის!) მავნე საქმიანობით, რომ მრავალს და მრავალს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია, ადამიანებში ხორცის ანუ მატერიის ზეობა და სულიერი დაცემა, გახრწნა-გადაგვარება. თითქოს სულსა და ხორცს შორის დარღვეული ჰარმონია აღარაფერს ნიშნავდეს! თითქოს ადამიანის დანიშნულება და უფლისაგან ჩვენი გაჩენის მიზეზი მხოლოდ კუჭი, სიმაძღრე და მხოლოდ სექსი, - გამრავლების ისტერიული მოთხოვნილება იყოს!

მაინც, როდემდე უნდა გაგრძელდეს და კაცობრიობამ სადამდე უნდა მოითმინოს უსულოთა, აზროვნებით მწირთა, სულით დაცემულთა და ოდენ ხორცით აღზევებულთა მასკარადი?

როდემდე უნდა სტანჯონ ხორციელმა მძორებმა სულით ამაღლებულნი?

როდემდე უნდა მართონ ქვეყნები ურწმუნოებმა?

როდის უნდა ისწავლოს ჭკუა ხალხმა, რომ თეთრი გაარჩიოს შავისაგან და მოღალატე არ არჩიოს მამულიშვილს?

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-19

mware gakveTilebi

evroamerika, ruseTi da saqarTvelo

ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ვინ ჩამოაგდო მეფე რუსეთში?

მრჩება შთაბეჭდილება, რომ მეფის ჩამოგდებას რუსეთში ევროამერიკელები ხელმძღვანელობდნენ საკმაოდ საიდუმლოდ. რუსეთში მათ ზუსტად ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსი წარმონაქმნის ჩამოყალიბება ჰქონდათ განზრახული და რევოლუციაც მოახდინეს. მეფე ულმობლად დახვრიტეს მთელ ოჯახთან ერთად და იწყეს მასობრივი ულტა ჭეშმარიტი რუსული ინტელიგენციისა, სასულიერო პირებისა... მილიონობით ადამიანი დახვრიტეს, შემდგომში, ლენინის სიკვდილის მერეც გააგრძელეს და ვგონებ – სტალინს რომ არ ემარჯვა, რა დარჩებოდა რუსეთისაგან, ამ ვებერთელა, მართლმადიდებლური ქვეყნისაგან, ძნელი წარმოსადგენი არც არის!

მოკირკიტე მკითხველი იტყვის, - კაცი საქართველოს უბედურებაზე გვესაუბრება და რა შუაშია რუსეთი!

ოო! არა და არა, ბატონებო! ბევრზე ბევრი გვაქვს საერთო რუსეთთან! თუნდაც სარწმუნოება! თუნდაც მეზობლობა! თუნდაც თანაცხოვრების ათეულობით წელი! თუნდაც ის, რომ მავანმა და მავანმა მოახერხა, – რუსეთი ჩვენს უპირველეს და ერთადერთ მტრად დაესახა! და განა მხოლოდ ჩვენ ჩაგვაგდეს შევარდნაძე-სააკაშვილებმა ამ დღეში?

იქამდე მივიდნენ, რომ ჩვენი უდღეური ხელისუფლება, დღეს ოციოდე ტანკით და ასი ავტომატით, რუსეთს ცხვირწინ მუშტს უტრიალებს და დედ-მამას აგინებს!

როგორც ფინია ძაღლს წააქეზებენ ხოლმე პატრონები, ისეთ დღეში არიან! ევროამერიკელები დაუქსევენ და თვითონ განზე გადგებიან. თვითონ ძმაკაცობენ, თვითონ რიდი აქვთ ამხელა ქვეყნისა, გვარიანადაც ეშინიათ, კინაღამ ქვეშ ჩაიფსან და ჩვენს ხელისუფლებას კი ამაოდ აყეფებენ!

განა ყოველივე რომ მოწყობილია და სპეციალურადაა, ვერ უნდა შევიგნოთ ქართველებმა?

განა ჩვენი ქვეყნის დაქუცმაცება, როგორც ერთერთი ქრისტიანული ქვეყნისა, ევროამერიკას რომ ხელს აძლევს, ეს ძნელი მისახვედრია?

და, ამ ყბადაღებულ ე.წ. დასავლეთს, ყოველივე ცუდის რუსეთის ხელით კეთება რომ სურს, ძნელი დასანახავია?

ევროამერიკელებს ორმაგი მოგება აქვთ ამ უკეთური ხელის ბანვით და ჩრდილში დგომით: საქართველოს მთლიანობას ანადგურებენ, სურვილს თავიანთს, ჩანაფიქრს ისრულებენ და თან რუსეთს აბრალებენ, რუსეთს აძაგებენ, მთელ მსოფლიოში მოძალადეს უწოდებენ!

რა თქმა უნდა, რუსეთში უზარმაზარი ლეგიონები ჰყავთ ჩანერგილი და მუშაობენ დაუცხრომლად! საოცარია, როგორ უძლებს დღემდე რუსეთი ამხელა ძალთა კონცენტრირებულ შემოტევას? ერთი შეხედეთ მათ ნამუშევარს – რუსეთის გარშემო მდებარე თითქმის ყველა ე.წ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გადაბირებას როგორ ცდილობენ! ვეებერთელა სახსრებს ხარჯავენ ბელორუსიაში, უკრაინაში, შუა აზიაში, კავკასიაში...

და, როგორც ყოველთვის, ჩვენ პირველობას ხელი არ გავუშვით – ევროამერიკელებად გვსურს ყოფნა და საკუთარი მიწის უდიდეს ნაწილებს ვიღაცის ენის ამყოლები, თითქმის საჩუქრად და ოთხდღიანი ომებით ვარიგებთ!

არადა, ყველაფერი ეს მოწყობილია!

ყოველივე წინასწარაა გათვლილი!

ყოველივე ამას თავისი წარსული, აწმყო და სხვათა შორის, მომავალიც გააჩნია!

რევოლუციის დროს რუსეთიც დაღუპვის გზაზე დააყენეს, მაგრამ საიდანღაც გამოუტყვრათ სოსო ჯუღაშვილი, შემდგომში სტალინი, რომელმაც მაგრად შეარყია ბნელეთის მზაკვრული ჩანაფიქრი. ეომნენ, განა არ ეომნენ? ეგონათ, ჩვენს აზრზე მოვაქცევთო, მაგრამ ჭკუით აჯობა! ჯერ მოიხმარა, ერთმანეთი ჩაახოცვინა, მერე კი, ვინც შეეწინააღმდეგა, მიწაში ჩააწვინა, ვინც დაიმორჩილა, თავისთვის ამუშავა.

რუსეთში უამრავი საოცარი რამ ხდებოდა.

მაგალითად, ჩემთვის ძალიან განსაცვიფრებელია ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთში, რევოლუციის შემდგომი მთავრობის შემადგენლობაში თვით რუსები თითოოროლა კაცით შემოიფარგლებოდნენ.

ასე მაგალითად:

22 სახალხო კომისრიდან, 19 ებრაელი ყოფილა!

ხოლო რევოლუციის შემდგომი რუსეთის დუმის 554 დეპუტატს შორის იყო:

2 - პოლონელი!
1 - ჩეხი!
43 – ლიტველი!
30 - რუსი!
3 – ფინელი!
13 – სომეხი!
2 – ქართველი!
1 – უნგრელი!
12 – გერმანელი!
447 – ებრაელი!

როგორ ყოფილა რუსეთის და ევროამერიკის საქმე, ვეჟო?

ამ ცნობის უტყუარობის მოძიება ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია, რადგან ისტორიაში ბრწყინვალედაა ცნობილი სახალხო კომისრების ამბავიც და რუსეთის დუმის დეპუტატთა რაოდენობაც.

შევარდნაძის ხელისშემწყობნი საქართველოს მტრები არიან!

დავუბრუნდეთ ედუარდ შევარდნაძეს, რომლის სულიერი ფესვები დემონურ სამყაროშია ჩაზრდილი.

მაშასადამე, შევარდნაძემ, რომელსაც აბრალებენ ორი გერმანიის გაერთიანებას! რომელსაც ამგვარი მსოფლიო ძალაუფლება ჰქონია, როკის გვირაბის გაყვანის დაკონსერვება ვერ აღუსრულებია!

ვგონებ თხრობის ძირითად ხაზს ძალიან არ ავცდენილვარ... 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში ჩატარდა არჩევნები, გაიმარჯვა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ.

საქართველოში დაიწყო ქრისტიანულ-ეროვნული აღმშენებლობა და საამისო რესურსი გადმოგვყვა საბჭოთა კავშირიდან.

აი, ზუსტად ამ დროს დასჭირდა ევროამერიკას, მოსკოვში უმუშევრად დარჩენილი, პენსიონერი ედუარდ შევარდნაძე.

აუცილებელი იყო ეროვნული აღმავლობის გზას დამდგარი საქართველოს შეჩერება, მაგრამ საამისოდ, პირველ რიგში, საჭირო შეიქნა დოვლათის და ქონების განიავება! ქართველი ხალხი როგორმე შიმშილის კარზე უნდა დაებათ.

და, ე.წ. დიდმა პოლიტიკოსმა (პირველ რიგში ევროამერიკის იმედმა და ჯილა კოჭმა) ხელები დაიკაპიწა. უპირველესად ყოველი ბრალდებისაგან ხელებს იბანს: 9 აპრილის ტრაგედია თვითონ, თავისთავად მოხდა – სისხლი სხვებმა დაღვარეს და 1991 წლის სამხედრო გადატრიალებაც სხვებმა მოაწყვეს. თვითონ, შევარდნაძე, ამ საქმეში აბა როგორ ჩაერეოდა. მასთან თურმე დიდი თხოვნით ჩადიოდა უამრავი ქართველი: ინტელიგენციის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, საქმოსნები, ექიმები, პედაგოგები და სთხოვდნენ, დამყარებული ფაშისტური რეჟიმისაგან ეხსნა სრულიად საქართველო.

თურმე, თვითონ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა ქვეყნის ასაღორძინებლად... სამეგრელო? სხვებმა მოაოხრეს აფხაზეთი და სამაჩაბლო? სხვებმა გაყიდეს! ომი? სხვებმა წააგეს! ტერორისტული აქტები? სხვებმა მოაწყვეს! საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია? სხვებმა – კერძოდ, საკუთარმა მეგობრებმა, გარემოცვამ და დანარჩენმა ქართველობამ ანუ ზვიადისტებმა გაწირეს!

დღეის ამას იქით ანუ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ, ყოველივე ცუდი, რაც ხდებოდა, რაც ხდება და რაც მოხდება, სხვების მიერ იქნება ჩადენილი! ყველაფერი კარგი კი, „დიდი პოლიტიკოსის“ ხელით ქმნილია... თვით ულრუბლო ცა, მზის ამოსვლაც კი, რაღა თქმა უნდა, მისი და მხოლოდ მისი დამსახურებაა!

შევარდნაძის შემომგზავნმა ალიანსმა (ევროამერიკამ!) გადაგვარებული ქართველი ჟურნალისტების, მწერლების, ექიმების, ინტელიგენციის სხვადასხვა წარმომადგენლების მეოხებით, პრესა-ტელევიზიაში დაიწყეს „დიდი პოლიტიკოსის“ ცხოვრების შელამაზება, მისი ადრეული თუ გუშინდელი ცხოვრების ქება-დიდება...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

facebook xalxis azriT

ხო ნახე წინა არჩევნებში ყველა პარტიამ რომ დახარჯა, რამდენჯერ აღემატებოდა იმ თანხას მხოლოდ ნაცების დანახარჯი!

იქ ბიზნესმენები შეეწევიან (მოგელაძემ არ შეიცხადოს!), აქ პარლამენტარის ადგილებს გაყიდიან სარფიანად (როგორც კერვალიშვილის შემთხვევაში), იქით ადეიშვილი მიეხმარება "საპროცესოებით" (დასაჭერი კიდევ ბევრია) და ა.შ.

ივანიშვილის ხალხს რომ გაეკეთებინა, რაც მაგათ გააკეთეს - თითო კორპუსს თითო ცხვარი და ბოცა ღვინო რომ გაუგზავნეს, ხომ წარმოგიდგენია, რას დაიმხობდა თავზე ყველაფერს მოგველაძე და რა ამბავს ატეხავდნენ ნაცების მედია-სანიტრები!

სახელმწიფო სამსახურებში მომუშავე პირებს მიატანინეს საკუთარი და ოჯახის წევრების პირადობის მოწმობები. მათ ნაცვლად ხმას თავად მისცემენ და ეს ხალხი იმის შიშით, რომ ოჯახის წევრი სამსახურიდან არ გამოაგდონ, ვერ გააპროტესტებს, რომ მათ ნაცვლად სხვამ მოაწერა ხელი და ბიულეტენი გამოიყენა.

ისე მე მაქვს ერთი იდეა, არჩევნებიც აღარაა საჭირო, ვისაც სურვილი აქვს, ყველა შევიდეს პარლამენტში არჩევნების გარეშე, რას გვაწვალებენ, ან ჩვენ ან თავს რას იწვალებენ, ფულიც დაეზოგებათ. ჩვენ მაინც არავინ გვისმენს და რა აზრი აქვს, ვინ მოგვწონს და ვინ არა.

თუ აკვირდებით იმას, რომ ვინც ამ ხელისუფლებასთან ადრე იყო და მერე ოპოზიციაში გადავიდა ყველა პაჩტი რუსეთის აგენტია? რა არის ეს შემთხვეითობაა თუ ამ ხელისუფლების უტვინობა რუსეთის აგენტებს რომ ასაქმებს?

საფრანგეთს თავისი მარნეული არა აქვს, სადაც მოქმედი პრეზიდენტი 110%-ს იღებს? სადმე, სადაც არაბები ან ზანგები კომპაქტურად ცხოვრობენ... რა გაუჭირდა სარკოზის ასეთი? 2% წააგო... 3 პერიფერიულ უბანზე იყო ყუთი გასატაცებელი და ეგაა... :-)

ქუთაისში ხეები რომ გადაბელეს (ტოტები მოაჭრეს), გადანაჭრელზე "ზელიონკა" წაუსვეს და ახლა ის ზელიონკაწასმული ხე ქუთაისლებს სვეტაფორში ერევათ. მაგას ჰქვია: სულ მწვანეზე გევლოსო..

მიწისძვრა დამთავრებული არ იყო, მიშა გამოვიდა და განაცხადა-რუსეთის მოწყობილიაო...:) ხედავ, რუსეთი რა დივერსიებს გვიწყობს? არ ისვენებს, რა. ორშაბათ დილას შერყეული რომ დაიწყებს, დღის ბოლოს რავალი შენძრეული იქნება, ხო აზრზე ხართ? რაფერაა, ნეტავ, ჩვენი მაღალი?

ესე იგი, ვინც ხელმისაწვდომ განათლებას ითხოვს ოროსანია?! არ სჭირდება მიშას განათლებული ხალხი,რადგან იმათ ესე ვერ მართავს, როგორც დღეს თავის სულელ კამანდის წევრებს მართავს.

ისე მოუჩქარა მიწისძვრამ და ჩემს ჭაღებს ისე ათამაშებს, რომ მეშინია ტრამპს ქე რომ ჭაღი მოეწონა ბათუმში და შურით გული გოუსკდა, იმ ჭაღს არაფერი ეწიოს... ჩემსას რას ვჩივი...

iyideba!
1200 კვ.მ. ხეხილიანი ბაღი პატარა სახლით სოფელ ბროწეულაში. თბილისიდან 20 წუთის სავალზე.
tel.: 5 99 41 76 56; 2 34 22 97 nana

`parafsiqologia aris mecniereba, romelic CvenTan sakamaTo TemadaaqceuLi SouebisTvis~

ვესაუბრებით პარაფსიქოლოგს, ქალბატონ ანა ლენორმანს

— ქალბატონო ანა, თქვენ მონაწილეობა მიიღეთ ტელეარხ "იმედის" გადაცემა "100 გრადუსი ცელსიუსში", რომელიც ზემგრძნობიარე ადამიანებს ეხებოდა. საინტერესოა თქვენი აზრი კერძოდ ამ გადაცემისა და საერთოდ, ჩვენს მედია-სივრცეში ეზოთერიკისადმი მიდგომის შესახებ.

— ჩემი აზრით, ამ გადაცემაშიც „100 გრადუსი ცელსიუსით" და სხვებშიც, რომლებშიც უნდათ პარანორმალურ მხარეებს შეეხონ, იგრძნობა, რომ სინამდვილეში საქართველოში პარაფსიქოლოგიაზე ტაბუა დადებული. საზოგადოებისთვის ეს თემა ძალიან საინტერესოა, ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს, მაგრამ კულუარულად ძალიან აქტუალურია. სამწუხაროდ, მწირია ინფორმაცია, ეყრდნობიან არაპროფესიონალებს, რომელთაც არ იციან, რა არის შავი ან თეთრი მაგია, კოსმოსი, ასტრალი... ეს ყველაფერი ერთ მთლიანობაში არის მეცნიერება, რაც ჩვენში განიხილება მხოლოდ დაბალ დონეზე, საუბარია ჯადოზე, თვალზე, შელოცვაზე, უფრო ფართო კუთხით კი ვერ განავრცობენ. ეეს მეცნიერება საკამათო თემადაა ქცეული შოუებისთვის. პროფესიონალური კუთხით რომ შეხედო, მასში შედის მედიცინა, ფიზიკა, მეტაფიზიკა, ალქიმია. ჩვენი ტელეარხები კი აშუქებენ, როგორც შოუს. მმე ვფიქრობ, რომ აუცილებელია, კვირაში ერთხელ ერთი საათი დაეთმოს ამ საკითხს სერიოზული კუთხით. როგორც ტელეარხი "კავკასია" ასტროლოგს, მიხეილ ცაგარელს უთმობს ეთერს კვირაში ერთხელ, ასევე რომელიმე არხმა უნდა დაუთმოს დრო პარაფსიქოლოგს. ასეთ გადაცემაში კი არ უნდა იმკითხაონ ან რაღაც შავბნელ საქმეებზე ილაპარაკონ, უნდა ახსნან ყველაფერი სერიოზულ დონეზე, რადგან ადამიანები, რომლებიც არიან ინფორმაციულ ვაკუუმში, ეძებენ პასუხს არასწორი მიმართულებით და ასეც მიდის მერე ყველაფერი მათ ცხოვრებაში. აადამიანებმა უნდა იცოდნენ, რა დროში ვცხოვრობთ, რა სამყაროსეულ მოვლენებს აქვს ადგილი, რატომაა ასეთი აგრესია საზოგადოებაში, რატომ ხდება ამდენი მკვლელობა და თვითლმკვლელობა, რა არის "დომოვოი", ქართულად ფუძის ანგელოზი და ასე შემდეგ.

— თქვენ ასევე აღნიშნეთ, რომ პარაფსიქოლოგის თუ ნათელმხილველის მიერ ყოველდღიური მიღებები აბსურდია და ამითაც შეცდომაში შეჰყავთ ადამიანები, რატომ?

— წარმოუდგენელია წინასწარმეტყველება ისეთი სახით, რომ რიგი დგას ვიღაცასთან, ერთი წავიდა, მეორე მოვიდა, მეათე მიიღო. ეამის დაგეგმვა შეუძლებელია. წინასწარმეტყველება, როგორც ასეთი, თავისით მოდის. აარ შეიძლება ეს ყოველდღიურობაში შეკვეთით მოვიდეს. ისევ ვუბრუნდები იმას, რომ უნდა მივიდეს სწორი ინფორმაცია საზოგადოებამდე, უნდა დაიწეროს, გაკეთდეს გადაცემები სერიოზული კუთხით, საჭიროა პროფესიონალი ექსპერტი, პარაფსიქოლოგი. ია ფარულავამ ამ გადაცემაში აღნიშნა, რომ ყველა მსახიობს გააჩნია მეექვსე გრძნობაო. ,,კი, ბატონო, ვთქვათ, მსახიობს აქვს ეს პროფესიიდან გამომდინარე, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც მოდიან კოსმიური ძალით ვუნდერკინდული კუთხიდან გამომდინარე. ასეთ რამეს ვერ შეისწავლი, ვერ წაიკითხავ. საერთოდ, ყველა ადამიანს აქვს მეექვსე გრძნობა, თავისი ბიოენერგეტიკული კუთხე. ეეს ზოგში მეტადაა განვითარებული, ზოგში — ნაკლებად, მაგრამ სულ სხვაა ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება.

— რა აზრის ხართ ერთ-ერთი მონაწილის, თეას შესახებ, რა არის მის სხეულზე გამოხატული სტიგმები?

— მე ადრეც ვიყავი დაპატიჟებული მსგავს შოუში (არ მახსოვს 2001 წელი იყო თუ 2002), ჯერ კიდევ იქ გამოვთქვი აზრი ამ გოგონაზე. მ ვფიქრობ, რომ აქ ადგილი არ აქვს იმას, რასაც ეწოდება კოსმიური ძალა. როგორც აჩვენებდნენ, მას აქვს სტიგმები, მაგრამ ეს ხდებოდა სულ სხვა კუთხიდან გამომდინარე.

— რა შეიძლება იყოს ეს?

— მე არ მინდა ეს განვმარტო, უბრალოდ ჩემთვის სხვა რამეს ნიშნავს. ასევე შეუძლებელია შეხედო ადამიანს და დაასკვნა ვინ იყო წინა ცხოვრებაში. ეს საკმაოდ რთული სამუშაოა.

— გადაცემის ბოლოს მოხდა ჩართვა მოსკოვიდან ბიოდენებით ცნობილ მკურნალ ჯუნასთან. აშკარაა, რომ ჯუნა უკვე დიდი ხანია მძიმე ემოციური სტრესის გავლენის ქვეშ იმყოფება, რაც, პირველ რიგში, შვილის დაღუპვამ განაპირობა. რამდენად მისაღები იყო მასთან ჩართვა, იქნებ, სჯობდა, ეს არ მომხდარიყო?

— ჯუნა ჩემი თაობის თბილისელია, თითქმის ტოლები ვართ. ერთს გეტყვით. იგი უძლიერესი პიროვნება იყო, უძლიერესი ბიოენერგო-კორექტორი. იგი არის მკურნალი და არა ასტრალში გამსვლელი ან წინასწარმეტყველი. ჯუნა გაანადგურა საბჭოთა კავშირმა, უშიშროებამ. ბბევრს არ აწყობდა მისი არსებობა, ბევრს სჭირდებოდა. გაანადგურეს სულიერად, ფსიქიკა დაუზიანეს, შვილი არ დაღუპულა, მოუკლეს. აარა მგონია, რომ ამ გადაცემით დაკნინებულიყო, ჯუნა იყო და არის ჯუნა.

— ჩვენს საუბარში თქვენ ახსენეთ ეგრეთ წოდებული "დომოვოი", ჩვენებურად, ფუძის ანგელოზი; სიტყვამ მოიტანა და დავაკონკრეტოთ, რა არსებაა ეს?

— ყველა სახლს ჰყავს თავისი ფუძის ანგელოზი. იგი უხილავი ძალაა, სული, რომელიც ცხოვრობს სახლის ფუძეზე, არიან აგრესიულები, არიან კეთილები.

— ანუ მათ შორისაც არის განსხვავება?

— რა თქმა უნდა, დადებითი ძალის ფუძის ანგელოზი კეთილმოსურნედ გიღებს სახლის კარს. ხდება ისეც, რომ, ვთქვათ, იყიდა ოჯახმა ახალი სახლი, ბინა და დაიწყო ავადმყოფობები, წარუმატებლობები, ესე იგი რაღაცაშია საქმე, აგრესიულია ფუძის ანგელოზი, ასეთ შემთხვევაში საჭიროა გარკვეული რიტუალი, შელოცვა, ოჯახში მღვდლის მოყვანა.

— როგორ უნდა ვცეთ პატივი ფუძის ანგელოზს?

— ყოველთვის იქონიეთ ოჯახში ტკბილეულობა, ხანდახან კი ოთახის ოთხივე კუთხეში კანფეტები უნდა დადოთ. ასეთ დროს სახლის კაცი ნებიერად "ვახშმობს". როცა ოჯახში ტკბილეულია, კომფორტულად გრძნობს თავს.

— გვაგებინებს თავის არსებობას?

— კი, ზოგჯერ რაღაც ხმებით, კარის კაკუნით, შეიძლება უმიზეზოდ გაიღოს მოხურული კარი. შეიძლება ოჯახის წევრის ან ახლობლის ხმა ჩაგესმათ და ეს ფუძის ანგელოზი იყოს.

— თუ უმიზეზოდ კარი გაიღო, რამე უნდა თქვა ამ დროს?

— არაფერიც არ უნდა თქვა. მთავარია კომფორტულად იგრძნოთ თავი ოჯახში, სიტყვებს აზრი არ აქვს.

— თქვენ ასევე ისაუბრეთ ჯადოს მოხსნაზე და ამისი ალბათობაც განგვიმარტეთ. აანუ, რამდენად ლოგიკურია ჯადოს გასაკეთებლად ან მოსახსნელად მკითხავთან მისვლა?

— სამყაროში არსებობს კოსმიური პროგრამები. ვთქვათ, დამთავრდა პროგრამა ჩემს საყვარელ ადამიანთან, მორჩა, ის უნდა წავიდეს სხვასთან და მე სხვასთან, ან დავრჩე მარტო. ასეთ დროს როცა ზედმეტი ჩარევა ხდება, როცა ზედმეტად ეხებიან, ზიანდება ინდივიდის ფსიქიკა. აანუ ამ შემთხვევაში კი არ გაიწმინდა ადამიანი, სხვა რამე გაუკეთდა. ერთი ჯადო ჩაანაცვლა მეორემ, ერთი მაგია შეცვალა მეორემ.

— ანუ ეს ხდება კოსმიურ პროგრამაზე დაქვემდებარებით, როგორ მოვიქცეთ სწორად?

— თუ პროგრამა დამთავრებულია, აზრი აღარაფერს აქვს, რადგან არ შედგება სულიერი კავშირი. ყველა ადმიანს ჰყავს თავისი ბედის ვარსკვლავი, სახელდობრ "მას" უნდა შეხვდეს. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როცა არა პროგრამით, არამედ რაღაც ძლიერი ჯადოს ზეგავლენით მიდის ადამიანი, მაშინ უნდა მოხდეს მოხსნა და ურთიერთობა აღდგება. საჭიროა სწორი დიაგნოზი. პარაფსიქოლოგმა უნდა დაინახოს პროგრამა ერთად ხართ ჯერ თუ გათიშულნი ხართ უკვე. ანუ როცა ქალი თხოვდება, აუცილებლად ესაჭიროება ასტრო-პარა-ფსიქოლოგიური კონსულტაცია, რუქა. ხართ თქვენ ერთ ვარსკვლავზე დაბადებულნი? რისი მოთმენა მოგიწევთ იცით? უნდა გაარკვიოთ, რაზე მიდიხართ.

— ვთქვათ, მიმატოვა საყვარელმა ადამიანმა, მოვედი თქვენთან, თქვენ დაინახეთ, რომ იგი აღარ ზის ჩემს კოსმიურ პროგრამაში, რას მირჩევთ?

— გაკეთდება დიაგნოზი. თუ დავინახე, რომ პროგრამა დასრულებულია, პირდაპირ გეტყვით: ეს პიროვნება აღარ არის თქვენი. აღარ გჭირდებათ წარსულზე ჩაჭიდება. დადექი ჭეშმარიტ გზაზე, მიხედე თავს. უნდა დაიხუროს ერთი და გაიხსნას მეორე, სხვა კარი, რომ შენი ვარსკვლავი კვლავ გამოჩნდეს. ყყველამ თავისი ბედი უნდა ეძიოს, არ უნდა იფიქრო იმაზე, ვინ რას იტყვის. შეიძლება სადღაც გაცილებით უკეთესი ადამიანი გელოდება, შეიძლება, არაფერიც არ გელოდება. მთავარია, შავი მაგიის ზემოქმედებით არ იყოს საყვარელი ადამიანი წასული შენგან.

თამუნა ქადაგიძე

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მითვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— ვარ მოპასუხე. რა სამართლებრივი შედეგები დადგება, თუ არ წარვადგენ შესაგებელს?

— მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებელს) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე მოსამართლე დაკმაყოფილებს სარჩელს, თუ მასში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს კანონით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

* * *

— შეიძლება თუ არა მოწმის დაკითხვა მის ადგილსამყოფელზე?

— მოწმის დაკითხვა წარმოებს ღია სასამართლო სხდომაზე. არსებობს გამონაკლისიც. კერძოდ: მოწმე შეიძლება დაიკითხოს მის ადგილსამყოფელზე, თუ:

ა) ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის ან სხვა საპატიო მიზეზით მას არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში;

ბ) საქმის გარემობათა მიხედვით მისი ადგილზე დაკითხვა უფრო მიზანშეწონილია;

გ) დაკითხულ უნდა იქნეს რამდენიმე მოწმე, რომლებიც ერთ ადგილას ცხოვრობენ და მათი სასამართლოში გამოძახება და დაკითხვა დაკავშირებული იქნებოდა დიდ ხარჯებთან;

დ) სხვა შემთხვევებში — სასამართლოს შეხედულებისამებრ.

* * *

— დაბარებული ვარ თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე მოწმის სახით. ვცხოვრობ რაიონში. ფინანსური სახსრები არ გამაჩნია. როგორ მოვიქცე?

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, მოწმეს უფლება აქვს, მოითხოვოს სასამართლოში გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება კანონით დადგენილი წესით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია დაავალოს მხარეს, რომლის შუამდგომლობითაც გამოძახებულია მოწმე, წინასწარ გადაიხადოს მოწმის სასამართლოში გამოძახებასა და დაკითხვასთან დაკავშირებული ხარჯები. ასეთ შემთხვევაში მოწმეს გამოიძახებს სასამართლო მას შემდეგ, რაც მხარე შეასრულებს აღნიშნული ხარჯების გადახდის მოვალეობას.

* * *

— რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს შვილად აყვანის საქმე?

— ბავშვის შვილად აყვანის შესახებ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მშვილებლის ან გასაშვილებელი ბავშვის ადგილსამყოფელის მიხედვით.

* * *

— სად შეიძლება შევიტანო სარჩელი მამობის დადგენის შესახებ? ვიხდი თუ არა სახელმწიფო ბაჟს?

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის Iნაწილის „გ“ ქ-პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე.

* * *

— შეიძლება თუ არა სააპელაციო ინსტანციაში შევიტანო შეგებებული სარჩელი?

— არა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის მიხედვით, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე, შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

* * *

— გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას. შევიტანე განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. შეჩერდება თუ არა აღსრულება?

— საქმის განახლების შესახებ განცხადება ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით დროებით შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება. გადაწყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანა იმაზე იქნება დამოკიდებული, იძლევა თუ არა საქმის წარმოების მომთხოვნი პირი შესაბამის გარანტიებს.

* * *

— რა შემთხვევებში შეიძლება სასამართლომ შეაჩეროს საქმის წარმოება?

— სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს სასამართლოს მოვალეობას და უფლებას საქმის წარმოების შეჩერების შესახებ. მოგახსენებთ ორივე შემთხვევის შესახებ:

— სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს სასამართლოს მოვალეობას და უფლებას საქმის წარმოების შეჩერების შესახებ. მოგახსენებთ ორივე შემთხვევის შესახებ:

— სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს:

ბ) მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვისას;

გ) საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მოპასუხის ყოფნისას ან ასეთივე ნაწილებში მყოფი მოსარჩელის თხოვნით;

დ) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტდე, რომელიც განხილულ უნდა იქნას სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით;

ე) თუ საქმის განიხილავს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია ან კომისიის კომიტეტი;

ვ) თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონით, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნას გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება.

— სასამართლოს, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ:

ა) მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში ან გაწვეულია რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად;

ბ) მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში;

გ) მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არა აქვს, გამოცხადდეს სასამართლოში და ეს დაინტერესდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;

დ) გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ე) სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა.

* * *

— ჩემმა ადვოკატმა ფოსტას ჩაბარა სარჩელი ჩემს ყოფილ მეუღლეზე გადასაცემად. საქმე განქორწინებას ეხება. ჩემმა ყოფილმა მეუღლემ გზავნილის მიღებაზე უარი განაცხადა. რა მოხდება?

— თუ ადრესატმა უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას გააკეთებს გზავნილზე, რომელიც სასამართლოს უნდა წარედგინოს. ასეთ შემთხვევაში გზავნილი ადრესატისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ დაინიშნება სასამართლო პროცესი.

`alfa~ TbilisSimifrinavs~

ფრენისას შეიარაღებული დამნაშავეების ჯგუფი პილოტის კაბინაში შეიჭრა. მათ დაჭრეს ბორტმექანიკოსი და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საფრენოსნო-შტურმანთა განყოფილების უფროსის მოადგილე. გამტაცებლებმა მოითხოვეს კურსის შეცვლა და თურქეთში გაფრენა.

ამ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე კინოსტუდია „მოსფილმში“ გადაღებულ იქნა მხატვრული ფილმი „განგაში“. იგი, ჩვეულებრივ, საჯარო ჩვენებისთვის არ გადაუციათ. ფილმი მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოებისა და აეროფლოტის თანამშრომლებს აჩვენეს. სცენარი მარტივი იყო, ფილმი სასწავლო მასალას ჰგავდა. დამნაშავეებმა, რომელთაც საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტეს, სტიუარდესას წინაშე ახალგაზრდული ქორწილი გაითამაშეს. სტიუარდესას სთხოვეს ბილეთები და ბორტზე ძვირფასი ჭურჭლით სავსე ჩანთის შეტანა, როდესაც „ნეფეპატარძალი“ და ჩანთა ბორტზე აღმოჩნდა, სწრაფად გამოირკვა, რომ ფაიფურის მაგივრად ჩანთაში იარაღი იდო. ბედნიერი შეყვარებულები კი იარაღის კარგად მფლობელი დამნაშავეები აღმოჩნდნენ. ფილმის სცენარის მიხედვით, ასე იქნა გატაცებული თვითმფრინავი.

„კინოს“ მსგავსი სცენარით, თვითმფრინავი თბილისში იქნა გატაცებული. აღწერილ მოვლენებამდე ერთი დღის ადრე (ე.ი. 17 ნოემბერს) მომავალმა ტერორისტებმა — სკოლა-ინტერნატის პედაგოგმა და შეთავსებით სტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარმა წერეთელმა და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა პატიაშვილმა (სინამდვილეში, მისი გვარი იყო ფეტვიაშვილი) ქორწილი გადაიხადეს. მოწვეულ სტუმართა შორის აეროპორტის თანამშრომელი ქალბატონიც იყო. ქორწილში მას მოელაპარაკნენ, რომ იგი ახალდაქორწინებულთათვის შეიძენდა ბილეთებს და თვითმფრინავის ბორტზე, შემოწმების გარეშე, სადეპუტატო დარბაზიდან შეიყვანდა. როგორც ჩაიფიქრეს, ისეც განხორციელდა.

ექვსი დამნაშავე, ცხრამეტიდან ოცდაათ წლამდე ახალგაზრდები — ექიმი ძმები პირველები (სინამდვილეში მათი გვარი იყო ივერიელები-ლეკიშვილი), ადრე ხულიგნობისთვის ორჯერ ნასამართლევი კობიძე, თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი (გვარი არაა მითითებული სავარაუდოდ საუბარია გეგა კობახიძეზე) და ჩვენთვის უკვე ნაცნობი ოჯახი წერეთელი-პატიაშვილი (უნდა იყოს ფეტვიაშვილი) აეროპორტში მივიდნენ. ისინი იქ შეხვდნენ ორ ნაცნობ გოგონას, რომელთაც შესთავაზეს სხვა ქალაქში გაფრენა, ისე, რომ საკუთარი გეგმა მათთვის არ გაუმჟღავნებიათ. მთელი ეს კომპანია, შემოწმების გარეშე სადეპუტატო დარბაზის გავლით ავიდა თვითმფრინავში, რომელიც მალე აფრინდა.

ფრენისას დამნაშავეებმა სალონში მგზავრების შესწავლა დაიწყეს. ისინი აეროფლოტის უსაფრთხოების სამსახურის მუშაკს ეძებდნენ, რომლებიც, როგორც წესი, ასეთი გრძელი მარშრუტის დროს თვითმფრინავს აცილებენ. დადგენილი წესის დარღვევით, ბორტზე უსაფრთხოების მუშაკი არ იმყოფებოდა, მაგრამ ბანდიტებს ერთი მგზავრი საეჭვოდ მოეჩვენათ.

წერეთელმა სამგზავრო ადგილი დატოვა, მივიდა მგზავრთან და თავში შამპანურის ბოთლი ჩაარტყა. კობიძემ და ძმებმა პირველებმა (ივერიელი-ლეკიშვილი) შეიპყრეს სტიუარდესა, ცოცხალ ფარად იფარეს და პილოტის კაბინაში შეიჭრნენ. იარაღის მუქარით მათ კურსის შეცვლა და თურქეთში გაფრენა მოითხოვეს. კონფლიქტის მოგვარების მიზნით, ბორტ-მექანიკოსი შეეპასუხა: „რომელი თურქეთი? თქვენ აზრზე ხართ, რას ამბობთ? თვითმფრინავს ამ მანძილზე გადაფრენა არ შეუძლია!“

დისკუსიის გარეშე ერთ-ერთმა დამნაშავემ აუღელვებლად მას ესროლა და სასიკვდილოდ დაჭრა, შემდეგ ტყვია საფრენოსნო-შტურმანთა განყოფილების უფროსის მოადგილეს დაახალა, რომელიც ეკიპაჟთან ერთად მიფრინავდა.

მაგრამ ტერორისტებმა ვერ შეამჩნიეს რომ პილოტთაკაბინის წინა ნაწილში, ფარდის უკან, თვითმფრინავის შტურმანი იდგა. შტურმანმა სწრაფად შეაფასა ვითარება და თავდამსხმელებს საპასუხო ცეცხლი გაუხსნა, ერთი მოკლა და ერთიც დაჭრა. ხომალდის მეთაური არ დაიბნა და ჰაერში უმაღლესი პილოტაჟის რამდენიმე ფიგურა შეასრულა, რითაც დამნაშავეთა მოქმედება შეაფერხა. როგორც სპეციალისტებმა შემდგომ გამოთვალეს, ამ მანევრების შესრულებისას თვითმფრინავის კონსტრუქციაზე ზეწოლა სამჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმებს. ამ მანევრების შედეგად ტერორისტები პილოტის კაბინიდან გამოვარდნენ და ეკიპაჟმა კაბინის კარის ჩაკეტვა მოასწრო.

ხომალდის მეთაური არ დაემორჩილა თავდამსხმელთა მოთხოვნას, და მიუხედავად რიკოშეტული ტყვიით ფეხში დაჭრისა, თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დასვა. აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე თვითმფრინავი მძიმედ დაეშვა, დარტყმამ ყველა ტექნოლოგიური ლუკი და მარჯვენა მხრის საავარიო კარები გააღო, სანამ თვითმფრინავი საფრენ ზოლზე მოძრაობდა, ერთ-ერთმა სტიუარდესამ, ისარგებლა რა დამნაშავეების უყურადღებობით, სცადა თვითმფრინავის მთავარი კარის გაღება და გადმოხტომა. ტერორისტმა ეს შეამჩნია და ესროლა. მოგვიანებით, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ საფრენ ბილიკზე სტიუარდესა მკვდარი დაეცა. ტყვია მას გულში მოხვდა. ეს უკვე მეოთხე მსხვერპლი იყო.

დავით არაბიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რომელი ქვეყანა გაქრება პირველად ვანგას წინასწარმეტყველების მიხედვით?

ცნობილი ბულგარელი წინასწარმეტყველი ამბობს თუ რატომ დაიღუპებიან ევროპის ქვეყნები. ვანგა ლაპარაკობს მუსულმანურ ქვეყნებს შორის ომზე, სადაც გამოყენებული იქნება ქიმიური იარაღი. შედეგად 2016 წელს ევროპა მთლიანად განადგურდება. ქიმიური იარღისგან ადამიანების დაუავადდებათ თვალები, სასუნთქი გზები, კუჭ-ნაწლავი, გაუჩნდებათ კანის სნეულებანი. მუსულმანური სახელმწიფოები შექმნიან ქიმიურ იარაღს და განადგურდება ათობით სახელმწიფო. რაც გამოიწვევს კანის წყლულებს, დაიბადებიან ჯუჯა ადამიანები. 2016 წელს ევროპა დაცარიელდება.

ვანგას წინასწამეტყველება იაპონიის ატომური ელექტროსადგურის „ფუკუსიმა-1“ ავარიის შედეგებზეც საუბრობს.

ყარაყუმს გამყინვარება ელოდება

დიდი ხანი არ არის, რაც მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ ცენტრალური აზიის მთებში – ყარაყუმზე ყინულის საფარი იზრდება. მის სიახლოვეს ჰიმალაიზე კი ყინული დნობას აგრძელებს. რა არის ყარაყუმის ანომალიის მიზეზი?

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ აქტიურად მიდის ყინულის დნობა მთელ დედამიწაზე, ყარაყუმის შემთხვევა პარადოქსულად ჩაითვლება. რა ინტენსივობითაც სხვაგან დნება ყინული, იმავე ინტენსივობით ყარაყუმზე ყინულის საფარი იზრდება, ცვლილებები აქ 2005 წლიდან მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ ყარაყუმის მთათა სისტემა მონგოლეთს, ჩინეთს, ინდოეთსა და პაკისტანს აკრავს და ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მთათა სისტემად ითვლება მსოფლიოში. მთის კლდეთა საშუალო სიმაღლე დაახლოებით 6000 მეტრია, უფრო მაღალი, ვიდრე ტიბეტში, სადაც საშუალო სიმაღლე 4880 მეტრი გახლავთ. ყარაყუმში ზოგიერთი მთის სიმაღლე ზღვის დონიდან 8000 კმ აღწევს. ყინულის საფარი აქ 15,4 000 კვ. კმ-ზეა გადაჭიმული. მიიჩნევა, რომ ყარაყუმი ყველაზე გრძელი ყინულოვანი მთაა მსოფლიოში.

საინტერესოა, რომ გასულ საუკუნეში ყარაყუმის ყინულოვანი საფარი რამდენადმე შემცირდა (მაგალითად, ყინულოვანი მთა ბარტოლო 1928-58 წლებში 500 მეტრით დაპატარავდა), 70-იან წლებში სიტუაცია სტაბილური იყო. არავინ მოელოდა, რომ საუკუნის ბოლოს სიტუაცია შეიცვლებოდა, ამიტომ სისტემატიური კვლევები აღარ მიმდინარეობდა.

2005 წელს გლაციოლოგები გაოგნებული დარჩნენ და ჰქონდათ კიდეც ამის მიზეზი. ყარაყუმის ყინულის საფარი უფრო და უფრო იზრდებოდა. ახლა მთლიანი ყინულოვანი ფართობი 16,3 000კვ.კმ-ია.

ჰიმალაიზე ყინული დნება. ამას გლობალურ დათმობას მიაწერენ, მაგრამ თუკი ყარაყუმზე ყინულის საფარი იზრდება. რა უნდა ნიშნავდეს ეს?

კვლევა დაიწყეს და 2000 წელს თებერვალში კოსმოსური თანამგზავრი „ინდეევორი“, ხოლო 2008 წლის დეკემბერში ფრანგული თანამგზავრი სპოტ-5 გააგზავნეს.

ყინულის საფარი აშკარად გაზრდილი იყო. ყინული დღითიდღე იზრდება. კვლევის შედეგები ჯერ არ არის ცნობილი.

მოამზადა ანა ვადაჭკორიამ





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – მთლიანობაში ეს პერიოდი თქვენთვის წარმატებული იქნება, თუმცა შესაძლოა, მოგიწიოთ გარკვეული დაძაბული საუბრები. თუ დასასვენებლად გამგზავრებას ვერ ახერხებთ, მაშინ მცირე ხნით განმარტოვდით.

კურო – თუ თქვენ ხელოვნებას რაიმე კუთხით ემსახურებით, მაშინ, შეეცადეთ, დასვენებაცოტა ხნით გადადოთ და ეს დრო გამოიყენოთ.

ტყუპები – მეტ-ნაკლებად წარმატებული კვირა გელით, მოსალოდნელია პერსპექტიული წინადადებების მიღება, ამიტომ ყველა საკითხი სერიოზულად უნდა გააანალიზდეს.

კირჩხიბი – შეეცადეთ ახალი არაფერი წამოიწყოთ და ცოტა ხნით ყოველდღიური საქმით შემოიფარგლოთ ან ჩაერთოდ დაისვენოთ.

ლომი – დაასტაბილურეთ ურთიერთობები გარშემომყოფებთან და პარტნიორებთან, ნუ იქნებით კონფლიქტური და ნუ შეეცდებით საკუთარი პირობების ხაზგასმას.

ქალწული – გააქტიურდება თქვენი საქმიანი ურთიერთობები, შეეცადეთ, არ იყოთ კრიტიკული და ზედმეტი ანალიზითა და აუდიტით მომავალი პარტნიორები არ დააფრთხოთ.

სასწორი – იყავით მშვიდი და დიპლომატიური, ამავე დროს შეეცადეთ, ამ პერიოდში ყველა პერსპექტივა თუ შანსი გამოიყენოთ.

მორიელი – კვირის დასაწყისი და კვირის ბოლო წარმატებული იქნება, ამ დღეებში მოსალოდნელია სასარგებლო შეხვედრები და მოლაპარაკებები.

მშვილდოსანი – მკვეთრად გაუმჯობესდება თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება.

თხის რქა – მოგიწევთ საკმაოდ ბევრი ინფორმაციის მიღება-გადამუშავება, თუმცა, მოსალოდნელია აქ ცრუ და ფსევდო-ინფორმაციებიც იყოს.

მერწყული – ამ კვირაში გარკვეული გამართლების ალბათობაც გექნებათ, მოსალოდნელია სასიამოვნო ინფორმაცია მიიღოთ უცხოეთიდან.

თევზები – ეს კვირა საკმაოდ მშვიდ ტემპში ჩაივლის და რაიმე გართულებას ადგილი არ ექნება. მოგიწევთ საოჯახო პრობლემების გადაწყვეტა. შესაძლოა საჩუქრებით მიიღოთ.